ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის კაბინეტი

მარინე გოგბაიძე
ნათია თამაზაშვილი

აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2002

УДК 899.631.09
გ 591

წიგნის შექმნა განაპირობა იმ მასალათა ერთად თავმოყრის სურვილმა, რომელიც აკაკი წერეთლის კახეთში მოგზაურობის შესახებ არსებობს.

ნაშრომი უთუოდ დაინტერესებს მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორები: პროფ. იუზა ევგენიძე
პროფ. გიორგი ჯავახიშვილი

რეცენზენტები: პროფ. ლადო მინაშვილი
დოც. უშანგ სახლთხუციშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002
© მარინე გოგბაიძე, ნათია თამაზაშვილი, 2002

გ $\frac{4601000000}{608(06)-02}$

ISBN 99928-931-9-2

შესავალი

ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა! — ამ განცდით განვლო მთელი სიცოცხლე ქართველი ხალხის საყვარელმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, თავის უპირველეს მოვალეობად სამშობლოს სამსახური დაისახა და ბოლომდე ერთგულად სწია ჭეშმარიტი მამულიშვილის მძიმე, მაგრამ საპატიო ჭაპანი.

ილია და აკაკი! ქართველ კაცს უჭირს ამ ორი ძვირფასი სახელის ცალ-ცალკე ხსენება, რადგან ისინი მისთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შემოქმედი ან მოღვაწე, რადგან მათი სახელებით მოინათლა მთელი საუკუნე, ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული პერიოდი ჩვენი ერის ცხოვრებისა; ხანა, როდესაც ისინი ერთდროულად მოევლინნენ XIX საუკუნის გაუხარელ საქართველოს; დრო, რომელიც მუხლჩაუხრელი შრომითა და ბრძოლით აქციეს ერის გამოღვიძება-გათვითცნობიერების, ბრძოლისა და მომავალის რწმენის საუკუნედ.

თავიდანვე ერის ცხოვრების შუაგულში მოქცეულნი, მამულიშვილური გრძნობით ანთებულნი, მხნედ შეუდგნენ ბურჯად ყოველივე ეროვნულს. შეუპოვრად შეეჭიდნენ საქვეყნო საქმეებს, რადგან მამულს გაანდეს: „მას აქეთ, რაკი, შენდამი ვცან მე — სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“;

ირწმუნეს, რომ „როგორც ღმერთი, სამშობლო, ერთია, ერთადერთია“;

შეჰფიცეს — „შენი ვარ, შენთვის მოვკვდებიო“;

გადაწყვიტეს — „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად...“

მიზნად დაისახეს — „საქართველოს ხალხის ცხოვრების“ გაუმჯობესება: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ამ განზრახვას წინ დიდი დაბრკოლებანი ხვდებოდა, მაგრამ მათი შეჩერება არავის და არაფერს აღარ შეეძლო — შინაურ თუ გარეულ მტერთან ბრძოლაში გაჭაღარავდნენ, ბოლომდე დაიხარჯნენ, რადგან „რაც არ იწვის, არ ანათებს!“

ეს ორი სრულიად სხვადასხვა ბუნების, ზოგჯერ განსახვავებული შეხედულებების მქონე დიდი ადამიანი და შემოქმედი ერთი საერთო მიზნისაკენ მიისწრაფოდა, ერთს მიელტვოდა, ერთი სურდა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

XIX საუკუნეში, გრიგოლ რობაქიძის აღწერით: „საქართველო

თვალს ახელს, მაგრამ ჯერ კიდევ ბინდი ვერ მოუშორებია; აღწევს თვითცნობას, მაგრამ საკუთარი თავი ვერ შეუცვნია; ენას იდგამს, მაგრამ სიტყვა ცეცხლით ვერ გაუხსნია... და მთავარი — საქართველო, როგორც ერთი მთლიანი, როგორც ცოცხალი არსი, არ არსებობს: მის ადგილას ნამტვრევები ხმაურობენ...“[1].

ერს, ამ ძნელბედობის ჟამს, სჭირდებოდა გონიერი წინამძღოლი, რომელიც მართალ სიტყვას ეტყოდა, გაახსენებდა, რომ „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი!“ — სწორად წარმართავდა მიძინებულ ეროვნულ ენერგიას.

ასეთად მოუვლინა განგებამ შეჭირვებულ საქართველოს ილია და აკაკი, მათი თაობა, რომელსაც განსაკუთრებული მისია დაეკისრა ერის ცხოვრებაში. სწორედ მათ შემოჰკრეს ეროვნული თვითშეგნების პირველი ზარი, რომლის ხმა მაშინვე მისწვდა დამონებულ სამშობლოს.

„ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში!“ — მოუწოდებდა თავის კალამს ილია.

„პოეტო, ნურც შენ ეკრძალვი,
მრისხანე გულის ღელვასა!..
ბრძოლის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა!“ —

შეუდრეკელი იყო სატრფო — მამულზე უზომოდ შეყვარებული აკაკი. „მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა, ვხედავდე თავისუფალსა“ — ეს იქცა მისი შემოქმედების ქვაკუთხედად. მისი სატრფო კი, ცრუ მფარველს მინდობილი, „ალერსით მთვრალი“, „შემცდარი და მოხიბლული, „სხვას ჰმონებდა“. აკაკის მოსვენებას უკარგავდა მიჯაჭვულ ამირანად თუ ცხრაკლიტულში მჯდომარე ტყვე ნესტანად წარმოდგენილი სამშობლოს ხილვა და იმედიანი სიტყვებით ამხნევებდა: „გაუმაგრდი განსაცდელს, აიტანე ტყვეობა“, რადგან სჯეროდა „სამეფოო ძველთა ძველო, დიდებაო ძველის ძველო, გაცოცხლდები, საქართველო!“

ამ იმედიანმა შეძახილმა გაამხნევა ქართველი, რწმენა ჩაუნერგა, ძილ-ბურანიდან გამოიყვანა, აპოვნინა თავისი დაკარგული სახე.

იშვიათად შეუგრძნია ვინმეს თავისი ქვეყნისა და ხალხის გულისთქმა და გასაჭირი ისეთი სიღრმითა და სისრულით, როგორც ეს ილიამ და აკაკიმ შესძლეს. მათ ყოველ სტრიქონში ხალხის ფიქრი, სურვილი, ოცნება და მისწრაფებანია ასახული.

---

1. გრ. რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ., 1991, გვ. 30.

საამო ჟრჟოლასავით მოედო მთელ ქვეყანას საოცარი სიტყვები:

„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს...“

მიძინებული ერის გამოფხიზლებას შეალიეს ილიამ და აკაკიმ მთელი ძალ-ღონე და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს შვებით, როცა „გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა, რომ მოიპოვოს თავისუფლება“.

მათ ხალხი შეიცნეს ერის საუკეთესო თვისებათა მქონედ, აღიარეს მისი უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნისა და ერის გადარჩენაში. ისიც იწამეს, რომ საქართველოს აღდგენა-გაძლიერება მხოლოდ მათ მუყაითი შრომას შეეძლო. მალე ამ ორი დიდი შემოქმედის ნაწარმოებებში მთავარ პერსონაჟებად ჩნდებიან ხალხის წრიდან გამოსული ადამიანები, ჩნდება თვით ხალხი, რომელიც მათთვის არასოდეს ყოფილა „მონათა ჯოგი“. კარგად უწყოდნენ, რომ სისხლით დაწერილი ჩვენი ერის ისტორია მხოლოდ მეფეების მიერ არ შექმნილა. ის, რომ ხალხი არსად ჩანდა, უსამართლობად მიაჩნდათ და ამ ნაკლის გამოსწორებას ბეჯითად შეეცადნენ.

ილიამ და აკაკიმ მიზნად დაისახეს უფრო ახლოს მისულიყვნენ ხალხთან, კუთხე-კუნჭულ მოევლოთ სულზე უტკბესი მამული, პირადად შეხვედროდნენ ადამიანებს და, დიდი მცდელობის შედეგად ძლივს გამოფხიზლებული, აქამდე მთვლემარე ერი გაეთვითცნობიერებინათ.

ამისათვის ცდა არ დაუკლიათ. მოვლეს საქართველოს ამერ-იმერი, შეხვდნენ, თითქმის, ყოველი კუთხის მცხოვრებთ და თავიანთი მჭევრმეტყველური ენითა და შორსგამჭვრეტი გონებით, მათთვის გასაგები ენით უთხრეს ხალხს ის აუცილებელი, მართალი და საჭირო სიტყვა, რომელმაც რწმენა ჩაუნერგა უიმედობაში ჩავარდნილ თანამოძმეთ, მალამოდ მოეცხო დამპყრობლისაგან შელახულ მათ ეროვნულ თავმოყვარეობას, მეტიც, ბრძოლის ჟინით აღანთო, რადგან შთააგონა, რომ „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“. ისიც გააგებინეს, რომ წინ ძნელად საკალი გზა იყო:

„რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა,
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?“

მიღწეულით კმაყოფილებას არ მისცემიან ერის წინამძღოლნი.

„გამოღვიძებულ ერს სიტყვასთან საქმეც ეჭირვება და ეს რთული მოვალეობა კისრად აწევს დღევანდელ ახალ-თაობას“ — აღნიშნავდა აკაკი 1911 წელს თელავში წარმოთქმულ სიტყვაში.

ამ მუხლჩაუხრელი შრომის დროს საკუთარ თავსაც შეუძახებდა პოეტი: „შენც, მგოსანო, კაცთა შორის, ფუტკრადა ხარ გაჩენილი...“ ასე სწადდათ, ასე იღვწოდნენ, ასე მიაღწიეს საწადელს და დაიკერა ქართველმა, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...გაიღვიძებს...გაიცოცხლდება...“ რწმენა კი მთებს ადნობს...

ყოველმა ქართველმა კარგად იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ილიამ და აკაკიმ თავიანთი სამწერლო თუ საზოგადო მოღვაწეობით ერის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ, ისიც ცხადი გახდა, რომ ვერც ერთი თხზულება, თუნდაც ისეთი სწორუპოვარი, როგორიც ამ ორი დიდებული მწერლის შემოქმედებას ამშვენებს, ვერ მოახდენს მკითხველზე ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორსაც ახდენს ხოლმე ცხოველი, პირდაპირი სიტყვა მსმენელზე.

ხალხთან უშუალო შეხვედრის დროს ამგვარი სიტყვის განსაცვიფრებული შედეგი იხილა რა ნიკო ლომოურმა, ასე მიმართა გორელებთან შეხვედრისას ილია ჭავჭავაძეს: „... იარეთ, იარეთ, ჩვენო ძვირფასო საერთო მასწავლებელო!.. იარეთ, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში... იარეთ, ბატონო ილია... და თქვენი ბრძნული სიტყვით ფეხზე წამოაყენეთ, მხნეობის სული შთაბერეთ თქვენს დღევანდელს დაცემულს თანამოძმეთ...“

ილიამ მოვლო: აფხაზეთი, აჭარა, სამეგრელო, ქართლი...

აკაკიმ მეტი შეძლო — მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა.

მან პირველმა იგრძნო ხალხთან ახლოს ყოფნის, მასთან შეხვედრების აუცილებლობა და წინასწარ განჭვრიტა მოსალოდნელი ორმხრივ სასარგებლო შედეგი.

არც შემცდარა.

ქართული ბუნების ტრფიალმა, თვისტომთა ხასიათის, ზნე-ჩვეულებათა გაცნობა — შესწავლის სურვილმა სად აღარ ამოგზაურა იგი. დადიოდა სოფლიდან-სოფელში, ქალაქიდან-ქალაქში და შთააგონებდა ქართველს, რომ „ჩონგური საქართველოა... ერთობა ჩვენთვის ტახტია...“ ის გრძობდა, რომ აუცილებელი იყო ერის კონსოლიდაცია. ამის მისაღწევად, როგორც მამულიშვილს, როგორც პოეტს, არაფერი დაუზოგავს. მან შეძლო თავისი სიტყვით სულიერად გაეერთიანებინა საქართველო, რაშიც დიდი როლი ითამაშა ხალხში გასვლამ, მასთან დაახლოებამ და ხშირმა შეხვედრებმა.

აკაკის ლექსმა, პირადი შეხვედრების დროს წარმოთქმულმა სიტყვებმა,

ხალხს მხნეობა მოჰგვარა, რწმენა ჩაუნერგა იმისა, რომ, თუ მოინდომებს „იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი“.

„ილია ჭავჭავაძემ მძლავრის შეძახილით გამოაღვიძა სამშობლო მხარე, აკაკიმ ამ გამოღვიძებულს სული მოათქმევინაო“ — წერდა შალვა დადიანი.

აკაკის ლექსმა შეძრა ქართველი კაცის სული. ხელახლა გამოუბრწყინა „დავიწყებული სიტყვა „მამული“ თავის გულთმიმზიდველ და დიდი მნიშვნელობითა“, ხელშესახებ, ცოცხალ არსებად, სატრფოდ წარმოუდგინა იგი და ხალხს შვება მისცა, ნეტარების ცრემლი ადინა, რადგან ერის ტკივილი გაითავისა, ნათლად და სადად გამოხატა მისი საფიქრალი თავის პოეზიაში.

აკაკიმ შექმნა ხატი — სიმბოლო გასაჭირში მყოფი სამშობლოსი (თ. ჭილაძე), რომელსაც შველა უნდა, რომელიც მამულიშვილის „გარდარეულმა სიყვარულმა“ უნდა იხსნას, გაათამამოს, ამიტომაც შეღაღადებს, როგორც ხატს აღსარებას:

„არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს,
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!“

ასე ხელშესახებად გამოთქმულმა სიყვარულმა მამულისა, ამგვარმა „თავგადაკლულმა“ ტრფობამ, ხალხის შეგნება აამაღლა, აღზარდა ერი და აკაკისაც უფრო მეტი მოვალეობა დააკისრა, ვიდრე მხოლოდ პოეტს მოეთხოვება.

ხალხმა ადვილად გაიგო მისი ლექსები, მათი ავტორი თავისიანად ჩათვალა, მიიღო და შეიყვარა. მეტიც — გააღმერთა, საქართველოს „უგვირგვინო მეფედ“ მონათლა, „საქართველოს ბულბული“ და „ქართველი ზევსი“ უწოდა, მისი პოეზია თავის კუთვნილებად აქცია, პოეტი კი — წინამძღოლად მიიჩნია, რომელიც აფხიზლებს, აქეზებს, ამხნევებს, შთააგონებს და მოუწოდებს ერს.

ქართული მწერლობა და საქართველო მუდამ განუყოფელი იყო. სწორედ მწერლობამ გამოხატა ჩვენი ხალხის გმირული ისტორია. იგი მუდამ ფხიზლად ადევნებდა თვალს, რომ არ დარღვეულიყო „ჩვეულებისამებრ, მამულისა სლვაი“. მან გამოზარდა და გამოაწრთო ქართველი ხალხიც მაღალი ეროვნული მრწამსით, მაგრამ მწერლობა არასოდეს ყოფილა ისე მჭიდროდ დაახლოებულ-დაკავშირებული

ხალხთან, როგორც XIX საუკუნეში. ეს კი ილიას და აკაკის დამსახურებაა. მათ სიტყვას დიდი ძალა მიანიჭეს, პოეზია აქციეს ბრძოლის იარაღად, მწერლობა — ხალხის კუთვნილებად. ამგვარად აღზარდეს ერი. ამიტომაც მიაგო ხალხმა მათ სახალხო-საყოველთაო სიყვარული და აღიარება. ილიას და აკაკის სახელებმა მაგიური ძალა შეიძინა, იმედი და რწმენა მოიპოვა. მათი იარაღი სიტყვა იყო, სიტყვა, რომელსაც ელოდა და სულგანაბული უსმენდა მთელი საქართველო. სწორედ ამ სიტყვით გაუღვიძეს თავის ხალხს დაკარგული სიმართლის გემო.

„აკაკი, ისევე როგორც ილია, სულ სხვა იყო... ილიასთან ერთად აკაკიმ რამდენიმე თაობის მაგიერ მიიღო ტანჯვა და ზიდა მძიმე ტვირთი... იმ მძიმე უღლის გაწევა, რომელიც წარსულში ჩვენი დიდი მეფეებისა და მოღვაწეთა მოვალეობას შეადგენდა, XIX საუკუნეში წილად ხვდათ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. ერის იმედი და წინამძღოლნი ისინი იყვნენ. აკაკი წერეთელმა, ილიასთან ერთად, ახალი საქართველო დაიწყო... ილიასა და აკაკის გამოჩენასთან ერთად პირველად გაისმა ძლიერი ხმა ხალხის წიაღიდან, ერის შუაგულიდან“ — წერს სერგო კლდიაშვილი თავის მოგონებებში აკაკიზე.

ბავშვობიდანვე ხალხში ტრიალმა, გლეხის ოჯახში ცხოვრებამ, აკაკი ძალდაუტანებლად დააახლოვა ხალხთან. სიამოვნებდა მათთან ყოფნა, ამიტომ მუდამ მათ შორის, მათთან იყო და არც არასოდეს დაშორებია ხალხს. „აკაკი ერთადერთი მგოსანია, რომელიც გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს, ჩაიხედა იმის სევდიან, მაგრამ უმწიკვლო სულსა და გულში“ — თქვა მის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილმა.

მართლაც, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი პოეზიის ლირიკული გმირი ხდება: მხვნელ-მთესველი, მევენახე, მწყემსი, მეხრე... მათზე ჰქმნის ლექსებს: „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „მეხრის სიმღერა“, „ვლეხის აღსარება“, „ფუტკარი“, „მწყემსის სიმღერა“, „მუშის ნატვრა“ და სხვა.; ამ ე. წ. შრომის პოეზიის შექმნით აკაკიმ მიგვანიშნა, რომ პატივი ვცეთ გამრჯე ადამიანის შრომას,

„რადგან შრომა ლოცვასავით
თავის თავად ცამდე ადის,
როგორც სანთელ-საკმეველი,
ქვეყნის შვება სიდიადის“.

აკაკი ხედავდა და ძლიერ წუხდა, რომ მამა-პაპათა დანატოვარი, მათი ოფლითა და სისხლით მორწყული მიწა „ზოგი ყიდვით, ზოგი

წართმევით“ უცხოტომელთა ხელში ვარდებოდა. ამიტომ ის მკაცრად შეახსენებდა ფულზე გაწუწკებულ თანამედროვეთ — „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს!“ დღესაც გაფრთხილებასავით ჟღერს დიდი ხნის წინ დაწერილი ეს სიტყვები, რომელიც ყურად უნდა იღოს ყველამ, რადგან ქვეყანა ხალხისაა, ხალხისთვისაა.

აკაკი ბევრს მოგზაურობდა, ხალხი ყველგან აღტაცებით ხვდებოდა. მის ტრიუმფალურ სვლას საქართველოს ამერ-იმერში ზოგჯერ უცხოტომელებიც შესწრებიან და გაოცება ვერ დაუმალავთ პოეტისადმი ხალხის ასეთი დიდი სიყვარულის გამოხატვის გამო. მის მოგზაურობას ინტერესითა და სიხარულით ადევნებდა თვალს ილია და კმაყოფილი ამბობდა: „საცა წავიდა ბატონი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა“.

აი, ეტლში ზის ბიბლიური გარეგნობის ჭაღარით მოსილი მოხუცი პოეტი. დაღლილი სახე აქვს, მაგრამ თვალებში სიამოვნებისა და სიხარულის სხივი უბრწყინავს. გარს უამრავი ხალხი ახვევია...

მისი სვლა საზეიმოა და ამას ყველა გრძნობს. ხალხი აღტაცებულია, ყველას სურს ახლოს იხილოს იგი, მოუსმინოს „წინასწარმეტყველის იერით დამშვენებულ მქადაგებელს“... ნამდვილი სახალხო დღესასწაულია... ჭეშმარიტად, რომ „აკაკი პატარა საქართველოა“.

კინოფირმა შემოგვინახა მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო იმერეთის სოფლებში. ფოტომოყვარულებმა მისი სახე აღბეჭდეს: ხონში, ქუთაისში, დიდ ჯიხაიშში, ზესტაფონში, სხვიტორში, ჭიათურაში, თელავში...

ხალხთან შეხვედრებმა, მასთან ამგვარმა სიახლოვემ აკაკი განუყოფელი გახადა ხალხისგან, ხოლო მისი პოეზია ერის განუყოფელ ნაწილად იქცა — ერის საუნჯედ გამოცხადდა.

მშობელ ხალხთან შეხვედრისას აკაკიმ გულმხურვალე მამულიშვილის განცდით აღბეჭდილი სიტყვები წარმოთქვა: ონში, გორში, წინამძღვრიანთკარში, მუხიანში, თელავსა და წინანდალში. პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვები მაშინვე ქვეყნდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

წინამდებარე წიგნის ავტორები მადლობას მოახსენებენ პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს თემის ირგვლივ მის ოჯახში დაცული საარქივო და ბიბლიოგრაფიული მასალების მოწოდებისათვის.

„რაც არ უნდა ჭირი ნახოს, საქართველო არ გაქრება!“

აკაკი

აკაკი წერეთელი ოთხჯერ ეწვია კახეთს: პირველად — 1882 წლის ზაფხულში, მეორედ, თხუთმეტი წლის შემდეგ — 1897 წლის შემოდგომაზე, მესამედ — 1898 წელს, მეოთხედ — 1911 წელს.

მისი სტუმრობა სახალხო ზეიმისა და ეროვნული დღესასწაულის სახეს იღებდა ყველგან, სადაც კი მისი ოლიმპიური ფიგურა გამოჩნდებოდა.

კახეთში პირველმა მოგზაურობამ, როგორც თვითონ წერს, დიდი სიამოვნება აგრძნობინა და ათქმევინა „სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისაგან“... თუმცა, იქვე, გულისტკივილით აღნიშნა, რომ „ეს მშვენიერი მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორც ეკადრება“.[1]

საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მონახულებამდე პოეტს ქართლში უმოგზაურია და, შემდეგ, კახეთის ნახვის სურვილიც გასჩენია. არავისთვის გაუნდია თავისი განზრახვა, მხოლოდ გაზეთ „დროების“ მესვეურ სერგეი მესხთან ლაპარაკის დროს უთქვამს, კახეთში მინდა წასვლაო.

და, აი, ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში აკაკიმ დატოვა თბილისი და დილიჟანსით დაადგა კახეთისაკენ მომავალ ცივგომბორის გზას.

იდგა 1882 წლის აგვისტო.

აკაკი ამ დროს 42 წლის იყო — თავისი ქვეყნის ცხოვრების შუაგულში მყოფი და დიდად პოპულარული ხალხში — „საყვარელი ღმერთთა და კაცთა“.

ჩვენს წარმოდგენაში იგი ახოვანი, თეთრი თმა-წვერით შემოსილი ბრძენი მოხუცია. მისი თანამედროვე მწერალი ილია ზურაბიშვილი ასე აღწერს აკაკის გარეგნობას: აკაკი ბრგე აგებულების იყო. იგი გარეგნობის იშვიათი ჰარმონიულობით გამოირჩეოდა. ტანსრული, მხარბეჭიანი. ლამაზი მოყვანილობის თავი ხშირი, ხვეული თმით ჰქონდა დამშვენებული. „აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმ სითეთრემდის არ მისულა, რომელსაც თოვლის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭალარა იყო“... აკაკის თანამედროვენი საგანგებოდ ეხებიან მის გამორჩეულ გარეგნობას: „ხშირი, შუათანა

---

1. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 194.

სიგრძის წვერი ჰქონდა, ოდნავ თხელი ულვაშები, ბუნებაუხვი თმა შარავანდედივით ადგა მის დიად შუბლს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც... იყო მსხვილნაკვთიანი, დიდრონთვალება... მისი მკვეთრად მოხაზული ბაგე, ნაკვეთთა სწორი მოხაზულობა, წყლიანი თვალები, სუფთა სახის კანი და ელფერი იმგვარ მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა, რომ ყოველთვის ყველა მოქალაქე შეჩერდებოდა და თვალს გააყოლებდა ახოვანი, მოხუცი ორფეოსის სიარულს. რალაც საზეიმო იერი ჰქონდა... უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახედ მიაჩნდა" — წერს სერგო კლდიაშვილი. აკაკის გარეგნულ ბრწყინვალებას აგვირგვინებდა უბრალოება, სათნოება, იშვიათი სიფაქიზე. არასოდეს არავის უდიერად არ მოექცეოდაო... ეს ყველაფერი ერთად მის პიროვნებაში — ფორმა და შინაარსი — ჰქმნიდა იმ საოცნებო „მიუწვდომელ სიმდაბლეს, რომელიც ასე ახლოა შენთან, მაგრამ ვერ კი მისწვდები...".

კახეთის მონახულება აკაკის დიდი ხნის ოცნება იყო და ახლა, როცა პირველად მიემგზავრებოდა, ცხადია, ღელავდა.

უკვე სახელგანთქმული პოეტი, თუმცა მარტო გაეშურა ნანატრი კუთხისაკენ, მისდა გასაოცრად, კახელებმა სრული მზადყოფნა გამოამჟღავნეს საპატიო სტუმრის ღირსეულად დასახვედრად. მარიამობისთვის სიცხით გათანგული ერეკლეს ქალაქი მყის გამოცოცხლდა. ყველას პირზე ეკერა საყვარელი სახელი — აკაკი!

„როდესაც ასე მარტო სახელით ვიხსენიებთ ამ დიდებულ პოეტს, ეს კადნიერება კი არ არის, ან უხეში მოურიდებლობა, არამედ ეს ჩვენი სიყვარულია, ხალხში განმტკიცებული. სიცოცხლეშიც ამ სახელით ვიცნობდით და მისი გვარი ჩვენთვის სავალდებულო არ იყო. ახლაც ასეა.

აკაკი! ეს სხვა შარავანდედ-მოსილი სახელია ქართველთათვის. ამ სახელის გახსენებით ჩვენი მახსოვრობა მხოლოდ ამ დიდ პოეტს მიადგება. ესეც კია: თვით სახელი „აკაკი" მხოლოდ აკაკის შემდეგ მოედო ქვეყანას, აკაკისობას კი მეტად იშვიათი სახელი იყო. თვითონაც ასე აწერდა თავის ნაწერებს. თვითონვე, გარდა ზოგიერთი პირვანდელი ლექსისა, ამ სახელით გაგვიშინაურდა... ჩვენ ვალდებულნიც კი ვართ, მხოლოდ სახელით მოვიხსენიოთ ეს ბუმბერაზი" — გვირჩევს მისი თანამედროვე მწერალი შალვა დადიანი.

„აკაკი გამოდიოდა მხოლოდ სახელით: თავის გვარს ძვირად

ახსენებდა. მთელი საქართველო მას სახელით იცნობდა უფრო. გარდა ნიჭისა, აქ უთუოდ სიყვარული იმარჯვებდა. უამისოდ აკაკი ვერ „გაითქმებოდა“ ხალხში. ბავშვებმა ისიც არ ვიცოდით, თუ წერეთელი იყო: ვიცოდით მხოლოდ, რომ იგი აკაკია“ — იგონებს გრიგოლ რობაქიძე.

თავის ხალხში ასე პოპულარული და საყვარელი პოეტი კახეთს უნდა სწვეოდა.

შებინდებული იყო, როდესაც აკაკი თელავში შევიდა.

გომბორის მთის კალთაზე გაშენებული, ბაღნარადქცეული კახთ-მეფეთა ყოფილი სატახტო, იმჟამად თბილისის გუბერნიის ერთ-ერთი სამაზრო ქალაქი გულთბილად შეხვდა საყვარელ პოეტს. სასტუმროში ყოფნას ვინ დაანებებდა სასურველ სტუმარს? პირველად ბინა მიუჩინეს მეფეთა ყოფილი სასახლის ტერიტორიაზე მოთავსებული სასულიერო სასწავლებლის შენობაში, ერთ ფართო ოთახში, რომლის ფანჯრებიდანაც მთელი სიდიადით მოჩანდა დიდ სივრცეზე გადაჭიმული ბუნების საოცრება — ალაზნის ველი და ზვიადი კავკასიონის თმაშეევერ-ცხლილი მწვერვალები.

საღამოს ბინდბუნდში მის თვალწინ გადაშლილ გრანდიოზულ სანახაობას რომ გადახედა, მგზავრობით დაღლილი აკაკი სახტად დარჩა. აღტაცებულმა მრავალი საქებარი უძღვნა თელავს, კახეთს.

„ჩვენი მხარე სულ დავლილი მქონდა, კახეთი კი არ მენახა. ბევრი რა მქონდა გაგონილი მის ედემურობაზე, მაგრამ ნათქვამს ნახულმა გადააჭარბა“ — წერს ნარკვევში „სამგზავრო წერილებიდან“, რომელიც ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით შეიქმნა.

განთიადისას, ღვთაების ეკლესიაში ცისკრის ლოცვას დაესწრო. იგრძნობოდა, რა მონდომებით ემზადებოდნენ თელაველები მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად. აკაკიმ ერთბაშად იგრძნო ამ პატარა, დიდი ისტორიის მქონე კოპწია ქალაქის ხიბლი, რომელსაც ერთობლივად ქმნიდნენ: ძველებური, ლამაზაივნიანი სახლები, ხეთა სიმწვანეში ჩაფლული წითელი კრამიტის სახურავიანი შენობები, ძველი ციხე-სიმაგრეები, მრგვალი ბურჯები, ანკარა წყაროები და თვით კახთმეფეთა ქონგურებგალავნიანი სასახლე, რომლის ბინადართაგან მის ყურადღებას ყველაზე მეტად ერთი იპყრობდა. ის, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა დიდებული სამხედრო ნიჭიერებისათვის განუმეორებელი ეპითეტებით შეამკო: „აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება, თვისის დროისა გამმშვენებელი, მამაცთა შორის საკვირველება, პატარა

კახი, მეფე ირაკლი!“ ის, რომელიც შემდეგ მისი დიდებული პოემა „პატარა კახის“ მთავარი პერსონაჟი გახდა.

აკაკის მოგზაურობას კახეთში თითქმის მთელი თელავი წარმართავდა. გამორჩეულ ყურადღებას იჩენდნენ: ლევან ჯანდიერი — თბილისის გუბერნიის მაზრის უფროსი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ა. ამილახვარი, გ. ყორჩიბაშ-რუსიშვილი, ივანე როსტომაშვილი და სხვები.

კახელების სასურველმა სტუმარმა რამდენიმე სოფელი მოინახულა. წინანდალში — ჭავჭავაძეებს, კისისხევში ქობულაშვილებს, ბახუტაშვილებს და ჩიჯავაძეებს ესტუმრა, ვაჩნაძიანში ლევან ჯანდიერმა უმასპინძლა, კონდოლში ლეონიძეებმა და ავალიშვილებმა ისტუმრეს, იყალთოში კი — მაყაშვილებმა.

თელავში მიმავალ პოეტს მასპინძლები შუამთის მონასტერთან ცხენებზე ამხედრებულნი დახვედრიან.

14 აგვისტოს აკაკიმ დაათვალიერა ძველი და ახალი შუამთა. „მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“ — ფსალმუნის ეს ცნობილი სიტყვები ამოიკითხა ჭავჭავაძეთა საგვარეულო საძვალეში ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავის ქვაზე. კრძალვით დაანთო სანთელი და პოეტის საფლავის ნახვით შთაგონებულმა მასვე უძღვნა ლექსი „ალ. ჭავჭავაძის საფლავზედ“, რომელშიც საყვარელი სამშობლოს დაჩაგრული მდგომარეობით გამოწვეული გულისტკივილი გაანდო წინამორბედ პოეტს, მგზნებარე მამულიშვილს, სახელოვანი ოჯახის პატრონს, კახელების საყვარელ „ბატონს“:

„ბატონია, თავადია კახისა,
გამკითხავი ღარიბისა, გლახისა,
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული,
ხელმწიფისგან სახელგანდიდებული“.

დაუმსახურებლად ხალხი არავის შეიყვარებს, არც ლექსში უკვდავყოფს. ეს ლექსი ხალხმა გულმოწყალე და კეთილ თავადს — ალექსანდრე ჭავჭავაძეს უძღვნა, ხოლო თვითონ აკაკი წერეთელმა ასეთივე სიყვარული და კრძალვა გამოხატა პოეტისადმი მიძღვნილ ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“. მასში დასვა ასეთი მტკივნეული კითხვა:

„სად არის მხსნელი, რომ მოგვცეს ხელი?!
ტკბილო პოეტო,
ნათლისა სვეტო!
შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,
რომ ჩვენი ერი,

დღეს სხვის ფეხთ მტვერი,
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!
თორემ სხვაგვარად,
მწარედ და მარად,
ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...
და შენც ჩვენსავით
სიტყვებით ავით
გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას...
... მმღერალო ტკბილო,
მამულის'შვილო,
ამაღლებულო სულით ზეცამდე!
იყავ კურთხეულ,
არ-დავიწყებულ
ამიერიდან უკუნისამდე..." [1]

(1882 წ. 14 აგვისტო, შუამთა).

ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძემ, სრულიად ახალგაზრდამ, თავისებურად გამოხატა პროტესტი დამონებული სამშობლოს გამო — მონაწილეობა მიიღო მთიულეთის აჯანყებაში, მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გულმხურვალე მამულიშვილთა ყოველგვარი ცდა — დაჩაგრული მამულის დახსნისა — მკაცრად ჩაახშო მეფის რუსეთის თვითმპყრობელობამ.

„მნათი ალმოხდეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა" — ოცნებად დარჩათ „წარსულზე მგლოვიარეთ" — ალექსანდრე ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს. რუსეთმა იმგვარი პოლიტიკა გაატარა, რომ მამულისათვის თავგანწირულნი საბოლოოდ სახელმწიფო სამსახურში ჩააყენა... მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი.

„გაქრა დავითის ხრმლის ელვა,
ჩაჰქრა თამარის ლამპარი,
ოქროს დრო ჟამმა შეცვალა..."

— რომანტიკოსთათვის დამახასიათებელ განწყობილებას გადმოსცემს ალ. ჭავჭავაძე ლექსში „ჰე, საქართველო".

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარა" —

ამ წუხილს გამოხატავს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება.

---

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბ., 1950, გვ. 82.

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...[1]

ამოიკვნესა სიცოცხლის ბოლოს მხცოვანმა პოეტმა — გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა.

სამწუხაროდ, ასე მოხდა. მამულის სიყვარულის ვალი მათ მხოლოდ დიდებული პოეზიით გადაიხადეს, მათი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭიერება კი რუსეთმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენა. ამასთან, დაუფარავად გამოამჟღავნა არაკეთილმოსურნე მფარველის ავი ზრახვები და პატარა საქართველო იმპერიის ერთ-ერთ განაპირა რეგიონად აქცია, რომელსაც საკუთარი აღარაფერი უნდა ჰქონოდა, ხოლო ქართველნი მხოლოდ რუსთა ხელქვეითად იყვნენ მიჩნეულნი. საქართველო, როგორც ქვეყანა, თავის ფუნქციას კარგავდა, რაც აწუხებდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველობას. ეს გულისტკივილი გამოიხატა ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსშიც „... ჩვენი ერი, დღეს სხვის ფეხთ მტვერი, შენ არ გინახავს ასე ჩაგრულიო!“ — თითქმის შენატროდა აკაკი.

შუამთაში, ჭავჭავაძეთა საძვალეს ნახვისას, იქვე, ღელის გასწვრივ აყუდებულ კლდეზე აკაკიმ მოზრდილი გამოქვაბული შენიშნა. იქ, მტრის შემოსევისას, ჩვენი ხალხი აფარებდა თავს. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა თხუთმეტიოდე წელი და ამ გამოქვაბულს ხალხი აკაკის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ მთავარი გმირის სახელით მონათლავდა.

აკაკის თელავში ყოფნამ, მასთან შეხვედრებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ზეიმად იქცა.

მასპინძლებს არაფერი დაუზოგავთ, რომ გამოეხატათ თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა სანატრელი სტუმრისადმი. აკაკიც გრძნობდა ამას, წუხდა კიდეც გადამეტებული ყურადღების გამო.

თელავში საზოგადო შეკრებებისათვის ბევრი გამორჩეული ადგილი იყო, მაგრამ ყველაზე საპატიოდ „ბატონის წყაროს“ ახლოს მდგარ ბუმბერაზ, ძველისძველ ჭადარს მიიჩნევდნენ, სადაც 17 აგვისტოს თელაველებმა დიდი წვეულება გაუმართეს ძვირფას სტუმარს. მათ გულწრფელ სიტყვებში უდიდესი პატივისცემა და სიყვარული გამოიხატა პოეტისადმი.

---

1. გრ. ორბელიანი, ერთტომეული, თბ., 1959, გვ. 86.

ამ შეხვედრას, საყვარელ პოეტთან, გაზეთ „დროების“ კორეს-პონდენტი ასე აღწერს: „არაჩვეულებრივი მოვლენა თელაველთათვის გახლდათ ჩვენი ნიჭიერი პოეტის აკაკის თელავში მობრძანება და თელაველთაგან მისი მიღება. თელავი მუდამ ჩვეული იყო ორდენებით, ჩინებითა და ხარისხით შემკული გვამის მიღებასა და თავისი პატივისცემის გამოცხადებას წვეულებით თუ სხვა რითიმე. დღეს თელაველებმა დაამტკიცეს, რომ მათ იციან სხვაგვარი ხარისხით შემკული გვამის დაფასებაც... (№183, 2 სექტ.).

ნადიმს თამადობდა თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავ-ლებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩოლოყაშვილების სიძე ივანე როსტომაშვილი. მან პოეტს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ბატონო აკაკი! დღეს, ჩვენი ქვეყნის ყველა ნამდვილმა მამულიშვილმა ზედმიწევნით იცის, ვინ არის აკაკი და რა ჰსურს მას ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მის ლექსებში და მისგან ესე კარგად და ყოველ მხრივ არის აღწერილი და შემკული. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხართ მეთაური, მებრძოლი საზოგადოდ ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და მთელი კაცობრიობის უკეთესთა იდეათა, მაგრამ, კერძოდ, ჩვენ ქართველებისათვის ის უფრო არის განუზომლად ძვირფასი, რომ, ამავე დროს, თქვენ ხართ საქართველოს შავი ბედის წინააღმდეგი — მეთაური და მებრძოლი.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხართ ის, რომელმაც ყველაზე უკეთ მიაგნეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და ამ მდგომარეობით წარმოშობილ დასაღუპ შედეგებს, რომელთა წინააღმდეგ თქვენ მუდამ ხმარობდით თქვენი ნიჭის და დროის შესაფერ საშუალებას. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხართ ის, რომელიც უძლიერესის იარაღით — კალმით, ყველაზე მდგრად წინ აღუდექით ჩვენი მტრების სურვილს ჩვენი ხალხისნების გაქარწყლებაზე და ჩვენთა დიდებულ წინაპართა, მოღვაწეთა საუკუნოდ აღმოფხვრაზედ. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხართ ის, რომელმაც ყველაზე მეტად ილვაწეთ ჩვენი მშვენიერი ენის შემუშავებისათვის, დაცვისათვის და გავრცე-ლებისათვის, იმ ენისათვის, რომელზედაც უკვდავი რუსთაველი შეამკობდა დიდებულ თამარს და მის დროსა.

მართალია, დიდი ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე ყველა ჩვენს დიდებულთ მთავართ-მთავრებს ფარნავაზს, გორგასალს, დავით აღმა-შენებელს, თამარის უძლეველთ მხედრებს, ირაკლის და სხვათა — ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დაცვაში, მაგრამ თავისუფლება იმისთანა არსებაა, რომელიც, ერთხელ რომ დაკარგოს ხალხმა, პირველივე კეთილს შემთხვევაში კიდევ შეიძლება დაბრუნებულ და აღდგენილ იქნას.

სულ სხვა არსებაა ენა; ენა არის სული ერისა და ის ერი, რომელმაც ერთხელ დაჰკარგა ენა, ველარ დაიბრუნებს მას და თვითონვე განჰქრება და აღმოიფხვრება დედამიწის ზურგიდან. არც ერთს ერს არ უცოცხლია თავის ენის დაკარგვის შემდეგ. უკანასკნელი ხმა ენისა, უკანასკნელი ამოოხვრა ენის არსებაშია, სთქვა ერთმა გერმანიის მეცნიერმა. იმას მოგახსენებდით, რომ დაუფასებელი დიდება ეკუთვნის იმ მამულიშვილებს, რომელნიც სიცოცხლესაც არ ჰზოგავენ თავის მამულის თავისუფლების დაცვისათვის, მაგრამ ერთი ათად და ასად უფრო მეტი დიდება ეკუთვნის მას, რომელთაც დაიცვეს და განაძლიერეს ხალხის ენა...

იმ უხილავმა განგებამ, რომელმაც ორი და სამი ათასი წლის განმავლობაში დაიცვა ჩვენი ხალხის არსებობა აუარებელ მტერთაგან, კარგად იცოდა, რა შავი დღე მოელის ქართველთ არსებობას ამ მეცხრამეტე საუკუნეში და მოგვივლინა ჩვენ თქვენი თავი უზაკველობითა და სიყვარულითა, შრომის მოყვარეობითა და უაღრესად ყოველთა ამ ნიჭითა, რომელსაც პოეტის ნიჭს ვეძახით და რომელიც ყოველგვარ ვაჟკაცობაზე, ყოველგვარ ზარბაზანზე და დინამიტზე უფრო ძლიერი ბა შეუნაცვლებელი იარაღია ენისა, თავისუფლებისა და საზოგადოდ ენის ვინაობის დაცვისათვის. თუ ამ ერს პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც აქვს მიღებული ამ ენაზე, რომელზედაც სწერს პოეტი...

ეხლა, ვსვამთ რა თქვენ სადღეგრძელოს, ჩვენო საყვარელო აკაკი, გისურვებთ, ღმერთმან მოგცეთ ძალა, რომ თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის სულის უზაკველობით და ჩვენის დავრდომილის ქვეყნის სასარგებლოდ მოხმარებულ იქნეს თქვენ-მიერ ეგ ზეცით მინიჭებული ნიჭი პოეტისა!

გისურვებთ, რომ თქვენი ნიჭით, საქმით და შრომით მუდამ ელტვოდეთ კაცთ-თანასწორობასა!..

დასასრულ, გისურვებთ, რომ ღმერთმან მოგცეთ სიცოცხლე გრძელი და ის, რომ ამ გრძელს სიცოცხლეში თქვენ მუდამ გვერდზედ ედგეთ ჩვენს ხალხსა, — ლხინში ის მოგყავდეთ პირველი და ჭირში თვით წინაუძღოდეთ" (გაზეთი „დროება", 1882, №181, 29 აგვისტო).

როგორც ვნახეთ, მასპინძელმა საკადრისად შეაქო ძვირფასი სტუმრის მოღვაწეობა ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.

აკაკიმ სამადლობელი სიტყვა მოითხოვა და როგორც „დროების" კორესპონდენტი „დამსწრე" მოუთითებს, ეროვნული ინტერესების შეგნებით აღსავსე მშვენიერი სიტყვა და ილია ჭავაჭავაძის სადღეგრძელო წარმოთქვა, რამაც მსმენელებზე დიდი ზემოქმედება მოახდინა.

აკაკის ცნობილი სიტყვა „თქმული თელავში 1882 წლის 17 აგვისტოს“ ორატორული ხელოვნების ნიმუშადაა მიჩნეული. იგი ერთდროულად საპასუხო სიტყვაცაა და ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოც.

დიდი ილია, თანამებრძოლის სიტყვით აღფრთოვანებული, წერდა: „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ: არ იცით, რა რას დაამჯობინოთ: სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს და ამ აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია. გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სამახსოვროდ, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას“ (ივერია, 1882, №9, გვ. 143-144).

აკაკიმ თავისის სიტყვაში ვრცლად ილაპარაკა საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. გაახსენა კახელებს წინაპართა საგმირო საქმეები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მსმენელებზე და კახელების დახასიათებას დაუკავშირა ილია ჭავჭავაძის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. ყურადღება მიაქცია კახელების გააქტიურებას საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში.

აკაკიმ, როგორც სჩვეოდა, დინჯად დაიწყო საუბარი: „როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც სშირად ენას უბამს კაცს და უნებურად ადუმებს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამჟამად, და, მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ მესეთადაც რომ შემეძლოს მისი გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მაგრძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ პირმოთნეობად მიიღებდით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟედ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში კი შემცდარი იქნებოდით — სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისაგან...“[1].

პოეტის სიტყვაში გამოიკვეთა კახეთის მძიმე ისტორიული წარსული. აკაკიმ ბრძანა: „ჩვენ სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დაადგამ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, — ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს

1 ა. წერეთელი. თხზ. სრული კრებული, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 194 („აკაკის სიტყვა თქმული თელავში 1882 წ. 17 აგვისტოს“).

და წვეთ ღვინოს ვერ ჩაყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს!“

ამის შემდეგ პოეტმა ყურადღება გაამახვილა ნადიმზე თელაველების ნათქვამ ასეთ სიტყვებზე: „ღმერთმა ჰქნას შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო“.

ამის საწინააღმდეგო აზრს სთავაზობდა აკაკი მასპინძლებს: „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი თხოვნა! — ეგ ხომ წყევლა იქნება!.. რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმარისი აღარ არის ხოლმე... სურვილი რომ თვითეულს თქვენგანში აღძრულია, ამას იმით ამტკიცებთ, რომ მცირე რამესაც უზომო ფასსა სდებთ: ეს პატივისცემა, რომელსაც მე ვხედავ და ის სიტყვები, რომელიც მესმის თქვენგან, ამტკიცებენ, ერთის მხრივ, თქვენს სტუმართმოყვარეობას და მადლიერ გულს და მეორით იმას, რომ თქვენ გენატრებათ გყავდეთ ნამდვილი მამულიშვილები და ამის გამო მათს „ჩრდილოებსაც“ ესე იგი მე და ჩემისთანებსაც არ ივიწყებთ და წინამორბედთ შეჰხარით“.

პოეტმა შენიშნა, რომ „ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შენიშნულია! ერთი ნაბიჯი გადადგმულია, რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვიღია, რაც სისხლით, ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ დგმას და... მამულიშვილობაც მათ მეტი უნდა გამოიჩინონ! ჩვენისთანაობა მათ აღარ შეჰფერით და ჩვენი ხელობა აღარ არგებთ. მომავალში დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვილები“[1].

აკაკიმ „ხალხის გამოღვიძებად“ და მის მაგალითად ის მიიჩნია, რომ იმ ხანებში, როგორც „დროების“ კორესპონდენტი შენიშნავს, „არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენს თელავი ამ ზაფხულს. თითქო წმინდა სული ეხლა მოეფინა თელავსო. ასე გაცხოველდა ჩვენში ადამიანი და საზოგადო საქმე. მაგალითისათვის შორს არ წავალთ. გავიხსენოთ დამზოგველი საზოგადოების დეპოს გახსნა, ქართული წარმოდგენების ერთი ერთმანეთზე ნახვა და სხვა“ (1882 წ. №181).

აქ ნახსენები „დეპო“ თელავში ივანე როსტომაშვილის ხელმძღვანელობით გაიხსნა და დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ხალხი, რადგან „ორი კვირის განმავლობაში 520 მანეთი შეგროვდა“... „დეპო“, საზოგადოდ, ახალი ხილი იყო და ამიტომ თელაველთა საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ივანე როსტომაშვილი, კოტე მახვილაძე

1. ა. წერეთელი. თხზ. სრული კრებული, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 196.

და დიმიტრი კიკნაძე, დიდი შრომა გასწია. პირადად ივანე როსტომაშვილი საქმის შესასწავლად საგარეჯოში ჩავიდა, სადაც პირველად გაიხსნა „დეპო“ ალექსანდრე ცხვედაძის მესვეურობით.

თელავის „დეპოს“ მიზანი ასე აქვს ჩამოყალიბებული „დროების“ კორესპონდენტს: „ამბობენ, რომ შემოსავალი უნდა ორად გაჰყონო. ნახევარი უნდა ქართველ ღარიბ სტუდენტებს გაუგზავნონ და ნახევარი თელავში რომ ღარიბთა საქალაქო სკოლა უნდა დაარსდეს, იმას უნდა მისცენო, ორივე კეთილი საქმეა და შემდეგშიც ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ“ (გაზ. „დროება“, 1882, №181).

საზოგადოებრივმა სავაჭრომ, „დეპომ“, რამდენადმე შეზღუდა ვაჭრების თავგასულობა. აკაკიმ მოიწონა სავაჭროში დაფუძნებული საქმიანობის მეთოდი.

თელავის „დეპოს“ საქმიანობაში თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ იქაური ქალები: სოფიო მაჭავარიანი, ლიზა მესხიშვილი, ელისაბედ ჩოლოყაშვილი (ივანე როსტომაშვილის მეუღლე) და სხვები. სწორედ ამ ქალთა თაოსნობით შთაგონებული იუწყებოდა „დროების“ კორესპონდენტი: „იმედია, რომ, როგორც უწინ, ისე ამ დავრდომილს დროშიაც, ჩვენი კახეთის ქალობა გამოიჩენს პირველობას და სიტყვით თუ საქმით ხელს გაუმართავს ამას და სხვა საზოგადო საქმეს. ვისურვებ, რომ კახეთის ქალების დაწინაურებულმა ნაწილმა უპირატესი ყურადღება მიაქციოს თავის უმცროსთ, ღარიბთ და უმეცრებაში ჩავარდნილ-ჩაფლული დების გონებით და ზნეობით განათლებას“ („დროება“, 1882, №181).

აქვე არის ცნობა იმის შესახებ, რომ ივ. როსტომაშვილს ჩაფიქრებული ჰქონდა ღარიბ ქალთათვის სასწავლებლის გახსნა, სადაც სწავლა უფასო იქნებოდა და მოსწავლეები მშობლიურ ენაზე მიიღებდნენ ცოდნას.

ივანემ მიზანს მიაღწია და მისი ხელმძღვანელობით 1883 წელს ასეთი სკოლა გაიხსნა თელავში. ერთი წლის შემდეგ, 1884 წელს გაიხსნა უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოც, რომელსაც ი. როსტომაშვილმა შესწირა თავისი წიგნადი ფონდი. მისი საქმიანობით კმაყოფილმა აკაკიმ თვითონაც გადასცა საკუთარი ნაწარმოებები და, აგრეთვე, ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე.

სწორედ კახელ ქალთა პროგრესული საქმიანობით იმედმოცემულმა აკაკიმ, თელავში პირველი სტუმრობისას, ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: „ჩვენი ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირატესი ადგილი უჭირავთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს. თვით უპირ-ველესმა ჩვენთვის მოღვაწე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები

გამოარჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოესახლა და აქაურ დედებს ძეგლად და სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი. იმედია, რომ აწინდელი დედებიც, ძველი დედების მიბაძვით, შეუდგებიან ქვეყნის სამსახურს და შვილების სამაგალითოდ ზრდას".

აკაკიმ, სიტყვაში, მამულიშვილობის საკითხს რომ შეეხო, საგანგებო ყურადღება მიაქცია კახეთის მიწაზე აღზრდილ სახელოვან მამულიშვილებს და შენიშნა: „კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიც, იმედია, შენი შვილები თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოუკარდებიან. ჩვენს დროსაც მოწინავე და მეთაური იყო თქვენიანი შვილი თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გიახლებით, იმედი მაქვს, თქვენიანი თანხმობით, ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულიშვილები".

„დროების" კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „აკაკიმ ილაპარაკა მრავალი, კარგად. ყველანი გაფაციცებით ისმენდნენ..." იქვეა ასეთი სიტყვები აკაკის შესახებ ნათქვამი „ნეტარია კაცი, რომელსაც თავისი უზაკველი ნიჭითა და შრომით დაუმსახურებია ხალხის ამგვარი სიყვარული და ყურადღება" (1882, №181).

თელავში წარმოთქმული სიტყვა მარტო მჭევრმეტყველების ნიმუში კი არ არის, იგი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის მოკლე დახასიათებაცაა.

მოგვყავს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა.

აკაკის სიტყვა თქმული 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში

„როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც ხშირად ენას უბამს კაცს და უნებურად ადუმებს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამ ჟამად, და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ მეასედათაც რომ შემეძლოს მისი გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მაგრძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ ან პირ-მოთნეობად მიიღებდით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟედ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში კი შემცდარი იქნებოდით. — სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისაგან და მხოლოდ ეს კი მკბენს გულში, რომ ეს მშვენიერი

მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორც ეკადრება. ამას მე არავის სასაყვედუროდ არ ვამბობ!.. ეს მოიტანა აუცილებელ ისტორიულმა მიზეზებმა: უხსოვარ დროდგანვე ამ მშვენიერ ქვეყანას ურიცხვი მტრები ყოველის კუთხით მონავრად ეხვეოდნენ. ამის გამო ჩვენი წინაპრების გრძნობა-გონება მხოლოდ იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ მტერი არ შემოეშვათ, და ეს კიდევაც საკვირველად აღასრულეს... გაუკეთეს საქართველოს სიმაგრეები და საკუთარის ძვლების გალავანი შემოავლეს!.. ბევრისაგან მესმის აქ კახეთის მიწების ქება: — ისე მდიდარია, რომ რამდენიც უნდა გადააბრუნო არ იღალებაო, — მე ეს არ მიკვირს. ეს ყველგან ასეა ჩვენში, ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინა-პრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, — ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმინდა წმიდათა“, ზიარება ჩვენივის, რომელიც სიწმიდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინა-პართ ღვაწლსა, და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერად კი: თუმცა ხმალ-და-ხმალ დღეს აღარ გვეხვევიან მტრები ყოველის კუთხით, მაგრამ მშვიდობიანობა კი მაინც არსად არის და ბრძოლა საჭიროა, მაგრამ, ბრძოლა უფარხრმლო, სადაც ნაცვლად სისხლისა პატიოსანი ოფლი და ცრემლი უნდა იღვრებოდეს. მაშასადამე საჭირო არიან მეომარი-გმირი-მამულიშვილები იმავე გრძნობითა და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ. — ეს სურვილი რომ თვითეულს თქვენგანში აღძრულია, ამას იმითი ამტკიცებთ, რომ მცირე რამესაც უზომო ფასსა სდებთ: ეს პატივისცემა, რომელსაც მე ვხედავ, და ის სიტყვები, რომელიც მესმის თქვენგან, ამტკიცებენ ერთის მხრით თქვენს სტუმართ-მოყვარეობას და მადლიერ გულს და მეორით იმას, რომ თქვენ გენატრებათ გყავდესთ ნამდვილი მამულისშვილები და ამის გამო მათს „ჩრდილოებსაც“, ესე იგი მე და ჩემისთანებსაც არ ივიწყებთ და წინამორბედთ შეპხარით. მადლობით და სიხარულით პატივს-ვცემ ამ თქვენს გრძნობას! — არ შემიძლიან წინააღმდეგობა გაგიწიოთ საზოგადოდ. მხოლოდ ერთ რამეს კი ვერ შეგარჩენთ; ბრძანებთ: „ღმერთმა ქნას შენ და შენისთანაები მომავალშიც ბევრი გვყოლოდეს“. ამის წინააღმდეგად ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ, — ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი თხოვნა! — ეგ ხომ წყევლა იქნება!.. რასაც დღესა ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო

ალარ არის ხოლმე... ჩვენი დრო მოითხოვდა სანგრძლივის უკულმართობის შემდეგ, პირველი ნაბიჯის წინ სწორად წადგმას, — რომ მითი ის აზრები აღძრულიყო ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამ ოცის წლის წინეთ, როგორც ბატონი როსტომაშვილი ბრძანებს, ყველას ეუცხოვებოდა და დღეს კი თვითოეულის თქვენგანის გულშიაც ჰლვივის. როდესაც დროზედ მამალი ჰყივის, მუშაკი იღვიძებს მის ხმაზედ და მიდის სამუშაოდ; ხშირად პატარა ფინია, ერთის დროზედ შეყეფით, ძლიერ მპარავსა და ავაზაკს, შეშინებულს, უკუ აბრუნებს ხოლმე, ჩვენი ღვაწლიც სწორედ ამ გვარივე იყო და დღეს სიხარულით ვხედავთ, რომ სურვილი არ დაგვლუპვია. ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შენიშნული! ერთი ბიჯი გადადგმულია. რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვიღია, რაც სისხლით, ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოებია, ღღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ დგმას და იმიტომაც შემდეგის დგმისგან მეტს მოვითხოვთ და მამულისშვილობაც მათ მეტი უნდა გამოიჩინონ! ჩვენისთანაობა მათ ალარ შეჰფერისთ და ჩვენი ხელობა ალარ არგებსთ, მომავალმა დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვილები ყოვლის უნაკლულოდ. — ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინა-პრები თავისის თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინა-პრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი. თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნებით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გიახლები, იმედი მაქვს, თქვენივე თანხმობით, ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულის-შვილები! და ეს ადვილად ასრულდება, თუ კი ჩვენი დედები მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს, ერთად ძუძუსთან შეაწოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულებას და თუ მამებიც უფრო სწორ-განათლების გზაზედ დააყენებენ, რომ იმათ სწავლას, უცხოობიდან გამოსულს, საძირკვლად ექმნეს ჩვენის ცხოვრების წარსული, აწმყოზედ გადაკავ-შირებული, და დიდებული ტაძარი ჩვენის ცხოვრებისა გაახლდეს. ჩვენის ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავსთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს. თვით უპირველესმა ჩვენთვის მოღვაწე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები გამოირჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოესახლა და აქაურ დედებს ძველად და სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი. იმედია, რომ აწინდელი დედებიც, ძველ დედების მიბაძვით, შეუდგებიან ქვეყნის სამსახურს და

შვილების სამაგალითოდ ზრდას!.. ღმერთმან მოგასწროსთ იმ დროს, რომ თქვენი შვილები ქვეყნის სასახელონი გამოსულიყვნენ და მითი თქვენი მშობლობაც ხალხთაგან კურთხეულ იყოს. მაშინ, სწორედ მაშინ გაიშლის გულს საბრალო ჩვენი, დღეს დაჯაჯრიანებული ქვეყანა და ყოველის კუთხით გაისმის „ვარხარალო" აღტაცებულის სიტყვებით: „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასო..."[1]

აკაკის თელავში წარმოთქმული სიტყვა გაზეთმა „დროებამ" მთელ საქართველოს მოჰფინა.

შენ ერთადერთი აკაკი ხარ!

ილია

აკაკის კახეთში პირველმა მოგზაურობამ გულწრფელი გამოხმაურება პოვა გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე. ილია სიხარულით შეხვედრია იმ ამბავს, რომ კახეთის საზოგადოება სიყვარულით, ზეიმითა და პატივისცემით შეხვდა აკაკის. მან ეს მოვლენა ქართველი ხალხის გამოღვიძებად, ერის გონების თვალის ახილებად და მომავლის იმედად დასახა. „შინაურ მიმოხილვაში" (1882 წლის სექტემბერი) იგი წერდა:

„ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბატონ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთს წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და მართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისთვის".

როგორც უკვე აღინიშნა, ილიამ მაღალი შეფასება მისცა აკაკის სიტყვას, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ საზოგადოებრივ

1. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. ტ. XII, თბ. 1960, გვ. 194-197.

ცხოვრებაში. ეს იყო ილიას მიერ პირველი საჯაროდ გამოთქმული აზრი აკაკის შესახებ და, აგრეთვე, მისი 25-წლიანი მოღვაწეობის შეფასებაც...

არ შეიძლება, მცირედ არ შევეხოთ ამ ორი დიდი მამულიშვილის გულითად ურთიერთობას, რომელიც ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო დასაბამიდან.

60-იანი წლებიდან დაწყებული ქართული მწერლობის ეს ორი ბუმბერაზი ერთმანეთს მოხუცებულობამდე უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა. ისინი აფასებდნენ, აღიარებდნენ და არსად ღირსეული ეპითეტის გარეშე არ მოიხსენიებდნენ ერთმანეთს.

აკაკიმ ჯერ კიდევ 1865 წელს აღნიშნა ილია ჭავჭავაძის უდიდესი როლი ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში, ხოლო, როგორც მწერალი, უყოყმანოდ დააყენა ნ. ბარათაშვილის გვერდით „ესენი არიან მოსე და აარონი ჩვენი ლიტერატურისა“:

„ორმოც წელზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ, — წერდა აკაკი ხანდაზმულობისას, — და არასოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვქონია, პირიქით, გარდა სიამტკბილი შეყრა-შეხვედრისა და ზრდილობიან, დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი მეორისგან არა გვინახავს რა!“[1].

ახლა ილიას მოვუსმინოთ „აკაკი ჩემს გულს ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლება, როგორც უკეთესი მეომარი ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. იგი ჩვენს ლიტერატურაში ჭეშმარიტად ბედნიერი ნიჭია, რომელიც არასოდეს მოკვდება“.

1886 წელს ილია თანამშრომლად იწვევს აკაკის „ივერიაში“. საგულისხმო წერილს უგზავნის „ჩვენი ხალხის რჩეულს“ და დიდი მოწიწებით სთხოვს, მისმა სახელმა დაამშვენოს გაზეთი „ივერია“.

„სხვებს წერილი გავუგზავნე, სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ! ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მიბძანა ჩვენის ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვნა, გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა“.[2]

„აკაკი და ილია! ალბათ, ეს პარალელი მუდამ დარჩება ქართულ ლიტერატურაში კიდევ უფრო — ჭირვეული დაეჭვება: რომელი მაღლა დგას?

---

1. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბ., 1950, გვ. 47.
2. იქვე.

აკაკი და ილია ტყუპებია, რომელნიც დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ „ტყუპები“ დარჩნენ მაინც. არჩევანი ხან ერთს ერგება, ხან მეორეს. „ტოლებში ეს ჩვეულებრივი ამბავია“ — ასე მსჯელობს მათ შესახებ გრ. რობაქიძე წიგნში „აკაკის ქნარი“.

ზოგი მართალს ამბობდა, ზოგი — არა, ზოგი ტენდენციურად განიხილავდა ამ ორი დიდი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებას, ზოგიც, ეგებ, საკადრისად ვერ იქცეოდა, როცა მათ საქციელს სჯიდა, მაგრამ, ერთი რამ ცხადზე ცხადია — რა საკითხზედაც უნდა ილაპარაკონ, მათ გვერდს ვერავინ აუვლის, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ XIX საუკუნის ღირსეულ ქართველობას, ისინი განასახიერებდნენ მაშინდელ საქართველოს გონებრივ ცხოვრებას, ყოველ დიდ ეროვნულ საქმეს ისინი უდებდნენ სათავეს და როგორც გალაკტიონი ბრძანებს „ქართველი ინტელიგენციის ისტორიაც ამ ორი პიროვნების გამოსვლით იწყება“. გალაკტიონს ილია ეპოქის სახედ მიაჩნდა. ეს აზრი თავის ერთ-ერთ ლექსში ასე გამოხატა „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

აკაკის კი ეთაყვანებოდა, აღმერთებდა, მაგალითად მიიჩნევდა...

ცნობილია აკაკის გალაკტიონისეული დახასიათება: აკაკი ნამდვილი სერვანტესი იყო ხუმრობაში, ნამდვილი ბაირონი — მწუხარებაში, ნამდვილი ჰაინე — ეროტიზმში და შეუდარებელი მოქალაქე — მამულის სიყვარულში.

ილიას და აკაკის, ამ ორ დიდ ადამიანსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ერთი რამ აერთიანებდა:

„ერთი ღმერთი სწამდა — ქართველი ერი,
ერთი სალოცავი ჰქონდა — საქართველო,
ერთს ეტრფოდა — სამშობლოს თავისუფლებას,
ერთი სძულდა — მისი ქვეყნის მტერი!“ ·

დავუბრუნდეთ აკაკის, რომელიც კახეთში პირველადაა და იმ აზრისაა, რომ „კახეთის უკეთესს ადგილს ვერსად ნახავენ ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ. აქ ხალხიც ისეთია, რომ თუ არ დაგეხმარება, ხელს მაინც არ შეუშლის სხვებსავით, რადგან კახელები ზნეობრივად უფრო მაღლა დგანან ჩვენის ქვეყნის სხვა ხალხებზედ...

— მართლაც რომ, კახეთი სხვა ქვეყანა ყოფილა...

კარგი ხალხია კახეთში“...

აკაკის ისიც არ დარჩა შეუმჩნეველი, რომ კახელებს, თუმცა „ბევრი შეუძლია, ძლიერაც გასწევს უღელს, თუ ძალა მიადგა, მაგრამ მეტად აუჩქარებელია...“

აკაკის დაკვირვებული, მზრუნველი თვალი მთელ კუთხეს გადაევლო. არაფერი დარჩენია უყურადღებოდ. მან კახეთის გაძლიერება-გამშვენიერების ერთ-ერთ წყაროდ მდინარე ალაზანი მიიჩნია, რომელიც იმხანად კახეთისათვის სრულიად უსარგებლო გამხდარიყო. ალბათ, ამიტომ უწოდა მას „უხეირო მდინარე". „ერთ დროს კი, როდესაც ქართველს თავი ხელთ ჰქონდა, ეს მდინარეც დამონებული ჰყოლია. ჩაუყენებია ხელოვნურად კალაპოტში და მის ნებაზე არ უხტუნებია... ოდესმე იმაზე უვლია ალაზანს და დედის რძესავით შერგებია მთელ მხარეს — დღესაც რომ ისე მიმდინარეობდეს ეს გიჟი, გულჩახვეული წყალი, კახეთს მეტი არა უნდა რა! მაგრამ სადღაა?"...[1]

ისტორიულად ცნობილია, რომ თამარ მეფის დროს, კახეთში ალაზნის არხი მოქმედებდა და ბევრი სიკეთეც ჰქონდა მას ამ მდინარის წყალობით. დროთა განმავლობაში ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის არხი მოშლილა და მდინარემაც შემდგომში თითქოს დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა.

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის უკვე იწერება ასეთი სტრიქონები: „ძნელად თუ სადმე მოიპოვება ასეთი უხეირო მდინარე: უამისოდაც ტყიან — ნოტიო მარცხენა მხარეს აწვება და აჭაობებს. მარჯვენა ნაპირი კი, ეს ამოდენა ტრიალი მინდვრები უნაყოფოდ გამხმარან" — წერს აკაკი ნარკვევში „სამგზავრო წერილებიდან".

აკაკის ძლიერ აწუხებს ის გარემოება, რომ გვალვისა და უმოსავლობისაგან შეწუხებული მოსახლეობა ტოვებს თავის საცხოვრებელს და სხვაგან მიდის, რათა თავი და ოჯახი არჩინოს. „თითო-ოროლა ოჯახი, აქა-იქ დარჩენილიყოო" — გულისტკივილით დაწერს შემდეგ ლექსში „კახელებს".

პოეტი იძლევა რჩევას, თუ ახალ არხს ვერ გაიყვანენ, ალაზანი ისევ ძველ არხზე გადაიყვანონ, რომ კვლავ ხალხისთვის სასარგებლო გახადონ, მის სამსახურში ჩააყენონ ეს წყალუხვი მდინარე, რომელსაც ლექსში „ოცნება" „მთის ცრემლები" უწოდა. პოეტი აგრეთვე, სინანულით აღნიშნავს, რომ ვერაფერს ველარ ვაბამთ თავს, რადგან „დავნაცარქექიავდით".

აკაკი შენიშნავს, რომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და გასამართავი კახეთში. ისინი ოდესმე თავს იჩენენ და მერე ვაი, თუ უცხოელებს

---

1. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 236.

ჩაუვარდეთ ხელში და მაშინ დღევანდელი მეპატრონეები დღიურ მუშებად გადაიქცევიან, „თუმცა ხმალდახმალ დღეს აღარ გვეხვევიან მტრები ყოველის კუთხით, მაგრამ მშვიდობიანობა კი მაინც არსად არის და ბრძოლა საჭიროა, მაგრამ ბრძოლა უფარხმლო, სადაც, ნაცვლად სისხლისა, პატიოსანი ოფლი და ცრემლი უნდა იღვრებოდეს. მაშასადამე საჭირო არიან მეომარ-გმირი-მამულიშვილები“ (თელავში 1882 წელს წარმოთქმული სიტყვიდან).

აკაკის ოცნების განხორციელება — გვალვისაგან უნაყოფოდქმნილი ალაზნის ველის მორწყვაზე, თამარის არხის აღდგენაზე, იმ დროს შეუძლებელი იყო. დიდი იმპერიის ერთ-ერთი განაპირა რეგიონი, პატარა საქართველო რუს იმპერატორთა ზრუნვის კი არა, დაპყრობის საგანს წარმოადგენდა.

ამავე საწუხარს ვეცნობით აკაკის თანამედროვე, გაზეთ „დროების“ რედაქტორის, სერგეი მესხის წერილში „ალაზნის მინდორში არხის გაყვანაზე“ (დაიბეჭდა „დროებაში“, ინიციალებით — ს. მ. №7). ავტორი, აკაკის მსგავსად, შეშფოთებას გამოთქვამს: „ამ მხარეში უცხო ქვეყნელებს არ ჩაადგმევინოთ ფეხი, თორემ მაშინ არხის გაყვანა სარგებლობის მაგიერათ, უეჭველია, უანგარიშო ზიანს მოუტანს არა თუ მარტო ალაზნის მხარეს, იქნება მთელს კავკასიასაც. თუმცა, კონკრეტულად არ ასახელებენ, მაგრამ აქაური იმამულეები, თურმე აპირებენ საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებიდან კაპიტალისტების მოწვევას“ — ეს აფიქრებს თავისი ქვეყნის მოყვარე პოეტსაც და ჟურნალისტსაც.

აკაკი თავისებურად კენწლავს ფულის გამორჩენის მსურველს, რომელიც „ღვინოს წყლითა სწყმედავს, რომ ორი გროში მოპარვით დაირჩინოს“ და აღნიშნავს საქართველოს ბუნებისა და ჩვენი წინაპრების „გულ-უხვობას“, „გულგახსნილობას“. იხსენებს ერეკლე მეორის შვილიშვილის ალექსანდრე ორბელიანის თხზულებიდან ქართველი გლეხის წეს-ჩვეულება: „ქართველი რომ სათესავად გავიდოდა, ჯერ რამოდენიმე მუჭა ხორბალს ისე აბნევდა ხნულში ამ სიტყვებით: ეს ღმერთს!.. ეს მგზავრს, ეს მტერს, ეს მოყვარეს, ეს ქვრივ-ობოლს, ეს მკვდარს, ეს თაგვს, ეს ფრინველს, ეს ამას და ეს იმასო! მერეღა იტყოდა „ეს მე და ჩემიანს“ და დაიწყებდა ერთპირად თესვას. აქედან მოსდგამს ქართველს გულუხვობა და ხელგაშლილობა, სხვებისგან ასე რომ განასხვავებს... და ვერას დააკლებს, თუ თავის ქვეყანას და ჭირნახულს თვითონ მოუვლის და წურბელებს არ გაატანინებს“ — გვაფრთხილებს აკაკი.

აკაკი წუხს, რომ მკვიდრი მოსახლეობა იძულებულია თავისი

გასაჭირი სხვას შესჩივლოს, ამისთვის ფულიც უნდა გაიღოს და იქნებ მაინც ვერ მიაღწიოს სამართალს, ამიტომ სიფრთხილისაკენ მოუწოდებს თანამოძმეთ — უცხოს ერიდონ.

აკაკი კახელებს საერთო-ეროვნული საქმეების კეთებისკენ მოუწოდებს და სანიმუშო, მისაბაძ კაცად მიიჩნევს მათ შორის მეტად პოპულარულ ადამიანს, მაზრის უფროსს ლევან ჯანდიერს.

„სამგზავრო წერილებში" საყურადღებოა ის ადგილი, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს ეხება. აკაკი ვერ მალავს გაოცებას იმის გამო, თუ როგორ არის მაზრის უფროსი „ასეთი საყვარელი კაცი" და იქვე დასძენს: „ჩვენში თანამდებობას რომ ვინმე ჩაიგდებს, ასე ჰგონია, ხალხს მუხრუჭი უნდა მოვუჭიროო! იმიტომ მომცეს ეს ადგილი, რომ ხალხი ოთხში ამოვიღოო"! ლევან ჯანდიერის სახით კი მან სულ სხვაგვარი ადამიანი იხილა.

აკაკის მიერ მოწონებული და ხოტბაშესხმული ლევან ჯანდიერი (1848-1918 წ.წ.) მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. იგი დაიბადა სოფელ ვაჩნაძიანში, თავად გიორგი ჯანდიერის ოჯახში. მამამისს, გამორჩეული ვაჟკაცობის გამო, თურმე, „დროშა გიორგის" ეძახდნენ.

ლ. ჯანდიერს ჯერ კიდევ 14 წლისას გამოუქვეყნებია თავისი პირველი თარგმანი ჟურნალ „ცისკარში", 15 წლისამ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით დაბეჭდა თარგმანი პედაგოგიური თხზულებისა „კონრად კიფერი". ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, იგი ახლოს ყოფილა ილიასთან: „სადაც კი წავიდოდა ილია, ეს ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული კაცი თან დასდევდა".

ლ. ჯანდიერს თავისი კეთილშობილებით, საქმისადმი უღალატო დამოკიდებულებით მხოლოდ აკაკისა და ილიას კი არა, ვაჟას გულიც მოუგია. ამის შესახებ „დროების" ფურცლებზე ვაჟას ასეთი აზრი გამოუთქვამს. „იგი ყოველნაირად ეხმარება ხალხს... ცდილობს სკოლების გაშართვას... ლევან ჯანდიერი ერთი უკეთესი ადმინისტრატორთაგანია".

აკაკი წერეთელს ლევან ჯანდიერი ქართული ხასიათის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნდა. მრავალჯერ სტუმრებია მის კერას თბილისსა და ვაჩნაძიანში, სადაც კვირაზე მეტ ხანს დარჩენილა და ყოველთვის მოხიბლულა ჯანდიერებთან ყოფნით, თვითონაც ტკბილი მოგონებები დაუტოვებია ვაჩნაძიანელებში.

ლ. ჯანდიერის ქალიშვილი ეკატერინე, აკაკისა და ილიას რჩევით და ხელშეწყობით, შვეიცარიაში გაემგზავრა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მისაღებად.

ილია და აკაკი ქალთა განათლების მომხრენი იყვნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ დახმარებოდნენ ყველას, ვისაც სურვილი ჰქონდა სწავლა-განათლების მიღებისა. მათ დიდი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნის ქართველი ქალის სულიერ გარდაქმნაში, ერის სამსახურში მისი ჩაყენების საქმეში. აკაკი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასოფლო-სამეურნეო ცოდნას, რადგან მისი აზრით, საქართველოს, მიწათმოქმედების ქვეყანას, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მქონენი ესაჭიროებოდა. ეკატერინემ ლოზანაში დაამთავრა სასწავლებელი და სწავლული აგრონომის სახელით დაუბრუნდა სამშობლოს: „კაცებს ჰგონიათ, რომ ქალებს ჩიტივით გაზრდისა და გათხოვების მეტი არა უნდათ რაო. მადლობა ღმერთს, რომ ეს არ დაიჯერეს ქალებმა და ეს ერთი ხანია, მიჰყვეს ხელი თვითგანათლებას და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს". წერდა აკაკი („თემი" 1912, 17 აგვისტო). ამის დასტურია ეკ. ჯანდიერის მოღვაწეობა. მან სანიმუშოდ მოაწყო მამის მეურნეობა, სოფელში საკუთარი სახსრებით ააშენა ბიბლიოთეკა, შექმნა საგლეხო ბანკი, რომელმაც რამდენიმე წელს იარსება და ასობით გლეხს გაუმართა ხელი, დაარსა სკოლა.

შემონახულია ორი ფოტო აკაკის ჯანდიერებთან სტუმრად ყოფნისას გადაღებული ივ. ბარკალაიას მიერ.

ვაჩნაძიანში ჯანდიერების აკაკისთან ერთად გადაღებული ეს სურათები სიმბოლურია. იგი მაშინ გადაუღიათ, როცა ქართველმა ქალიშვილმა სწავლული აგრონომის სახელი დაიმკვიდრა და ღირსეულად დადგა სხვა ქართველ აგრონომთა შორის.

აკაკიმ შეამჩნია, რომ „თელავის ინტელიგენცია ფხიზლად არის", რის შედეგადაც სიტყვას საქმეც მოჰყვა და 1883 წელს გლეხქალთა სკოლა გაიხსნა, 1884 წელს წიგნსაცავ-სამკითხველო, „დეპოც" შეიქმნა, სცენისმოყვარენი კი თელავის თეატრალურ ტრადიციებს აგრძელებდნენ. აკაკი განსაკუთრებით კახელ ქალთა პროგრესულმა წამოწყებებმა აღაფრთოვანა. ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. აკაკი ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ყოველივეს სულისჩამდგმელი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ცნობილი პედაგოგი, უანგარო საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი იყო (1852-1924 წ.წ.), რომელსაც დაუღალავი საქმიანობის გამო ილია ჭავჭავაძემ „ჩვენი ფუტკარი" შეარქვა.

ივანე როსტომაშვილს დიდად აფასებდა, აგრეთვე, აკაკი. როდესაც ივანემ თავისივე დაარსებულ გაზეთ „სინათლეში" დაბეჭდა წერილი

„ერთობა ღვთაებაა, პატივი ეცით მას“, იგი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მას ციმბირში გადასახლება ელოდა. ახლობლებთან ერთად აკაკი დიდად გაისარჯა, რამდენიმე გავლენიან პირს მიმართა საშველად, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. მეუღლის თავგამოდებული მცდელობით თავდახსნილ ივანეს შინ ეწვია, მიულოცა ტყვეობიდან განთავისუფლება, ხოლო მისი მეუღლე ლიზა ქრისათვის თავგანწირული საქციელის გამო ძლიერ შეაქო და მადლობა გადაუხადა: „ივანე არა მარტო ოჯახს, საზოგადოებასაც დაუბრუნე, მადლობელი ვარ ამისათვის, დიდი მადლობელი“.

ივანე იყო აკაკის მეგზური და მასპინძელი მისი კახეთში პირველი სტუმრობის დროს. თუმცა, ბევრმა მოინდომა ყოფილიყო დიდებული სტუმრის მასპინძელი, მაგრამ თვითონ აკაკიმ ივანე როსტომაშვილთან ისურვა ყოფნა და მის ოჯახში დაბინავდა.

ივანე სიხარულით მასპინძლობდა ძვირფას სტუმარს. ასევე დაუზარებლად და ხალისით უწევდა მეგზურობას – აცნობდა მშობლიურ მხარეს. აკაკის ყველაფერი აინტერესებდა, ხიბლავდა. გულისყურით ეცნობოდა კახეთს, რომლის ნახვა, დიდი ხანია, ოცნებად ჰქონდა. ათვალიერებდა ყოფილი სატახტო ქალაქის სიძველეებს, ესიყვარულებოდა სახელოვანი ისტორიის მქონე დიდბრძოლებგადანახად Უძველეს ქალაქს, უკირკიტებდა მის წარსულს...

ჯერ კიდევ XI საუკუნის პირველ მეოთხედში გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე დიდმა „ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“... ააშენა „სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“. კვირიკესეული მშენებლობის ნაშთები, ციხის ზღუდის კედლების სახით ე. წ. „ძველი გალავნის“ ნაშთები, ბევრს მეტყველებდა, მნახველს თვალწინ უშლიდა წარსულს, სიამაყითა და იმედით ავსებდა მაშინაც, როცა ქვეყანას დამოუკიდებლობა წართმეული ჰქონდა. იქნებ სწორედ აქ, „ნანგრევებში დანახულმა წარსულმა“ და მისგან მოგვრილმა განცდამ ათქმევინა აკაკის იმედიანი სიტყვები კახეთის თემაზე შექმნილ ლექსში „ოცნება“ – „რაც არ უნდა ჭირი ნახოს, საქართველო არ გაქრება!“

ჯერ კიდევ თელავში შემოსვლამდე მოხიბლა შუამთამ. ცივ-გომბორის მთის ტყიან კალთაზე, მთებს შორის თითქოს საგანგებოდ დატოვებულ ვაკე ადგილზე აგებული მისი მონასტრების იდუმალებამ, მისმა შემოგარენმა. შუამთის ულამაზესმა ტყე-ველმა შთაგონებით აავსო და გაუკვირდა, რომ ჯერ არავის უკვდავეყო ნაწარმოებში ეს

თვალწარმტაცი ადგილები, დიდი ამბების უტყვი მოწმე მონასტრები...

ნაზად გაჰკრა ფრთა მუზამ... განმარტოვდა თანმხლებთაგან. მონასტერს გარს შემოუარა, თვალი გადაავლო მის შემოგარენს, ხელით შეეხო მკვიდრად ნაშენ კედლებს, რომელიც ალაგ-ალაგ დაბზარულიყო... მიეყრდნო, თვალდახუჭულმა ნეტარებით შეისუნთქა შუამთის საამო ჰაერი.

აქ ახლა სიჩუმეა, მხოლოდ ჩიტების ჟღურტული არღვევს მყუდროებას, მათი გადაბახილი... ირგვლივ თვალშეუდგამი სილაბაზეა... თვალი და ყური ამაზე უკეთესს რას ნახავს და რას მოიხილავს, მაგრამ, რის მოწმეა ეს უტყვი მონასტრები – არც თუ ისე ძველი დროის ნაშთები – კახთა საყვარელი მეფე ლევანის (1520-1574 წ.წ.) და მისი მშვენიერი მეუღლის, გურიელის ამაყი ასულის თინათინის ბიერ დაფუძნებული? სიყვარულში ნაღალატევმა დედოფალმა ჯერ მონაზვნად მოაშურა შუამთას და შემდეგ კი აქაურობა სამუდამო განსასვენებლად ექცა...

„უხსოვარი დროიდანვე ამ მშვენიერ ქვეყანას ურიცხვი მტრები ყოველის კუთხით მონავრად ეხვეოდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან... ჩვენმა წინაპრებმა „გაუკეთეს... სიმაგრეები და საკუთარი ძვლების გალავანი შემოავლეს, რადგან მტერი არ გვასვენებდა...“

1659 წლის კახეთის აჯანყება გაახსენდა: „ბრისსანებით აღტაცებული შაჰ-აბასი ცეცხლითა და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო: ციხე-ქალაქები დაიცია, სოფლები აოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა... ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა – დაიღუპა. ამ უბედურებამ ლანგ-თემურის დროებასაც კი გადააჭარბა... მძვინვარე შაჰმა, რაც გასწყვიტა, გასწყვიტა და, რაც არა, ათასობით და ათი ათასობით სპარსეთში გადაასახლა, ამათ მოადგილედ ულუსები გადმოასახლა და გალმა-გამოლმა ალაზნის პირები დაიჭირა“ („ბაშიაჩუკი“).

აწიოკებული მოსახლეობის მშველელი ეს ტყე-ველი და მთები იყო. მთები, რომლებიც ერთგულ დარაჯად ედგა მუდამ თავის ქვეყანას. ციგ-გომბორის მთის კალთაზე, ტყის სიღრმეში შეყუჟული ეს მონასტერიც, უთუოდ, ქართველთა საიმედო თავშესაფარი იქნებოდა მტრის შემოსევის დროს. აქ, ალბათ, ყველაზე უმწეონი – ქალები და ბავშვები აფარებდნენ თავს. იქნებ, ლამაზ ქალებს მალავდნენ ძმები, მამები, ქმრები, რომ ჰარამხანაში მოხვედრისაგან დაეცვათ, თვითონ

კი, ტყეს შეფარებულნი, გარედან პატრონობდნენ?! მაგრამ, როგორც ყოველთვის, მათ შორის გამოერეოდა ერთი სულმოკლე და საკუთარი კეთილდღეობისათვის მოძმეთ გასწირავდა... ასე იქნებოდა, ასე... ამოიოხრა, სინანულით გადაიქნია თავი და ისევ მიესიყვარულა ხავსმოდებულ, ჟამგადავლილ კედლებს. ნელი ნაბიჯით განაგრძო სვლა ტაძრის გარშემო.

შუამთის ტყე-ველის სილამაზე სამუდამოდ ჩაიბეჭდა პოეტის მეხსიერებაში, ხოლო შემდეგ აქ მიღებული შთაბეჭდილებები სულისწარმტაც ამბებად გარდაისახა და ჩამოყალიბდა ისტორიულ თემაზე შექმნილ მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“.

„ვახშმობა გადასული იყო. ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი ალი-ყული ხანი კრიალოსანს ათამაშებდა და მალი-მალ კარებისკენ იხედებოდა. გაიჭრიჭინა კარმა, შემოჰყო თავი ტერტერას ქვრივმა, ფრთხილად შემოვიდა, მდაბლად თაყვანი სცა ხანს და გაჩერდა.

— ოჰ, შენ ხარ, თიმსალ? — უთხრა ხანმა, — სად არის?

— მარტო გეახელ; — მიუგო მოწყენით ქვრივმა.

— მარტო რაში მინდიხარ? — მიაძახა ცოტა გულმოსულად და წამოჯდა. — ეგები საჩუქარი იცოტავა?

— რა ბრძანებაა, ჩემო ხელმწიფევ. მხოლოდ ველარ მივუსწარ. ეჭვი აუღიათ ჭირისუფლებს და გადაუხიზნავთ.

— როგორ თუ გადაუხიზნავთ?

— სადაც კი გამოჩნდება ლამაზი ქალი სულ მონასტრებში მიჰყავთ, ვითომდა მოლოზნებად და იქ კი მალავენ... რომ აქ თქვენ დიდებულებას ან სხვა ვისმეს ხელში არ ჩაუვარდეს. აი, ბატონო, რალა შორს წავიდეთ, შუამთის მონასტერი ლამაზებით არის გატენილი. შარშან რომ დიდებული ყენის საძღვნო თორმეტი ქალი მოსტაცეს ქართლის მეფეს, ისინიც იქ არიან თავშეფარებული...

ამის გამგონე ხანი თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე და ბრაზ-მორეულმა დაიღრიალა: „ეი, აბდუშაჰილ, აბდუშაჰილ!.. წადი ახლავე, ცხენოსანი ჯარი შემოარტყი შუამთის მონასტერს და ააორეთ! აიკელით! ნურვის დაზოგავთ: ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს... ნაკუწ-ნაკუწად აქციეთ ყველა! მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს, აქ წამომგვარეთ ხელუხლებლად; ნადავლი ჯარმა გაიყოს! გასწი, ნუღარ აგვიანებ!..

გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნელად, ერთი საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუამთაში. თათრები დაერივნენ

უმწეო დედაკაცებს და მუსრი გაავლეს. ზოგი გალავანზე გადაცვივდა, ზოგი კლდეზე გადაიჭრა, რომ თავი საბილწავად არ მიეცა, ზოგმა თვითონ მოიკლა ნამუსახდილი თავი და სხვებს უმოწყალოდ გამძვინვარებული მტრები ჰკეპავდნენ...“ („ბაში-აჩუკი“).

აბდუშაჰილის ხელით არ მომხდარა მონასტრის დარბევა... ამ გმირის წარმომავალობაც კახეთს უკავშირდება. როგორც შ. მარკოზაშვილი წერს: „აბდუშაჰილი ძლიერ ახლოს დგას თელავის რაიონის სოფელ იყალთოში ჩაწერილი მოგონების „გულუზარის“ გმირ ალექსანდრესთან“[1]. სავარაუდოა, რომ აკაკიმ კახეთში პირველი მოგზაურობისას ჩაიწერა და ისარგებლა ამ მასალით. თევდორაანთ მელანოც „თელავის მახლობლად ერთ პატარა სოფლის განაპირას, ტყის პირას ცხოვრობდა“. მისი სიმტკიცით მოხიბლული აბდუშაჰილი წარმოსთქვამს ავტორისავე სათქმელს: „აი, სად ყოფილა, ქალი! კიდეც ეს არის, რომ ამდენი ხანი ქართველები გვიმკლავდებიანო“. აკაკიმ აქაც გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ქალისადმი, რომელიც საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდა ყოველთვის.

სანახავ-დასათვალიერებელს რა დალევს კახეთში, მაგრამ აკაკი არ იღლებოდა. აქ ყველაფერი: ძველი ყოფის შემორჩენილი ნაშთები, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა, თვით ბუნება, მის გარშემო მყოფი ადამიანები, მეტად საამო გარემოს ქმნიდნენ და ისიც, „კეთილსა და გულუხვ მასპინძლებს“ მინდობილი, ისუნთქავდა „ნადიკვრიდან“ მონაბერ კახეთის „კეთილად შეზავებულსა სულის ჩამდგმელსა ჰაერსა“ და აღტაცებას ვერ ფარავდა. მისი პოეტური ბუნება, ახალ-ახალ სანახაობას მოწადინებული თვალი და მძაფრ შთაბეჭდილებებს მონდომებული გონება ხარბად ისუტავდა კახეთში ნანახსა და განცდილს. ხალისიანად იყო და მისი სიხალისე სხვებისთვისაც გადამდები ხდებოდა. მასპინძლები ხომ თავს ევლებოდნენ...

აკაკი აღაფრთოვანა კახეთმა, რაც არაერთხელ აღნიშნა კიდეც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ადამიანებმა მოხიბლეს.

---

1. შ. მარკოზაშვილი, აკაკი წერეთელი კახეთში, „კახეთი“, 1992, ნოემბერი, გვ. 6.

„რუსთაველის მოციქული“ ქიზიყში

თელავში სტუმრობის შემდეგ, პოეტს ქიზიყის ნახვა ეწადა. ამიტომ იგი თელავიდან სიღნაღში გაემგზავრა. აკაკი წერეთელმა კახეთში ორჯერ იმოგზაურა სიღნაღის გავლით: პირველად 1882 წელს, მეორედ – 1897 წელს.

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი „იქაური“ აღნიშნავს, რომ თურმე დროის უქონლობის გამო უნდოდა სიღნაღის მაზრა მხოლოდ გზად გაევლო და მალე გამობრუნებულიყო, მაგრამ სიღნაღში ასვლისთანავე აკაკი მიიწვიეს ბოდბეში „წმინდა ნინოს მონასტერში“ და იქ გაუმართეს დიდი ნადიმი.

„ბევრ სხვადასხვა ლხინს დავსწრებივართ, – წერს კორესპონდენტი „იქაური“ – და იმისთანა ერთგვარი და ერთპირი გულგაშლილი მხიარულება ძვირად გვინახავს. ბერს თუ ერს, ქალს თუ კაცს, დიდს თუ პატარას, ყველას რაღაც სხვაგვარი სიამოვნება ეხატებოდა სახეზე“ (1882, №182).

ამ შეხვედრის შესახებ ანდრო აბრამიშვილი წიგნში „ლიტერატურული წერილები“ წერს: „აგვისტოს ბოლოს აკაკის სიღნაღში დიდი შეხვედრა მოუწყეს. სიღნაღის უეზდის მარშალს რევაზ ვაჩნაძეს წარმოუთქვამს მეტად გრძნობიერი სიტყვა, არც აკაკი დარჩენილა ვალში და თავის მხრივ უთქვამს ქართველ ქალთა სადღეგრძელო“.

ლხინი გვიან ღამემდე გაგრძელებულა. მეორე დღეს კი რევაზ ვაჩნაძეს აკაკი მრავალ სტუმართან ერთად თავის ოჯახში მიუწვევია. „დროების“ კორესპონდენტის თქმით: „ყველგან ერთი და იგივე ნათქვამი – მხიარულება და რაღაც საერთო დღესასწაულები! – ასე გასინჯეთ, რომ არა თუ ამ საზოგადო, კერძო წვეულებებსაც საზოგადო ხასიათი ჰქონდა... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აკაკიმ კახეთში“, – აღფრთოვანებული წერდა „იქაური“.

აკაკის სტუმრობა თელავსა და სიღნაღში საგანგებოდ ყოფილა აღნიშნული მაშინდელ პრესაში. ამით განაწყენებულ ერთ „ჩინოსანს“ გესლით აღუნიშნავს: „აქ, ვინ იცის, რამდენჯერ მობრძანდებიან ხოლმე დაწინაურებული და დაჯილდოებული პირები, მათთვის ყურსაც არავინ იბერტყავს და ახლა კი თავ-კისერს იმტვრევენ“ („დროება“, 1882 წ. 1 სექტ. №182).

ეს სიტყვები, „ჯილდოებით მორთულ-მოკაზმულ პირთა ხალხის დაუფასებლობით გულნატკენი ჩინოვნიკისა“, უფრო იმის დასტურია, რომ ხალხის გული უტყუარად ცნობს თავის მოყვარესა და ჭეშმარიტ

ჭირისუფალს... რომ ის აფასებს მამულიშვილებსა და მამულიშვილობას არა ჩინ-მედლებით, არამედ მგზნებარე, ქვეყნისა და ხალხის მოყვარული გულით, სიტყვითა და საქმით.

აკაკი სიღნაღს სხვა დროსაც სტუმრებია. ერთ-ერთ მის თბილისელ მასპინძელს, ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას, რომელსაც თავის ბინაში აკაკისათვის სპეციალური ე. წ. „ცისფერი ოთახი" ჰქონია გამოყოფილი, სადაც ყველა პირობას უქმნიდა მუშაობისათვის, ერთ ზაფხულს პოეტი სიღნაღში წაუყვანია. იმჟამად სიღნაღში ცხოვრობდა მისი და, რომლის მეუღლეს იქ მდგარი ჯარის ნაწილის უფროსად უმსახურია.

მასპინძლები და სიღნაღის საზოგადოება განსაკუთრებული სტუმარ-თმოყვარეობით დახვედრია პოეტს: აუღებელი სუფრა სუფრას მოსდევდა ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად... აკაკის ენაწყლიანობისაგან პირდაპირ აღტაცებული იყო საზოგადოება: „შემინიშნავს, რომ, რაც უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო მის გარშემო, ყოველთვის, რამდენიმე სიტყვის შემდეგ, საუბრის ძაფი გადადიოდა აკაკის ხელში და ბოლომდე ის რჩებოდა უცვლელ დირიჟორად. დირიჟორობდა დინჯად, ხმაუმაღლებლად, ყოველთვის მოზომილად და თავდაჭერილად. კვიმატი ენა ჰქონდა, მაგრამ ტკბილი თხრობის კილოში მჩხვლეტავ ეკლის სიმწარეს ისე გაურევდა, რომ თვით ისარნაკრავიც იხიბლებოდა მოსწრებული სიტყვიდან მოულოდნელად დაკვესილ ცინცხლების სილამაზით"[1].

პოეტის თანამედროვენი მოუთითებენ, აგრეთვე, მის ტკბილ ქართულზე — აკაკის მოსმენას არაფერი სჯობდა. თვითონ საუკეთესო მოსაუბრეს, ორატორს, ძლიერ უყვარდა კარგი ქართული სიტყვის მოსმენა, ორატორის ყურისგდება. მრავალ ენას ფლობდა, მაგრამ არასოდეს მათი ცოდნის გამო მშობლიური ენა არ დაუჩაგრია. ამის დასტურად გამოდგება აკაკის სიტყვა იტალიელი მსახიობის ერნესტო როსსის მიმართ: „მე დღეს ქართულად გიპასუხებთ შესხმით სიტყვას. გამოვტყდები, ზედმიწევნით რომ ვიცოდე უცხო ენა, მაინც ქართულს ვერ ვულალატებდი, რადგანაც ჩემი დედაენა ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესია ჩემთვის". დღესაც გასათვალისწინებელია აკაკის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი.

დიდხანს ჰქონიათ სიღნაღელებს სალაპარაკოდ პოეტის სტუმრობა... აკაკიც, თავის მხრივ, დიდხანს განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა

---

1. ალ. აბაშელი, „აკაკის შარავანდედი", წიგნში „მოგონებები აკაკიზე", თბ., 1990, გვ. 10.

სიღნაღელთა გულითად დახვეღრას და მათ პატივისცემას.

აკაკის ძლიერ ჰყვარებია სანახაობა, ზეიმი, საზოგადოებაში ტრიალი, ლხინი. თუმცა, ლხინის დროს ის არასოდეს უნახევს ვინმეს ღვინოს, და საერთოდ, სასმელს მიძალებული. როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, იგი ღვინოს არ სვამდა, ან წყალგარეულს მიირთმევდა ცოტას. მას ხიბლავდა: სიმღერა, ცეკვა-თამაში, სიტყვაში შეჯიბრი... ღვინო, შეზარხოშებული მდგომარეობა, რომელსაც ყველაზე გაუბედავი და უთქმელი ადამიანიც კი ლაპარაკის ხალისზე მოჰყავს, მას არ იზიდავდა, რადგან, უამისოდაც, როგორც თავად წერს — „ძთვრალი ვარ სიცოცხლით, ოდნავ შეზარხოშებული შემოქმედების ცეცხლით და ღვინის საშუალებით ხელოვნურად გაძლიერება სულიერი მდგომარეობისა, არასოდეს მხიბლავდაო“.

ქიზიყში დაუვიწყარი შეხვედრების შემდეგ, აკაკი უფრო ძვირფასი გახდა ამ კუთხის მცხოვრებლებისათვის. უშუალო შეხვედრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თვით პოეტსა და ქიზიყელებზე. ისინი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საყვარელი პოეტის მოღვაწეობას, მის ჯანმრთელობას. ამის დასტურია გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ერთი მასალა.

როდესაც 11 ივლისს გაზეთმა მკითხველებს პეტერბურგში მყოფი პოეტის ავადმყოფობის ამბავი აცნობა, ხოლო 14 იულისს კი მისი უკეთ გახდომისა, აკაკის სიღნაღელმა თაყვანისმცემლებმა ამის გამო პარაკლისი გადაიხადეს. აი რას წერს ამის შესახებ „ივერია“: „ამოვიკითხეთ თუ არა, რომ აკაკი წერეთელი უკეთ გამხდარა, მაშინვე პოეტის აქაურმა მცნობებმა და პატივისმცემლებმა სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ. პარაკლისზე საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო“ (1891, 18 ივლისი, №151, გვ. 2).

სიღნაღელები ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდნენ პოეტისადმი. როდესაც სიღნაღში ყოფნის წინ აკაკიმ ჟურნალ „მწყემსში“ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ გამოვიდოდა მისი სამგანყოფილებიანი კრებული — წელიწადში 12 წიგნი, მათზე ხელმოწერა ითავეს სიღნაღელებმა: დ. მაჩხანელმა და თ. ჩოლოყაშვილმა.

აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კრებულის გამოსვლას. მასში დაიბეჭდებოდა: პირველში — ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, მეორეში — „ჩემი თავგადასავალი“. შიგ ახლადჩართული შენიშვნა — განმარტებებით, მესამეში — ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ხალხში შეკრებილი: შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვა.

აკაკი მკითხველს თხოვნით მიმართავდა — შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის ამ დიდ საქმეში. თვითონ იგი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისას, იწერდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

აკაკის სურდა თავი მოეყარა ხალხში გამბნეული ფოლკლორული მასალისათვის, იგი გრძნობდა, თუ რა საუნჯე იმალებოდა საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ შექნილ ნაწარმოებებში.

მის დროულად შეგროვებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: „მისწრებაზეა და თუ დავაგვიანეთ, ერთ ან ათ წელიწადს იქით ხსენებაც აღარ იქნებაო" — წუხდა. როგორც სიმონ ჩიქოვანი წერს, ერთ ხანს ამხანაგობის შედგენაც სცადა, რომ ჭიათურის მარგანეცი, რომლის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ უცხოელები, ჩვენივე ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა. იქიდან შემოსული თანხით დაექირავებინა ხალხური შემოქმედების მასალების ფასიანი შემგროვებლები და რამდენიმე ტომად გამოეცა ქართული ფოლკლორი. არაფერი ემეტებოდა დასაკარგად და მათ გადარჩენას ყოველნაირად ცდილობდა. „ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულება, ლეგენდები, ოგავ-არაკები და სხვები, — წერს აკაკი, — რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ, ყველა ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისის ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა. თუ არა მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზედ ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი სიცოცხლის მოსურნე ერი".

ამ მიზნით სცადა ახალი საკუთარი ჟურნალის გამოცემა, რაც განახორციელა კიდეც 90-იან წლებში. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად, 1897 წელს აკაკი წერეთელმა გამოსცა თავისი სახელწოდების ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული". მასში ძირითადად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა. ჟურნალმა, როგორც პირველმა ქართულმა ფოლკლორულმა ორგანომ, დიდი სამსახური გაუწია ხალხური შემოქმედების, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის საქმეს. ჟურნალი 1897-1900 წლებში გამოდიოდა. მასში კახეთიდან აქტიურად თანამშრომლობდნენ გრიგოლ აფშინაშვილი (1866-1960 წ.წ.) და ზაქარია ჩხიკვაძე (1862-1930 წ.წ.).

ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების საქმეში კარგადაა ცნობილი გრიგოლ აფშინაშვილის დამსახურება. მან მასწავლებლად იმუშავა კახეთის რამდენიმე სოფელში, მათ შორის: რუისპირში, ფშაველში, აწყურსა და ზემო ხოდაშენში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად

დაუზარლად კრებდა ხალხში გაბნეულ მარგალიტებს და აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. მასვე მოუძიებია ფოლკლორული მასალები ფშავსა და ყვარელში. მან, როგორც აკაკის ჟურნალ „აკაკის კრებულის“ კორესპონდენტმა, გამოაქვეყნა 36 ხალხური ტექსტი. აქედან 20 ლექსი ჩაწერილია ყვარელსა და სოფელ რუისპირში. განსაკუთრებით საინტერესოა ერეკლე მეორის თანამებრძოლ გმირებზე — გელა ნათელაშვილსა და გიორგი ბაზალეთელზე, აგრეთვე კახეთში ლეკიანობაზე შექმნილი ნიახურას ბრძოლის ამსახველი და სატირული ლექსები.

„აკაკის კრებულის“ აქტიური კორესპონდენტი იყო, აგრეთვე, თელაველი ზაქარია ჩხიკვაძე, ღვაწლმოსილი მასწავლებელი, მუსიკოსი და ფოლკლორული მასალების შემკრები. განსაკუთრებით აინტერესებდა სასიმღერო ტექსტები. მის მიერ კახეთში შეკრებილი და აკაკის ჟურნალში გამქვეყნებული 29 ფოლკლორული ტექსტიდან უმეტესობა სასიმღეროა.

ჩხიკვაძეები თელავში XIX საუკუნის 60-იან წლებში მოსულან. ზაქარიას მამა — ივანე თელავში ნალაბანდად მუშაობდა, თან პრესაშიც მოღვაწეობდა. მისი შვილი ზაქარია კი აქტიურად მოღვაწეობდა თელავის კულტურულ ცხოვრებაში. კარგად იცნობდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ზაქარიას შვილის, ცნობილი მუსიკათმცოდნე-ფოლკლორისტის პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძის (მსახიობ რამაზ ჩხიკვაძის მამა) გადმოცემით, როდესაც აკაკი წერეთელი თელავში სტუმრობდა, ზაქარიას გვერდიდან არ იშორებდა. 1911 წელს, პოეტის მეოთხე სტუმრობისას, ჭადრის ქვეშ თელავის საზოგადოებასთან გადაღებულ ცნობილ ფოტოზე ზაქარია ჩხიკვაძეც მოჩანს.

„ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ, სხვა არ მინახავს მისთანა“.

აკაკი

კახეთში მოგზაურობის შემდეგ თავის სოფელში დაბრუნებული აკაკი აღტაცებით უყვებოდა ნაცნობ-მეგობრებს კახეთში ნანახსა და განცდილზე, რომელმაც, შესაძლოა, უკვე მაშინ აღძრა მასში იდეა ისტორიულ თემაზე შექმნა პოემა „პატარა კახი“ და მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. ამ ნაწარმოებთა გეოგრაფიული არეალი ხომ ძირითადად კახეთია? „მახსოვს აკაკი მოხიბლული კახეთის ბუნებით, კახური სიმღერით, ამ ქვეყნის სიმდიდრით — დაბრუნდა საჩხერეში და აღფრთო-

ვანებული მოგვითხრობდა კახელთა ცხოვრების შესახებ.

პოეტი ხშირად ორი სიტყვით გაგრძნობინებდათ იმას, რაც შეიძლება სხვას მრავალ სიტყვითაც ვერ გადმოეცა.

— კახეთი გულია საქართველოსი, — თქვა აკაკიმ და ჩვენც ვიგრძენით, რომ ამ სიტყვებს პოეტი უსაფუძვლოდ არ წარმოსთქვამდა, — და მართლაც, ძნელია ნახვა ისეთი წარმტაცი სანახაობისა, როგორიც არის ალაზნის ბუნება — ზღაპარივით ლამაზია და წარმტაცი. უყურებთ ალაზნის მინდვრებს და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს გაშლილი გული, გული მოსიყვარულე, რომელიც დაიტევს ლამაზსა და მახინჯს, კარგსაც და ავსაც. უსმენთ კახურ სიმღერას და თქვენს წინაშე აღიმართებიან შვიდნი ძმანი გურჯანელნი, რომელთაც ქვეყნის თავისუფლებისათვის თავი შეუწირავთ. უცქერით კახეთის ზღვა ვენახებს, გაშლილ ყანებს, ფეხმაგარ საქონელს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი ქვეყნის ყველაზე მტკიცე, შეურყეველი კუთხეა; შესცქერით კახელის მაგარ ხელებს, დაჭიმულ კუნთებს, კახელი ქალის სილამაზეს და თან მოკრძალებას და მიდიხართ იმ დასკვნამდე, რომ ქართული სული გამძლეა, მტკიცე ნებისა და ურყევი ხასიათისაა. ასეთი იყო აკაკის შთაბეჭდილება კახელების შესახებ: მოკლე, დამაჯერებელი, ორიგინალური" — წერს კოკი აბაშიძე წიგნში „მოგონებები აკაკიზე".

იმასაც მიუთითებს, რომ აკაკი უსათუოდ „მოგზაური", მოხეტიალე ადამიანი იყო. მას ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა უჭირდა, ახალ-ახალი სანახაობა იზიდავდა, ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს მოითხოვდა მისი პოეტური ბუნება და, ამის გამო, უმეტესად სულ გზაში იყო, ანდა სამგზავროდ გამზადებული. მოვლილი ჰქონდა არა მარტო თავისი სამშობლო, არამედ სხვა ქვეყნებიც: — რუსეთი, ამიერკავკასია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები. უყვარდა ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა. იქნებ ამას ისიც განაპირობებდა, რომ თავისი მშობლიური სოფლის გარდა, აკაკის მუდმივი ბინა-საცხოვრებელი არ გააჩნდა: „ყველას აქვს სახლი, კარი, ოჯახი — წერს იონა მეუნარგია, — აკაკი, რაც თავი მახსოვს, სულ მარტო, ობლად მიმწყვდეული, ზემოდან დაჰყურებდა ჩემოდანს, თითქოს საუკუნოდ სამგზაროდ გამზადებულაო. თვითონ მითხრა ერთხელ: ცოლი მყავს, შვილი მყავს, პენსია მაქვს, მაგრამ მაინც მარტო ვარ. რამდენჯერ მიფიქრია, ავად რომ გავხდე, კუთხე და საწოლი არა მაქვს ამ ჩემს თვალწარმტაც ქვეყანაში".

თვითონ თითქმის მუდამ სტუმარი, თავად როგორი მასპინძელი იყო? გრიგოლ რობაქიძე მიუპატიჟებია წვეულებაზე საჩხერეში. „გამიკვირდა, ასეთი გაწყობილი სუფრა ტფილისშიაც ძვირად მენახა...

აკაკი ყოველთვის უფულობაზე ლაპარაკობდა, აქ კი... მეც გულახდილად ჩავუკარ სიტყვა...“ აკაკის უპასუხნია — „წერეთელი ისე არ გაღარიბდება, რომ ცხრა ცხენოსანი ვერ მიიღოს უეცრად“ — იგონებს აკაკის გულუხვი მასპინძლობით მოხიბლული გრ. რობაქიძე.

აკაკის მოკეთე და ხელის გამმართავი არასოდეს ელეოდა. ბევრგან, თბილისსა თუ ქუთაისში მუდმივი მასპინძლები ჰყავდა, რომელთაც მისთვის ცალკე ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი — ე. წ. „აკაკის ოთახი“. მისი თაყვანისმცემლები — კეთილი მასპინძლები მუშაობისათვის საჭირო პირობებსაც უქმნიდნენ. უსიტყვოდ ხვდებოდნენ, რა ესიამოვნებოდა და რა არა. ჩვევად ჰქონია — ლექსის დაწერის წინ წაიღიღინებდა. ერთ-ერთი მასპინძელი ქალი კი, თურმე, თვითონვე უქმნიდა ამგვარ სამუშაო განწყობილებას — დაბალ ხმაზე მღეროდა. ასეთ წუთებში ეწვეოდა პოეტს მუზა და იქმნებოდა სულისწარმტაცი სტრიქონები.

იმათ შორის ვინც აკაკის უანგაროდ, სიყვარულით სთავაზობდა საცხოვრებელს თბილისში, გარე კახეთის სოფელ ნინოწმინდაში მცხოვრები ანდრია კაპანაძეც იყო. ამ სოფელში მისი ქალიშვილის კესოსაგან ჩავიწერეთ მოგონება ანდრიას და აკაკის შესახებ: „მამას აკაკისთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მან პოეტს ჩვენს სახლში, თბილისში, ერთი ოთახი დაუთმო, სადაც აკაკი ხანგრძლივად ცხოვრობდა. გაჭირვებისას ერთმანეთს ფულსაც ასესხებდნენ ხოლმე მამაჩემი და აკაკი. მომისმენია, როგორ გასაუბრებულან ლექსებით... ბევრი აღარ მახსოვს, ერთი კი დამახსომდა პატარა ბავშვს და ახლაც მეცინება... მამას ფული დასჭირდა და აკაკის მიმართა, თან იცინოდა:

„ჩემო ძმაო, აკაკი,
ფულსა გთხოვ მე ახლა კი,
თუ არ გამომიგზავნი,
წელშიაც მოვიკაკვი...“

აკაკიმ ლექსითვე უპასუხა:

„ჩემო ძმაო, ანდრიავ,
ფულის თხოვნა ადრეა, —
დღემდის ჭკვიანი კაცი,
ახლა რამ გადაგრია?..
ამისთანა საქმისთვის
კარაპეტას გადრია“.

კახეთი – ახალი ბეთლემი

აკაკის კახეთში პირველი მოგზაურობიდან თხუთმეტი წელი ისე გავიდა, რომ არ შეუწყვეტია ფიქრი კახეთის კვლავ მონახულებისა. მისი თანამედროვეების ცნობით, იგი რამდენჯერმე გზაზედაც დამდგარა, მაგრამ ხელშემშლელს რა გამოულევდა? 1897 წლის სექტემბერს მაინც აიხდინა ოცნება, „კახეთისაგან აღტაცებულმა“ კვლავ მიაშურა საყვარელ კუთხეს, მეორედ ეწვია კახეთს. ამჯერად აკაკის სურდა დაეთვალიერებინა კახეთის უძველესი ეკლესია-მონასტრები, დასწრებოდა „ალავერდობას“.

„დიდი ხანია კახეთი აღარ მენახა და „საალავერდობოთ“ დავაპირე წასვლა“ – ასე იწყებს აკაკი წერეთელი ნარკვევს „კახეთში მოგზაურობა“[1], რომელშიც გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს: „იმ ერთი იმერლისა არ იყოს, რომ უთქვამს: კვიცსაც გავხედნი და ნათლისდედასაც ვნახავო – მეც ვიფიქრე: კახეთს გავივლი, თელავში ერთ ჩემს მეგობარს სახლობას ვნახავ და „ალავერდობასაც“ დავესწრები-მეთქი.

კახეთში „ალავერდობა იციანო და თბილისში მეეტლეებს ქირა გაეორმაგებინათ. იძულებული გავხდი, დილიჟანსით წავსულიყავი, იქაც დიდი გაჭირვებით ვიშოვე, როგორც იქნა, ერთი ადგილი... გულნატკენმა გადმოვიარე გომბორიო“ – წერს აკაკი. მისი გულისტკენა კი იმას გამოუწვევია, რომ გომბორში უნახავს „პოსელენია“, რომლებიც კარგად არიან დასახლკარებულნი, ადგილობრივი მაცხოვრებლები კი სილატაკეში ცხოვრობენ. აკაკი იქვე ხსნის ამის მიზეზს: „საზოგადოდ, ჩვენში ერთი შემცდარი აზრია შემდგარი – და ეს ბეჭდვითაც ბევრჯერ გამოთქმულა, რომ ქართველი გლეხები სიზარმაცის გამო ღარიბათ არიანო და ამის დასამტკიცებლად ყოველთვის ამ ჩამოსახლებულებზე მიგვითითებენ ხოლმე. იმ დალოცვილებს ავიწყდებათ, რომ ქართველ მკვიდრს ორი ან სამი დღიურის მეტი არა აბადია რა და ისიც კიდევ სხვისი საზიარო და ჩამოსახლებულებს კი, ასი და ორასი დღიური უჭირავთ...“.

ამ მოგზაურობაში თავიდანვე გულისტკენა აედევნა აკაკის, განცდა იმისა, რომ თავის ქვეყანაში ქართველი დაჩაგრულია, დამცირებულია და – რაც ყველაზე საშინელია – ის ამას თითქმის შეგუებულია...

ალბათ, ამის გამო ვეღარ შეამჩნია გომბორის დიდხანს სავალ გზაზე შემოდგომის შემღვრეულ ფერთა საოცარი ფეიერვერკი: მწვანედ,

---

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 300-319.

წითლად, ყვითლად აფერადებული ბუნება, ზოგან უკვე ჭკნობაშეპარული ფერნაცვალი ხეთა სამოსი, მცხრალი მზის საამო ალერსი და ამ სილამაზეში უჩვეულოდ გარინდებული, თითქოს რაღაცის ძოლოდინით გათანგულ ტყე-ველთა მდუმარება, ივრის ზვირთთა ჩქერები, თვალის-მომჭრელად ლამაზი სამშობლო მხარე... ალბათ, მასაც ილიასავით გაუგლიჯა გული სათქმელმა:

„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ, რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული...“

იმ ღამეს პოეტი თელავში დარჩენილა „ერთ მეგობრისას“ და მეორე დღესვე, მასპინძელთან ერთად, სწვევია ალავერდს. „შორიდანვე გამოჩნდა უზარმაზარი შენობა ტრიალ მინდორზე, მაგრამ ახლოს რომ მივედით, ის აღარ დამირჩა, რასაც ველოდი და ის ვეღარ ვნახე, რაც გამეგონა და წამეკითხა მის შესახებ“ — სინანულით აღნიშნავს იგი.

რამ გაუცრუა იმედები პოეტს? თავისი შთაბეჭდილებების გადმოცემისას, აკაკი უპირველეს ყურადღებას მიაქცევს როგორც ალავერდის ტაძრის სავალალო მდგომარეობას, ისე საგრძნობლად გაუფერულებულ ალავერდობის დღესასწაულს... მან შეამჩნია, რომ ტაძრის სახურავი საგრძნობლად დაზიანებულიყო და შიგ ჩასული წვიმის წყალი გუბეებად დამდგარიყო სამლოცველოში. იგი ნელ-ნელა არღვევდა არქიტექტორული ხელოვნების უბადლო ძეგლს, აზიანებდა ფრესკებს... გული ატკინა იმან, რომ „ძველებური ხელოვნება მოშლილია, ნახატები აღარ სჩანან და საყდარი შიგნით და გარეთ თეთრად არის შეფეთქილი“... შეწუხებულმა თავისი გულისტკივილი გაანდო ეკლესიის მსახურებს. აუხსნა, რომ ტაძარი დაუყონებლივ საჭიროებდა შეკეთებას. მათ აღუთქვეს, „როდესაც მეორედ მობრძანდებით, ტაძარი მოვლილი და ნაპატრონები დაგიხვდებათ“.

აკაკი დაინტერესა სიტყვა „ალავერდის“ ეტიმოლოგიამ. მას გაეგონა, რომ ტაძარი ააშენა ალავერდა თათარმა და ამიტომ დაერქვა ალავერდი. ეს მოსაზრება დაუჯერებლად მიიჩნია და ასეთი ახსნა მოუძებნა: „ეს ტაძარი აგებულია საუცხოო ალაგას, მის წინ გადაშლილია ალვანის მინდვრები. ალვანის სოფლებიც მისი შენაწირი მოხარკე იყვნენ და ამიტომაც ერქვა ამ ტაძარს „ალვან ვედრი“ ე. ი. ალვანის საევდრებელი. ეს სიტყვა თათრებს გამოთქმის დროს გადაუკეთებიათ „ალავერდათ“ და იქიდან წამომდგარა დღევანდელი სახელწოდება“.

თვით აკაკი ამას იმით ხსნის, რომ კახეთში მოსახლე თათრები თაყვანს სცემენ ამ ტაძარს. „ეს ადრინდელი ალვან ვედრი დღეს მართლაც რომ „ალავერდიც“ გამხდარა და „იესში ოლიც“... ზედ მისავალ კარებთან... მიაქვთ ზვარაკის და ცხვრის ტყავები და აქვე ვაჭრობაა გახურებული. ადრე ამას ჰქონდა მნიშვნელობა — ღარიბ მლოცველებს ბერები ამით უმასპინძლდებოდნენ და თუ ამგვარი შესაწირი არ მიეღოთ, რა უნდა ეჭამათ? მაშინ ეს ადგილიც, სადაც საკლავი მიჰქონდათ, მოშორებით იყო ეკლესიაზე და დღეს კი აქ საყასბოა გამართული. ყველაფერი გადასხვაფერებულია... გალავანს გარეთაც იმას ველარ ნახავთ, რაც ყოფილა. ძველათ აქ იყრიდნენ თავს, ამ „ალავერდობა“ დღეს კახელების გარდა, ყოველი კუთხის ქართველობა...“

აკაკი წუხს, რომ აქ ვაჭრობა იმართება და ეკლესიისა და პოლიციის მესვეურები ბოროტად იყენებენ „ალავერდობას“.

აკაკის არც ღამისმთეველთა ლხინი მოსწონებია: „ლხინი იყო ყველგან გამართული, მაგრამ მოლხენა უფრო გლოვას ჰგავდა, აქა-იქ უსიამოდ ჭიჭყინებდა ზურნა, თითქოს ნაძალადევიაო. სამაგიეროდ, შარმანკა გაჰკიოდა თამამათ და გარმონიკის ჭიჭყინისაგან ყურთასმენა აღარ იყო“.

აკაკი გულისტკივილით აღნიშნავს თავადაზნაურთა ახალგაზრდა ნაწილის უღიმღამო დროსტარებას: „მათი მიხვრა-მოხვრა, ქცევა და სიტყვა-პასუხი აღარც ქართული იყო და აღარც ევროპული... „მრავალჟამიერსაც“ სხვადასხვა ხმაზე ამღერებდნენ... დავუკვირდი, რომ გამეგო ან სიტყვები და ან კილო, მაგრამ საჩვენო ვერა შევატყვე რა!.. დიახ, ყველაფერმა იცვალა ფერი და დაჰკარგა უწინდებური ხასიათი“ — აღნიშნავს სინანულით.

განწყობილება უფრო დამძიმებია, როცა ჭიდაობისათვის უყურებია. ქართველების საყვარელი სპორტის სახეობა „ჯიგლიგანობად გადაქცეულა... სრულმა უზრდელობამ იჩინა თავი“. ჭიდაობის მაყურებელი დარბაისელი უცხოელი კინაღამ გადათელეს გაკინტოებულმა ბიჭ-ბუჭებმა — წუხს და შეგვახსენებს, რომ „ჩვენი ერი ყოველთვის ზრდილობით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზრდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზრდელობა და სიტყვა-პასუხი“.

ამაო გამოდგა მოლოდინი „ალავერდობის“ დღესასწაულით ტკბობისა: ერის ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა გაუკულმართება, ურიგობა, უზრდელობა, უყურადღებობა და გულგრილობა რღვევის პირას მისული უძველესი და საამაყო ალავერდის ტაძრისადმი... ფუჭად მიგდებული ეროვნული ნიჭი და ენერგია — აი, სამწუხაროდ რა იხილა აქ აკაკიმ.

შეუძლებელია, იმ უსიამოვნო განწყობილებამ, რომელმაც მაშინ აკაკი მოიცვა, ჩვენი დროის უნიჭიერესი მწერლის გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“ არ გაგვახსენოს. თითქმის იგივე განცდა, იგივე საწუხარი, მცირეოდენი განსხვავებით... „ქართველი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი, როდესაც მისი ქართველობა არ დაჰკარგვია“ — წერს აკაკი. აქ კი სწორედ ქართველობადაკარგული ქართველნი იხილა მან სამწუხაროდ. „ენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“ — ვკითხულობთ გ. რჩეულიშვილის მოთხრობაში. აქ, ახლა, აღარც ერთი იყო და აღარც მეორე — ამან შეაწუხა „თავისი ქვეყნის მოზარე“ და გულდამძიმებული გაშორდა ღრეობადქცეულ დღესასწაულს „ალავერდობისას“.

კიდევ ერთ უსიამოვნო ამბავს შესწრებია ჭიდაობის დაწყების წინ ისედაც წინაპირთა ტრადიციების რღვევა-გადაგვარებით შეფიქრიანებული პოეტი.

ერთ მოჭიდავეს ჩოხა არ ჰქონია და ბოქაულს ქიზიყელი გლეხისათვის უბრძანებია, „გაიხადე, მოჭიდავეს უნდა ჩავაცვა. გლეხმა იუცხოვა თურმე: დალოცვილო, ცხრა თვე ამ ჩოხაზედ მიმუშავნია, ჩემი ჭირი და ლხინი ეს არის და, სხვას როგორ დავახევინო?“

ბოქაულმა იწყინა გლეხისაგან სიტყვის შებრუნება და უარი. ჩაფრებს უბრძანა, გააძვრეთ. ისინიც მისცვივდნენ და დაებღაუჭნენ... „გლეხი გაუძალიანდა, ქამარ-ხანჯალზე მოივლო ხელი, არ შემხსნანო. ჩაფრებმა მიზეზი მოუდვეს — ჩვენი მოკვლა უნდაო და სცემეს, ხანჯალი წაართვეს, ოქმის შეყენებაც დაუპირეს... ატირებულა უმწეო გლეხი, რისთვისაც ზოგს დაუცინია, კაცი და ტირილიო? გლეხს სინანულით უპასუხნია: ეჰ, რა ვქნათ... თათრობა ან ლეკობა რომ იყოს, მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამდი... ჯავრს ამოვიყრიდი... თავს შევაკლავდი... ახლა კი ვისთვის დავიგდო ავაზაკისა და კაცის მკვლელის სახელი? მე დროსა ვტირი და არა მარტო ჩემს თავს“.

ჩოხაგახდილი, იარაღწართმეული, ქუდმოხდილი, ნაცემი, ხატობა-ჩამწარებული გლეხის საცოდაობამ გული მოუკლა უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს. ველარ შეძლო იქ დარჩენა და გამოეშურა თელავისაკენ: „გზაში ფიქრებმა წამიღო: ღმერთო, ჩემო, ეს რა სიღარიბე ვნახე ამ დღეობაში? — რამ დაჩაგრა და დააკნინა ყოველგვარად ეს ხალხი? სად არის ის ადრინდელი კახელობა, მე რომ სიყმაწვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო, მის სანახაობას არა სჯობდა რა!.. თავადი, აზნაური, გლეხი — ყველა ერთი მეორეზე უკეთესი მოხდენილათა და მდიდრულათ მორთულ-მოკაზმულები!

ძვირფას იარაღითა და ბედაურებით გამოწყობილები“.

როცა კახეთი მოიარა, მაშინ მიხვდა აკაკი ამ სიღარიბის მთავარ მიზეზს — მთელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებად არის გადაქცეული — აღნიშნავს გულნატკენი კახეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებების გადმოცემისას.

თელავში მოუთმენლად მოელოდნენ პოეტს. მას კი დარჩენა აღარც უნდოდა ნანახით გუნებაწამხდარს, მაგრამ მიცემულ პირობას ველარ ულალატა — სადილზე თელაველებთან უნდა ყოფილიყო. აკაკი აღნიშნავს, რომ წინასწარ მომზადებულ ოფიციალურ საზეიმო შეხვედრას ზოგჯერ უბრალო, მოულოდნელი და მოუმზადებელი შეხვედრა სჯობია, რადგან „საზოგადოდ, ლხინებში მე არ ვარ ხოლმე ჩემს ქერქში და, იმ დღესაც, თელავში, თავს ავაშორებდი როგორმე ჩემთვის მომზადებულ ლხინს, მაგრამ ნათქვამია: „სტუმარი მასპინძლის ყურმოჭრილი მონაა“ და მეც ვეახელი გულუხვსა და გულ-კეთილ მასპინძლებს“.

არ უნანია პოეტს კახელებთან დარჩენა და ლხინი. მას დაუვიწყარი საღამო მოუწყეს თელაველებმა. აქ იყო შეკრებილი კახეთის თავადაზნაურობა, იოანე კახთ-აბაშიძის შთამომავლები და ანდუყაფარ ჩხეიძე — პოეტის სიყრმის მეგობარი, უბედური შემთხვევის გამო იმერეთიდან კახეთს გადმოხვეწილი და აქ ჩასიძებული. ის მაყაშვილთან მეწისქვილედ მუშაობდა და ახლა, აქ რომ მოსულიყო, ამაზე ცხარობდნენ ვახვახიშვილ-მაყაშვილები — „ჩვენთან რა უნდა ამ მეწისქვილესო?“. აკაკის გარდა არავინ იცოდა, რომ ისიც წარჩინებული გვარისა იყო, იმერელი აზნაურიშვილი... იმ დროს აკაკის უკვე დაწერილი ჰქონდა მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. ეს ანდუყაფარი იყო ბაში-აჩუკის პროტოტიპი, მწერალმა ბაქრაძედ რომ მონათლა. სინამდვილეში კი, თვითონ ჩხეიძე, ვარდისუბნელი ბაქრაძის სიძე იყო.

აკაკის სრულიად გამოუსწორდა გუნება-განწყობილება, როდესაც კახური „მრავალჟამიერი“ მოისმინა, „გუგუნი გაჰქონდაო“ — აღნიშნა. ხოლო, როდესაც „ლეკური“ გახურდა და განთქმულმა მოცეკვავემ, თვალტანადმა, უკვე აღარც ისე ახალგაზრდა ტიტიკო ვახვახიშვილმა იცეკვა, მაშინ საბოლოოდ მოიხიბლა: „ტიტიკოც ისევ ისე კარგი სანახავი იყო, რომ გამოვიდა ლეკურში და ძველებურად გაშალა ხელები“ — აღნიშნა ნარკვევში.

აკაკის საპატივსაცემოდ თავმოყრილი კახეთის საზოგადოების წარმომადგენლები აქებდნენ და ამკობდნენ საყვარელ პოეტს, ეფერებოდნენ, თვალ-წარბში შეჰყურებდნენ...

მასპინძელთა ამგვარი ყურადღებით განებივრებულმა და გულდამ-

ტკბარმა პოეტმა მორიდებით შენიშნა: „ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოდ, გადაჭარბება ვიცით ხოლმე. აი, თუ გინდა, ეს დღევანდელი თქვენს მიერ ჩემი პატივისცემა გადაჭარბებულია... მე ამდენის ღირსად არ მიმაჩნია ჩემი თავი და მხოლოდ თქვენსავე მადლიერ გულუხვობას მივაწერ“.

ძვირფას სტუმარს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ნადიმზე თელაველი პედაგოგების: ნიკო მთვარელიშვილის, ილია ზარაფიშვილის, იოსებ მონადირიშვილის, ნიკო სულხანიშვილის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები, მაგრამ ყველას გადააჭარბა თვით აკაკის სიტყვამ (დაიბეჭდა „აკაკის თვიურ კრებულში“, 1897, №3).

ეს იყო გრძელი კასური მრავალჟამიერივით მაღალი, მწყობრი, ჰარმონიული პოეზია, რომელსაც ღაღადებდა „პირითა თვისითა“ ღმერთკაცი: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ, ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია. უძველესი დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოაზღვავებოდეს!.. ეგვიპტე,ბაბილონი,ასურეთი,არაბეთი,მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი. სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ დაუძლურებული და ქაფათ ქცეული უკანვე იქცევიან... მაჰმადიანობამ ჩაუყლაპა დიდი ბიზანტია, დაიმონა სლავიანის ქვეყნები და ამ პატარა კუთხეს კი ბოლო ვერ მოულო...

ჩვენმა მამა-პაპებმა გადაიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსაო“ და სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნება გაამტკიცეს...“[1]

აკაკიმ ქართველი ერი მძინარ გმირს შეადარა და იმედი გამოთქვა, რომ გმირი გაიღვიძებს: „დიახ, დღეს იღვიძებს ჩვენი ერი, რომ კვლავინდებურად იმოქმედოს, გაუმკლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს... თუ ჩვენ შევერთდებით... ძლიერი ვიქნებით და მტრებს მოვიგერიებთ“ — სწამდა და ამ რწმენას მთელ ერს უნერგავდა.

შემდეგ პოეტი აღნიშნავს რა ქართველობის სხვადასხვა ფენის მცდელობას შეჭირვებული ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად, აქებს ყოველმხრივ შემკულ ჩვენს ქვეყანას: „ჩვენს მიწებს ნაკელი არ ეჭირვება, ჩვენი ძვლების სისხლ-ხორცით არიან ნასუქ-ნაპატიები... ისე ნაბიჯს ვერ გადავდგამთ, რომ ფეხი წინაპრების

1. ა. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, თბ., ტ. XIII, გვ. 295.

სისხლით მორწყულ მიწაზე არ დავდგათ, ისე გუთანი ვერ გაგვივლია, რომ სახნისმა ჩვენი ძველების ძვლები არ ამოჰყაროს... იმ თავითვე ისტორიულად შესისხლხორცებული ვართ ჩვენს მიწა-წყალთან, ნათესაური კავშირია ჩვენს შორის და ამიტომაც იბრძოდნენ და იცავდნენ ჩვენი მამები, რომ ხელიდან არ გაეშვათ!"

თავის სიტყვაში პოეტი შეეხო მნიშვნელოვან საკითხებს. ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი იყო ინტელიგენცია, რომელზედაც შენიშნა: „დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია სუსტია საზოგადოდ... ქვეყნის წინ წაძღოლა, მეთაურობა არ შეუძლია.

აბა, მიბრძანეთ, რა მეთაურია... ხალხისა ის ინტელიგენტი, რომელსაც იმდენად უყვარს სამშობლო, რამდენადაც ის მხოლოდ სასარგებლოა მისი პირადი კეთილდღეობისათვის, რომელსაც გონება ჯიბეში უძევს და გრძნობა კუჭში, ქვეყანას წინ ვერ წაუძღვება!.. კარგ შვილს უსათუოდ კარგი გამზრდელი დედა უნდა ჰყავდეს და დედები კი არსად არიან"[1].

აკაკი წუხს, თანამედროვე ქალების გაკიცხვა რომ უხდება, დროსა და ვითარებასაც ბრალს სდებს. იქვე სიამოვნებით აღნიშნავს მცირე სასიკეთო ცვლილებას, რომელიც თელაველ ქალთა საქმიანობაში შეუნიშნავს და რომელსაც მისთვის ნატკენი გული „გაუმრთელებია": „გულის ტკივილი მალაპარაკებს, ის უიმედობა და გულისტკივილი, რომელიც საფლავში თან უნდა ჩამყოლოდა, თუ დღევანდელი კახეთის ნახვას ჩემთვის გული არ გაემრთელებინა!.. ერთი მცირე რამ შევნიშნე თელავში, რომელმაც აღმაფრთოვანა მომავალის იმედით: აქ ახალგაზრდა ქალებს, ოჯახის შვილებს, ნაცვლად იმისა, რომ სხვებსავით მაღალ ფარდებში იფარფაშონ, ხელი მოუკიდიათ პატარა საქმისათვის: გაუმართავთ უსასყიდლო შკოლები ღარიბ-ობლებისათვის, სადაც ასწავლიან ხელსაქნარს, მეოჯახეობას, უცხო ენასთან ერთად მშობლიურსაც... არ ზოგავენ არც ხარჯს და არც შრომას. უეჭველია, რომ აქედან გამოვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება და მათი გაზრდილი შვილებიც ღირსი წევრები იქნებიან მომავალი, სანატრელი ახალ-თაობის... მე აქ მეტს არას ვამბობ იმ პატარა შკოლების შესახებ. მეც კარგად ვიცი, რომ ისინი საკმაო არ არიან საქართველოს ბედნიერებისთვის, მაგრამ როგორც ნიშანი კეთილ-მომავლისა, სასიხარულო და საიმედო მოვლენაა!"

ამ პატარა იმედის გამოჩენით გახარებულმა პოეტმა თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „საკვირველია, მესამოცე წლებშიც, როდესაც

---

1 ა. წერეთელი, თხზულებათა კრებული, თბ., 1961, ტ. XIII, გვ. 297.

მამათა სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდევ სადედათ-სქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. სჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს"... („სიტყვა, თქმული თელავში, სადილზე 1897 წელს")[1].

აკაკიმ შეაქო თელავის „ფხიზლად" მყოფი ინტელიგენცია, მოიწონა მეფეთა ყოფილ სასახლეში გამართული „წმინდა ნინოს" დედათა სასწავლებელი და აღნიშნა: „სწორე მოგახსენოთ, უკეთეს დანიშნულებას ვერ მისცემდნენ ამ ძველ ნაშთს". ქებით მოიხსენია თელაველი ქალები, მათი მცდელობა — შეეწიონ გაჭირვებულ მამულსა და თანამოძმეთ.

„წმ. ნინოს" დედათა სასწავლებელი თელავში ზეიმით გაიხსნა 1865 წლის სექტემბერს ანა ბაგრატიონის (1828-1905 წ.წ.) ინიციატივითა და გრიგოლ ორბელიანის ხელშეწყობით, რომელმაც მას უშუამდგომლა მეფისნაცვალ ვორონცოვთან.

პირველ წელს მხოლოდ 12 ქალიშვილი მიუღიათ. თუმცა სასწავლებელს ადგილი ერეკლესეულ სასახლეში მიუჩინეს, მაგრამ რადგან შენობა იმ დროისათვის შეკეთებას საჭიროებდა და ამის საშუალება კი არ იყო, დროებით „ნადიკვართან" მდებარე ტ. ვახვახიშვილის სახლში გაუხსნიათ, მხოლოდ 1867 წლიდან დაბინავდა იგი თავის საბოლოო სამყოფელში — კახთმეფეთა სასახლეში. ამის უფლებაც ანა ბაგრატიონს მოუპოვებია. ეს ქველმოქმედი და სილამაზით საქვეყნოდ ცნობილი მანდილოსანი, საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII ვაჟის ილიას ასული, იყო მეუღლე ალ. ჭავჭავაძის ვაჟის დავითისა. სწორედ იმისა, ვისაც ბედმა არგუნა მწარე სვედრი — შამილის ტყვეობისაგან თავისი ოჯახის თავდასახსნელად ლეკებისათვის მიერთმია დიდძალი თანხა, აღედგინა მათგან გაძარცვულ-გადამწვარი უმდიდრესი მამული წინანდლისა, ეხილა და ეგლოვა თავდამსხმელების ცხენთა ფლოქვისაგან გადათელილი პაწაწინა ქალიშვილის ცხედარი. თვით ლეკთა ტყვეობის სიმწარეგამოვლილმა ანა ბატონიშვილმა გასაოცარი მოთმინებით გადაიტანა თავისი ცხოვრების ეს ურთულესი მომენტი და მრავალი შვილის დედა, დიდი ოჯახის პატრონი, საქვეყნო საქმეებზე ზრუნვისათვისაც იცლიდა. იგი 1887 წლამდე შეწირულების გზით ინახავდა სასწავლებელს,

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, თბ., 1961, ტ. XIII, გვ. 315.

ვიდრე თბილისში გადავიდოდა. სასწავლებელს კი ხელმძღვანელობდა ბარბარე მიხეილის ასული თურქესტანიშვილი.

„წმ. ნინოს“ დედათა სასწავლებელი, რომელმაც ასე მოხიბლა თელავში სტუმრად მყოფი აკაკი, XX ს-ის 20-იან წლებამდე ემსახურებოდა ქალთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

„სასწავლებელი კარგად არის დაყენებული“ — კმაყოფილებით წერს აკაკი.

მან დაათვალიერა ყველა ოთახი, დაესწრო მეცადინეობებს, გაესაუბრა მოსწავლე-გოგონებს: „ეტყობა, რომ მოვლა და ყურადღება არ აკლია... მე რომ მოვედი, მაშინ აქ პარაკლისს იხდიდნენ: გალობას პატარა ქალები ამბობდნენ მწყობრად და ხმატკბილად... სასწავლებელს, ვგონებ, საშუალება აკლია და ამიტომაც ვერ გასწვდომია ყველა მსურველის მოვლას. მაგიერობას კერძო, უფასო შვილები ჩადიან. აქ დედა-ენას და რუსულს ერთად ასწავლიან, ე. ი. ერთს მეორის შემწეობით და წარმატებაც დიდია! მშვენიერად სწერენ, კითხულობენ და ლაპარაკობენ. ასე გასინჯეთ, რომ გამოთქმაც კი წმინდა რუსული აქვთ.

ნეტავი ერთი მოვიდოდნენ და თავისი თვალით ნახავდნენ და თავისი ყურით მოისმენდნენ ის პედაგოგები, რომლებიც ყმაწვილებს ტყუილ-უბრალოდ აწვალებენ“[1].

„წმინდა ნინოს“ სასწავლებელის გარდა, თელავში უფასო სკოლებიც დიდად ეიმედებოდა პოეტს. ასეთი იყო „გლეხ ქალთა“ სკოლა, რომლის გახსნის ერთ-ერთი ორგანიზატორები იყვნენ ივანე და ელისაბედ (ლიზა) როსტომაშვილები.

1894 წლიდან თელავში ხელსაქმის სკოლა გახსნა სოფიო სიმონიშვილმა. მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა წიგნი-სახელმძღვანელო „ჭრა-კერვის თვითმასწავლებელი 128 ნახატით“. წიგნი 1909 წელს გამოვიდა. ამ საქმეში ს. სიმონიშვილს დახმარება გაუწია მწერალმა ვასილ ბარნოვმა, რომელიც იმ დროს თელავში ცხოვრობდა და პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა.

ქალთა გამოჩენა-გააქტიურება საზოგადოებრივ ასპარეზზე ქვეყნისათვის საჭირო და აუცილებელ საქმედ მიიჩნდა აკაკის. მას არაერთხელ აღუნიშნავს ქალის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ახლაც ცდას არ აკლებდა, რომ ქალები კვლავ ჩაბმულიყვნენ საქვეყნო საქმეებში, თავიანთი ნიჭი და უნარი კი არ დაემალათ, არამედ თამამად გამოევლინათ და ქვეყნისათვის სასარგებლო

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, თბ., 1961, ტ. XIII, გვ. 315.

გაეხადათ, მის სამსახურში ჩაეყენებინათ. ამიტომ ხშირად მიმართავდა წარსულს, დიდებულ წინაპარ ქალთა ღვაწლს წარმოაჩენდა, აღიარებდა მათ სამაგალითო ქალობას, დედობას, მამულიშვილობას... ამის მაგალითები მრავლად არის ჩვენ ისტორიაში და მანაც გამოიხმო მათი დიდებული აჩრდილები, ისე ცოცხლად დახატა, ისე გაუშინაურა ყველას, რომ მათი მიბაძვის სურვილი აღუძრა თანამედროვე ქალებს, ერთგვარად წააქეზა, მოუწოდა სასარგებლონი ყოფილიყვნენ ქვეყნისათვის.

ცნობილია, რა სიხარულით შეხვდა იგი სამწერლო ასპარეზზე ქალის გამოჩენას, რომელმაც „საქვეყნოდ დაიწყო ლექსების წერა... კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განჭვრეტაც საგნებისა რიგიანი და მართალი აქვს". ეს იყო ბარბარე ჯორჯაძისა, პოეტ რაფიელ ერისთავის და. აკაკი აღტაცებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ „იმან არ მიაქცია ყურადღება ძველი თაობის კიცხვა-გინებას და მშვენიერი ლექსებით აცხადებდა თავის გულის პასუხებს; მოსთქვამდა წარსულზე, შეფრქვევით უგალობდა მომავალს და უსიტყვოდ არ აგდებდა აწმყოს ავკარგიანობას".

აკაკის ლექსიც მიუძღვნია მისთვის, შეუქია კიდეც. ამით თითქოს მოუწოდა ქალებს საქვეყნო საქმეებში გარეულიყვნენ, გამოჩენილიყვნენ. „ჩვენი ქალები არ ეძებენ წერა-კითხვას, ერცხვინებათ, ეთაკილებათ. ბარბარე ჯორჯაძისა კი გამოჩნდა და, მართალია, თავისთავად გენიოსურს ვერაფერს შეგვძენს, მაგრამ მაინც სანუგეშო და სასიხარულოა მისი გამოჩენა, რადგან სხვებს მაგალითს აძლევს" — აღნიშნავდა აკაკი.

ქართული თეატრის მოღვაწე, ცნობილი მსახიობი ქალი, მაკო საფაროვა — აბაშიძისა მსახიობად გახდომას მთლიანად აკაკის ცდასა და მონდომებას მიაწერს.

1912 წლის 22 იანვარს მის საიუბილეო სალამოს აკაკი თავმჯდომარეობდა. გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ მაკოს პირველად სცენაზე გამოსვლის მიზეზი, სხვებთან ერთად, მეც ვიყავი.

აკაკიმ ახალგაზრდა ქალში ნახვისთანავე უტყუარად ამოიცნო სამსახიობო ნიჭი და, როგორც შეძლო, ხელი შეაშველა, რომ ეს უნარი უკვალოდ არ დაკარგულიყო. მან გოგონა დაინტერესა, შეაგულიანა და მალე „შეთქმულებმა" ერთბაშად მიიტანეს იერიში დეიდასა და ბებიაზე, რომლებთანაც დედით ობოლი მაკო იზრდებოდა. მათ აღშფოთებას, აკაკის წინადადებაზე, საზღვარი არ ჰქონია: „ერთი მიბრძანეთ, გასათხოვარი ქალის სცენაზე გამოყვანა რა საკადრისია?!. ვის გაუგონია?!. არ გეკადრებათ, რაკი ობოლია, ასეთ გაუბედურებას რომ უპირებთ... სახელი გაუტყდება" — უსაყვედურეს აკაკის.

ბებიამ მამას ასეთი წერილი მისწერა: „ვიცი, შვილო, ეს თავზარს დაგცემს... შენს ქალბატონს მაკოს თავი ვეღარ დავუჭირე და გავარდა — ვაი შენსა და ჩემს მოსწრებას, გავარდა და პირდაპირ „ტრიატში“ (თეატრში — ავტორები) შევარდა!“

ამ ამბით განრისხებულმა მამამ შემოუთვალა, „თვალით აღარ დამენახოს ეგ ოჯახის შემარცხვენელი...“

ამგვარი წინააღმდეგობების გადალახვაც უხდებოდათ ქალებს საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისას. თავის მხრივ აკაკის ცდა არ დაუკლია, რომ ქალს ცხოვრების ყოველ სფეროში შეეღწია და თავისი კვალი დაეტყო. სიტყვით კი არა, საქმით ერგო რამ ქვეყნისათვის, რადგან სწამდა: „მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენის ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველის კეთილისა და საზოგადოებისადმი კეთილნაყოფის მომტან მოვლინებების არათუ თანამგრძნობნი, თანამოქმედნიც იქნებიან. მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა, არც მწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს სძინავთ“[1].

ასე გრძელდებოდა ეს „უსისხლო ბრძოლა“ იმისათვის, რომ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩენილიყო საქართველოში პირველი სწავლული აგრონომი ქალი, პირველი მწერალი, პირველი მსახიობი და კიდევ ვინ იცის რამდენი დაინტერესა, წააქეზა აკაკიმ იმისათვის, რომ ქალთა ნიჭი და ენერგიაც მშობელი ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა.

აკაკი, თავის სიტყვებსა თუ მოგზაურობის შთაბეჭდილებებში, სინანულით აღნიშნავს „დღევანდელი ჩვენი ქალები ადრინდელის აჩრდილნიც არ არიან“. იმედი დაჰკარგვია თავისი თანამედროვე ქალებისა და ცოლების შემყურეს, შენატრის ძველი დროის ქალებს: „მართლა დედები და ცოლები იყვნენ. იმიტომ დაურქმევიათ ცოლი, ე. ი. „ცვალი“, რომ ქმრის გამონაცვლება შეძლებოდა, ანუ მეუღლე, რომ ქმართან ერთად ცხოვრების უღელი გაეწია“. ნარკვევში „სამგზავრო წერილებიდან“, რომელიც კახეთში პირველი მოგზაურობის შთაბეჭდილებების შედეგად შეიქმნა, ერთ ასეთ ამბავს იხსენებს წარსულიდან კახელი ქალის შესახებ: „გადასახლება რომ გამოუცხადეს ერთ ქიზიყელ დედაკაცს, მაღლიდან გადაიგდო თავი და კლდეს დაესრისა! — ხასიათი არ უნდა ამას?“ — გაოცებას ვერ ფარავს აკაკი.

კარგად არის ცნობილი აკაკის შეხედულება ქალებზე: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო,

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, თბ., ტ. XI, 1960, გვ. 368.

შეისწავლო. ისინი არიან თავისი ქვეყნის და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსისა". აკაკის პერსონაჟ ქართველ დედებს ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი მამულიშვილური ვალი — ისინი შვილს უყოყმანოდ სწირავენ მამულს, ასე სწამთ:

„მამულისათვის მიშობია,
მისი ჭირის სანაცვლოდო;
ქართველ დედებს ვალად გვაძევს,
ამ ჭირს უნდა გავუძლოთო!"

რას უწუნებდა აკაკი თავისი დროის ქალებს? „დღევანდელი ქალი, ისეთივე თვალტანადია, როგორც მისი წინაპარი, უფრო ნასწავლი. ეგებ მეტსაც შრომობდეს, მაგრამ ჩვენ რა? ქართველი კი აღარ არის"...[1] მისი აზრით კი „ქართველი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი, როცა მისი ქართველობა არ დაჰკარგვია". აკაკის სურს, რომ ქალი ისევე იყოს ჩაბმული საქვეყნო საქმეში, როგორც მამაკაცი, რადგან, „საქართველოს ცხოვრებაში ქალებს, არათუ მეტი, ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვისთ"[2].

ამის დადასტურებას წარმოადგენს აკაკის პაწია წიგნაკი „თამარ მეფე", რომელიც 1903 წელს გამოუცია სოსიკო მერკვილაძეს თბილისში. „პოეტი საინტერესოდ აფასებს თამარს და მის მნიშვნელობას საქართველოსათვის. მრავალი ერი თავის სხვადასხვაგვარი უბედურების მიზეზად სწორედ ქალს ასახელებს" — წერს იგი და ჩამოთვლის: ბერძნები — მშვენიერ ელენეს, ებრაელები — დალილას, ეგვიპტელები — კლეოპატრას... „საკმაო იქნება ვაღიაროთ, რომ თვით მთელმა კაცობრიობამ, შეერთებულად, სამოთხის დაკარგვის მიზეზად პირველი დედა, ევა დაასახელა". აკაკი წერეთელს ქალთა აუგად მოხსენიების სხვა მრავალი მაგალითიც მოჰყავს. შემდეგ კი აღნიშნავს: „ძველი ხალხებშიც ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები ანუ ქართველები, რომ სულ სხვა თვალით უყურებდნენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთეს მათგანს გაოცებით იხსენიებდნენ, როგორც მაგალითად, საოცარ მედეას... ქრისტიანობის დროს, დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა... საქართველოში, ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ" — აკაკი ჩამოთვლის „ნინო კაბადოკიელს, ქეთევან დედოფალს და განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მეფე თამარს"...[3]

---

1. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 486.
2 ა. წერეთელი. თხზ. სრ. კრებული, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 140.
3. რ. მეტრეველი, „აკაკის — საქართველო" „ლიტ. საქართველო", 1990, 8 ივნისი, გვ. 11.

ასე რომ, ქალს უბედურების წყაროდ კი არ მიიჩნევს აკაკი, იგი ისევე როგორც მისი ერი, სხვებისგან განსხვავებით, პირიქით, აღიარებს ქალთა შეუცვლელ ადგილს და როლს, მის დამსახურებას ჩვენი ერის ცხოვრებაში.

1913 წლის 3 ნოემბერს „მანდილოსნის" წევრთა კრებაზე თავის გამოსვლაში მან ის აზრი გამოხატა, რომ „50 წელია დაკვირვებული ვარ ჩვენს საქმიანობას და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ეს იმიტომ, რომ ამ საქმეში მხოლოდ მამაკაცები იღებენ მონაწილეობას. რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც. ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ[1].

აკაკის შემოქმედებაში მრავალი ნაწარმოები ეხება ქართველი ქალის თემას და ყველგან აკაკი იმ აზრისაა, რომ კარგი ქალი, „ბურჯი და ქვაკუთხედია, როგორც კარგი ოჯახისა, ისე საზოგადოსიც", — მათ გაკეთებულ საქმეს სხვა მადლი აქვს — აღნიშნავდა იგი.

1897 წლის სექტემბრებს აკაკი იმ მიზნით ეწვია კახეთს, რომ დაეთვალიერებინა: ალავერდის, შუამთის, ბოდბის წმ. ნინოს და კახეთის სხვა უძველესი ტაძრები და მონასტრები. მისი მოგზაურობის მიზანი და თარიღები ზუსტდება იმდროინდელი პრესის საშუალებით, რომელიც დეტალურად აშუქებდა პოეტის მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის კახეთშიც.

თელაველი ილია ზარაფიშვილი „ნადიკვრელის" ფსევდონიმით ასე აღწერს პოეტის მოგზაურობას: აკაკი 11 სექტემბერს ჩადის თელავში, გზად ათვალიერებს შუამთის მონასტერს; 13-14 სექტემბერს ალავერდშია, ესწრება ალავერდობას და უსმენს ორ მომღერალ გუნდს, რომელთაგან ერთს ცნობილი მგალობელი პოლიევქტოს კარბელაშვილი ხელმძღვანელობს;

15 აგვისტოს თელაველები პოეტს დიდებულ ნადიმს უმართავენ ათასწლოვანი ჭადრის ქვეშ;

18 სექტემბერს იგი თელავიდან გამოემგზავრა და ის ღამე პოლიევქტოს კარბელაშვილთან გურჯაანში გაათია;

19 სექტემბერს ბაკურციხეში ნახულობს ნინო ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილისას, შემდეგ კი სიღნაღს, ბოდბეს და ქვემო მაჩხაანს ესტუმრა.

---

1. „სახალხო გაზეთი", 1913, 7 ნოემბერი, გვ. 4.

საზოგადო მოღვაწე, სიძველეების მკვლევარი, მრავალი შრომის ავტორი პოლიევქტოს კარბელაშვილი (1855-1936 წ.წ.) ქართული წიგნმცოდნეობის და ჟურნალისტიკის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის პიონერად არის მიჩნეული.

აკაკი დაინტერესებულა მისი პიროვნებითა და მოღვაწეობით. 18 სექტემბერს, თელავიდან სიღნაღისაკენ წამოსული, გურჯაანში მის ოჯახში დარჩენილა ღამის გასათევად. მღვდელს ძლიერ კარგი ბიბლიოთეკა ჰქონია, რომლის დათვალიერების შემდეგ აკაკი სიამოვნებით აცხადებს „კმაყოფილი დავრჩი". მას სურვილი უჩნდება, თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი", რომლის დაწერასაც აპირებდა, კარბელაშვილის შესახებ ვრცლად ისაუბროს.

19 სექტემბერს, დილით, აკაკი მასპინძელთან ერთად აგრძელებს გზას სიღნაღისაკენ შიდა სოფლებზე (გურჯაანი, კარდენახი, ანაგა, ბაკურციხე) გავლით. ზოგან ჩერდებოდა კიდეც.

როგორც თვითონ აღნიშნავს: „გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავს რა. ყველგან რთველი იყო გამართული, მაგრამ ლხინი და სარგებელი კი სხვებისა იყო..." მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ისილა, რომ ბარაქიანი შემოდგომით კახელი გლეხი ვერ ხარობდა, რადგან თავს მევალეები ადგნენ და პატრონებს ყურძნის ჭამის ნებაც არ ჰქონდათ...

მრავალ საინტერესო და დამაფიქრებელ დეტალს აქცევს აკაკი ყურადღებას.

მთელ კახეთში, მხოლოდ ერთადერთი ქიზიყია, რომ ჯერ ვაჭრებსა და ჩარჩებს ვერ მოუხერხებიათ ჩაყლაპვა, თუმცა „საცადს არ აკლებენ" — აღნიშნავს იგი და აღწერს, თუ როგორ უჭირს ქართველს თავის ქვეყანაში იმ საქმის წამოწყება, რომელიც სიღარიბიდან დაიხსნის: „შარშან და შარშანწინ მაჩხაანში ქართველებმა დეპო დააარსეს. ვაჭრების საგანგებო კომიტეტმა მაშინვე საზოგადო თანხიდან გამოიღო ფული და ქართველების დეპოს კრიჭაში მარცხნივ და მარჯვნივ ორი მაღაზია აუშენა, რომ ის აღარ გაახაროს..." აი, ამგვარად ებრძოდა ცხოვრების გასაუმჯობესებლად წამოწყებულ ქართველი გლეხობის ყოველგვარ ცდას ჩარჩ-ვაჭრობა. ამიტომაც ისინი არასოდეს ჰყვარებია პოეტს და თავის სატირულ ნაწარმოებებში შესაფერისად „ამკობდა" მათ გაუტანლობას, ვერაგობას, მგლურ კანონებს.

გლეხკაცობის დაბეჩავებულმა ყოფამ, უკიდურესმა სიღარიბემ და უსამართლობამ, რომელსაც ის ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა, შეზარა, აღაშფოთა აკაკი. ისიც შენიშნა, რომ მხოლოდ გლეხობა კი არა,

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას თავადაზნაურობაც შეეჭირვებინა. ვისაც შეუგნია, რომ ასე გაგრძელება დამღუპველია, ცდას არ აკლებს, თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ „ძნელია, თუ მიმშველი და მომხმარე არ ეყოლა“ — ასკვნის ბოლოს.

ასეთი მშველელი გამოჩნდა ღვინის გამსაღებელი ამხანაგობის სახით, რომელიც იმხანად თბილისში შეიქმნა და საგრძნობლად შეამსუბუქა მდგომარეობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამხანაგობამ დიდხანს ვერ იარსება. ახდა პოეტის ავი წინათგრძნობა — თავი იჩინა ქართულმა ჭირმა „იმ შეჩვენებულმა უთანხმოებამ“. ტყუილად კი არ ამბობდა აკაკი: ერთი ქართველი საქმეში გმირია, ორი კი — ჭირიო. ქართველისათვის შეთანხმებულობის და ერთიანობის შესაგნებად ირჯებოდა პოეტი, როცა მოგზაურობდა, როცა ყოველგვარი დიდაქტიკური შეგონების ნაცვლად ქმნიდა საოცარ სტრიქონებს:

„ეწერიც კი ცხოვრობს თანხმობით
ფუტკარი, ჭიანჭველაო...
და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე:
ოდელა-დელა-დელაო?!“

მოგზაურ პოეტს სასიამოვნო შეხვედრების სიამეს სულ უქარწყლებდა გზად, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, შემხვდარი უსამართლობა. აქაც იგივე მდგომარეობა დახვდა, რაც თელავის ახლომახლო იხილა — სიღარიბე, იმგვარი ენით აუწერელი სიღატაკე ქართველი გლეხობისა, რომ თქვა: „ნეტავი, არ მენახა“. დიდხანს ედგა თვალწინ კახეთში ნანახი სურათები და ფიქრობდა, თუ როგორ დახმარებოდა მშრომელ კაცს გაუსაძლის ყოფაში.

„აკაკიმ მითხრა: კახეთში ვარ... ბოქაულმა ერთ გლეხს შემოჰკრა. მე გამოვესარჩლე — რა უფლება გაქვს, გლეხს რომ სცემო?.. ის გამიჯავრდა... — წამობრძანდით და გაგაგებინებ, რა უფლებაც მაქვსო. მე წავყევი. მიმიყვანა ხის ძირში, სადაც მაგიდა და სკამი ედგა. დაბრძანდა სკამზე. ამოიღო ქაღალდები და მიბრძანა — თქვენი სახელი და გვარიო. მეც წყნარად ჩავილაპარაკე — აკაკი წერეთელი — თქვა. ამის თქმა იყო და იგი ცივად ფეხზე წამოვარდა და ბოდიშად გადაიქცა; უკაცრავად, ბატონოო... აბა, რას ვიფიქრებდი, თუ აკაკი, ჩვენი სასიქადულო აკაკი აქ იქნებოდაო... მისი ერთადერთი სკამი მე დამითმო, ძალად დამსვა სკამზე და მისმა დაუსრულებელმა ქათინაურებმა თავი წამაჭამა“ — იგონებს პოეტის თანამედროვე პ. ვაჭრიძე[1].

1. პეტრე ვაჭრიძე, „იქნება ჩვენთან მარად და მარად“, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1990, №10, გვ. 152.

შესაძლოა, ეს ის ეპიზოდია, რომელსაც ალავერდობაზე აღწერს თავის ნარკვევში, როდესაც ბოქაულმა გლეხს ჩოხა ძალით გახადა და კიდეც სცემა... როგორ შეეძლო აკაკის, რომ დაჩაგრულს არ გამოსარჩლებოდა?

კახეთში მოგზაურობისას უსიამოვნო ამბებსა და ნანახს თან ახლდა სასიამოვნოც, რომელიც, ცხადია, მთლად ვერ მოურჩენდა გულისტკივილს მიღებულს თავის ქვეყანაში ქართველის დაჩაგრულ-დამცირებულ ყოფაში ნახვით, მაგრამ წყენას მაინც გაუნელებდა, იმედს მისცემდა იმისას, რომ ყოველივე გამოსწორდება, რომ „გმირი გამოიღვიძებს და რაც მღვიძარ ნაცარქექიას დიდი ხნობით უკეთებია, იმას ცოტა ხანშიაც მოასწრებს“ (თელავში 1897 წელს წარმოთქმული სიტყვიდან).

მოგვყავს ეს სიტყვა მთლიანად.

სიტყვა, თქმული თელავში, სადილზე

„ბატონებო!

ჩვენი ძველების სიბრძნემ რუსთაველის პირით გვიანდერძა, რომ

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

და ეს გადმონაცემი აგვაროზათ უნდა გვიდვას გულზე დღევანდელ ქართველებს, მით უფრო, რომ კარგათ ვერა გვაქვს გამოკვლეული, სად რა უნდა ვთქვათ ხოლმე და როდის რა? აზრიანი ცხოვრება-კი ყოველთვის მოითხოვს, რომ არა თუ საქმე, თვით სიტყვაც-კი გარემოებასთან შესაწონი, დრო და ვითარების საკადრისი უნდა იყოს. მაგალითად: როცა მძინარს ვაღვიძებთ, მაშინ საჭიროა, რომ ახლოს მივიდეთ მასთან, ჩავძახოთ, ჩავჰყვიროთ, ვუკიჟინოთ და ხან-და-ხან ხელითაც შევეხოთ, ვანძრიოთ და ვაჯანჯგალოთ, რომ გამოვაღვიძოთ როგორმე. მაგრამ რაღაი კი გამოფხიზლდება და ზეზე წამოდგება, მაშინ ესეები საჭირო აღარ იქნება და მხოლოდ იმას უნდა ვეცადოთ, რომ მღვიძარი სხვა გზაზე დავაყენოთ და საქმეზე მივუთითოთ.

იყო დრო, და მას აქეთ დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ ჩვენი ხალხი საერთოდ ძილისაგან იყო წაღებული და გამოღვიძება ეჭირვებოდა. მესამოცე წლების ახალგაზრდობამ გამოაღვიძა ის მართლა და ჩიჩინით, კიჟინითა და ჯანჯგალით. ეს ჩიჩინი იყო

მაშინდელი მათი მჭევრმეტყველობა, სიტყვა-კაზმულობა და კეცა-კეცა, მრავალ-სართულიანი პატრიოტული ფრაზები. დღეს ესეები მაგდენათ გამოსადეგი აღარ არის, რადგანაც, ცოტათ თუ ბევრათ, გამოღვიძებულ ერს სიტყვასთან საქმეც ეჭირვება და ეს რთული მოვალეობა კისრად აწევს დღევანდელ ახალ-თაობას. მტერი მძინარეზე უფრო თამამად მიდის, ვიდრე მღვიძარზე; ფხიზელს თვითონაც უფრთხილდება, უფრო რთულ-იარაღსა ხმარობს და თანვე ხერხს ეძალება. ამიტომაც დღევანდელი მტრის მოგერება უფრო ძნელია ადრინდელისაზე და, რასაკვირველია, დღევანდელ ახალ-თაობასაც უფრო მეტი სიფრთხილე და მეცადინეობა მართებს... აქ სიტყვამ „ძილი" მოიტანა და უდროვო არ იქნება, რომ ამ „ძილზე"... ქართველების ძილზე, ცოტა რამე ვთქვათ! ქართველებს რომ, თითქმის ეს ერთი საუკუნეა, გვძინავს, ამის დაფიცვა აღარ მოხერხდება!.. და ან კი რა საჭიროა?! მსოფლიო კანონი თანასწორად მოქმედებს ყველაზე! მისი კანონი დიდზე და პატარაზე ერთნაირად გადუვალია: რაც-კი არსებობს და მოძრაობს ქვეყნათ, იმან ხან-და-ხან კიდეც უნდა შეისვენოს ხოლმე. ბარათაშვილი ამბობს: მინდა მზე ვიყოო და საღამოს მიტომ ჩავიდე, რომ მეორე დღეს, შესვენებული, უფრო მეტის ძლიერებით ამოვბრწყინდე და გავანათლო ქვეყანაო. ეს თვითაც სხივოსანი და ნათელი ფანტაზია ყველასათვის საგულისხმოა. თუ მაღლა ცაშიც-კი ეჭირვებათ შესვენება, ქვეყნათ მიწიერი სადღა წაუვა ამ კანონს?..

ქართველების ძილიც კანონიერია და შემცდარი არიან ისინი, რომელთაც ეს ბუნებრივი მოვლინება სიკვდილის ნიშანი ჰგონიათ.

ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!.. ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ, დაუძლურებული და ქაფათ ქცეული უკანვე იქცევიან... უფრო უახლობელს დროში მაჰმადიანობამ ჩაჰყლაპა დიდი ვიზანტია, დაიმონა სლავიანის ქვეყნები და ამ პატარა ქვეყნის კუთხეს-კი ბოლო ვერ მოუღო... ჩვენმა მამა-პაპებმა გადიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით-კირსაო" და, სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნება გაამტკიცეს!.. წმინდა ჯვარი ქრისტესი შეუბღალავათ მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე და სასოებით

გადასცეს ერთ-მორწმუნე ერს... გადასცეს და თავი კალთაში ჩაუდვეს, რომ ტკბილათ დაძინებოდათ, დაღალულობის მოსახდელათ... და თუ იმ აუცილებელი ძილის დროს ვინმემ რამე მოსტაცა და ან მოჰპარა მათ, ეს დამნაშავეობათ არ ჩაეთვლებათ და არც გასაკიცხი არიან: მძინარ გმირზე ფსიზელ ნაცარ-ქექიას უფრო ეტყობა სიცოცხლის ნიშან-წყალი, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ აძლევს ნაცარქექიას, რომ მძინარ გმირს უკიჟინოს!.. გმირი გამოიღვიძებს და რაც მღვიძარ ნაცარ-ქექიას დიდი-ხნობით უკეთებია, იმას ცოტა ხანსაც მოასწრებს. დიახ, დღეს იღვიძებს ჩვენი ერი, რომ კვლავინდებურათ იმოქმედოს, გაუმკლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს. მართალია, ძველათ რომ მტრები გვყავდნენ, ისინი დღეს აღარ არიან, მაგრამ მაგიერათ უფრო ძლიერი და უფრო საშიში მტერი კარზე გვადგია. მე ვამბობ იმ ეკონომიურ მტერზე, რომელიც დღეს ყველას თავ-ზარსა გვცემს და ლამის ჩაგვყლაპოს...

საჭიროა ბრძოლა და, თუ კი ჩვენი ძველები, ცალი ხელით რომ ფარ-ხმალი ეჭირათ, მაინც კიდევ ახერხებდნენ მეორე ხელით სამეურნეო იარაღის აღებას, ჩვენ წინ რა გვიდგას, რომ ორივე ხელით იგივე სამეურნეო იარაღი ვეღარ ავიღოთ? თქვენა ბრძანებთ, რომ მაშინ საჭირო იყო ფარ-ხმალი და ეს იარაღი ყველას ჰქონდაო, დღეს-კი სიმდიდრე და ფულია საჭირო, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეს ვებრძოლოთ და აბა სადა გვაქვსო? ეს თუმცა ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, სიმართლეს-კი მოკლებულია: დღევანდელ ჩვენს მტრებზე ერთი ათად ჩვენ მეტი ვართ, შეძლებაც ბევრათ მეტი გვაქვს, მაგრამ ჩვენი შეძლება გაფანტულ გაცალ-ცალკევებულია და მათი-კი თითო-ოროლას ხელში მოქურჩულ-მოგროვილი. ერთი რომ ერთზე მივიდეთ საწინააღმდეგოთ, რასაკვირველია, ვერას გავაწყობთ, მაგრამ თუ შეერთებულად ვიმოქმედებთ, მაშინ-კი ძალა ჩვენ ხელში იქნება. მოგახსენებთ სულ უბრალო მაგალითს: ამ დღეებში სულ ორიოდე ავაზაკმა მთელი გორის მაზრა შეაძრწუნა. რომელ მოსახლისასაც კი შევარდებოდენ, მუსრს ადენდენ. ან კი რა უნდა ექნათ? ავაზაკები თოფ-იარაღში იყვნენ ჩამჯდარი და იმათ-კი ჯოხის მეტი არა ჰქონდათ რა. შეჰყურებდნენ საცოდავათ პოლიციას და ჩაფრებს, რომ ეგება დაგვიფარონ როგორმეო. ბოლოს, როცა იმედი დაჰკარგეს, თვითონ ჩაჰხვდენ გონებაში. მოიყარეს თავი ერთად, კეტი-კეტს შეუერთეს, ქვა-ქვას და დაუხვდენ მტრებს... ასსა და ორას ქვას ბერდანკა ვეღარ გაუმაგრდა, კეტებს ხმალმა ვეღარ გაუძლო და მოპბეგვეს ავაზაკები. თუ ჩვენც მათსავით შევერთდებით, ჩვენს პატარ-პატარა შეძლება-ქონებას ერთი მეორეს მოვახმართ,

ჩვენც ეკონომიურათ ძლიერი ვიქნებით და მტრებს მოვიგერიებთ. აქაც საკვირველი ის არის, ამაებს ყველას, რაც აქ მოგახსენეთ, ცალ-ცალკე ყველა ქართველი ამბობს და უჩივის... უეჭველია, თავის-თავათაც აქვს შეგნებული. სიზარმაცესაც ვერ შევწამებთ ქართველ ხალხს!.. მართალია, დღეს ქართველებში ურევიან აქა-იქ გუნდებათ ბულვარ და დუქან-მეისტრები, მაგრამ ამ გვარები სად არ არიან და რომელ ხალხში? უმეტესობა, მაგალითად, გლეხობა და სოფლის მცირე მამულიანი თავად-აზნაურობა წელს იწყვეტს, ეგება რასმე გავხდეო და მაინც მათი შრომა უნაყოფოთ რჩება. ჩვენი ქვეყანაც ისევ ძველებურათვე მდიდარია და გულღია. ჯერ არ მოჭმულა, და ან კი რა მოჭამს და დაღალავს მის სიმსუქნეს? ჩვენ მიწებს ნაკელი არ ეჭირვება, ჩვენი ძველების სისხლ-ხორცით არიან ნასუქ-ნაპატივები... ისე ბიჯს ვერ გადავდგამთ, რომ ფეხი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე არ დავდგათ. ისე გუთანი ვერ გაგვივლია, რომ სახნისმა ჩვენი ძველების ძვლები არ ამოჰყაროს... იმ თავითვე ისტორიულათ შესისხლ-ხორცებული ვართ ჩვენს მიწა-წყალთან, ნათესავური კავშირია ჩვენ შორის და მიტომაც იბრძოდენ და იცავდენ ჩვენი მამები, რომ ხელიდან არ გაეშვათ!.. ზოგიერთ დღევანდელებს რა გვენაღვლება! გული რაზედ უნდა შეგვტკივოდეს და დაგვწყდეს, რომ იმ მამა-პაპის ნაშთზე ღვინისა და შამფანსკის მეტი არ გვიღვრია რა?!. .

ეჰ, ასეა თუ ისე, ეს ჭირიც კიდევ ადვილათ მოსახდელია, თუ უმეტესობა ფეხზე ვიდგომებით და ამ თავითვე შევიგნებთ, თუ რა არის მიზეზი დღევანდელი ჩვენი უბედობისა, რომ უმეტესობის შეგნება, სურვილი და შრომაც ველარ გვიშველის? ვისი ბრალია? რა გვიშლის ხელს და ვის უნდა დავდვათ ბრალი? — ვის და თავადებს!.. მე აქ თავად-აზნაურობაზე კი არ მოგახსენებთ... იმ მეთაურებზე მოგახსენებთ, რომელნიც საქმეს თავში უნდა უდგენ. დღეს დრო იცვალა, საქმეც სულ სხვა გვარია და მეთაურებიც, ე. ი. თავადებიც სულ სხვა ნაირი გვეჭირვება. ქვეყანა მზათ არის აღიაროს და მიენდოს მათ. ხალხისთვის სულ ერთია, რომელი წრიდანაც უნდა გამოვიდენ ის თავადები, ოღონდ-კი მეთაურობა შეიძლონ: გლეხობით და მღვდლის შვილობით არავინ დაიწუნებს მათ. მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ ვერსად ვხედავთ... დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია: სუსტია საზოგადოთ!.. ქვეყნის წინ წაძღოლა, მეთაურობა არ შეუძლია.

აბა, მიბრძანეთ, რა მეთაურია და რა თავადი ხალხისა ის ინტელიგენტი, რომელსაც იმდენათ უყვარს სამშობლო, რამდენათაც ის მხოლოთ სასარგებლოა მისი პირადი კეთილ-დღეობისათვის და, თუ ველარას ჩამორჩა, წიხლსა ჰკრავს და ჩალა-ბზეზე გაცვლის!

აბა ის ინტელიგენტია, რომელსაც გონება ჯიბეში უძევს და გრძნობა კუჭში? ქვეყანას წინ ვერ წაუძღვება!.. „კარგ შვილს უთუოთ კარგი გამზდელი დედა უნდა ჰყავდეს და დედები-კი არსად არიან... დღევანდელი ჩვენი ქალები ადრინდელის აჩრდილიც არ არიან. ჩვენი დედები მართლა დედები და ცოლები იყვნენ. მიტომაც დაურქმევიათ „ცოლი“ ე. ი. „ცვალი“, რომ ქმრის გამონაცვლება შეძლებოდა, ანუ მეუღლე, რომ ქმართან ერთად ცხოვრების უღელი გაეწია. დღევანდელი ქალები, მხოლოთ „ჟენები“ არიან, რადგანაც სიტყვა „ჟენა“ სანსკრიტულად მშობელს ან მომგებს ნიშნავს და ამათაც ხომ მეტი არა შეუძლიათ რა. ამას მიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ქალები გავჰკიცხო და შეურაცხყოფა მივაყენო, მით უფრო, რომ იმათ ბრალი არაფერში აქვთ!.. მათი უვარგისობა დროთა ვითარების ბრალია და მეც გულის ტკივილი მალაპარაკებს, ის უიმედობა და გულის ტკივილი, რომელიც საფლავში თან უნდა ჩამყოლოდა, თუ დღევანდელ კახეთის ნახვას ჩემთვის გული არ გაეთელებია!.. ერთი მცირე რამ შევნიშნე თელავში, რომელმაც გული გამიმთელა და ამაფრთოვანა მომავლის იმედით: აქ ახალგაზრდა ქალებს, ოჯახის შვილებს, ნაცვლათ იმისა, რომ სხვებსავით მაღალ ფარდებში იფარფაშონ, ხელი მოუკიდიათ პატარა საქმისათვის: გაუმართავთ უსასყიდლო შკოლები ღარიბ-ობლებისათვის, სადაც ასწავლიან ხელსაქნარს, მეოჯახობას, უცხო ენასთან ერთად მშობლიურსაც და დროს შესაფერათ და საკადრისათ სწორ გზაზე აყენებენ მათ; ამისთვის არ ზოგავენ არც ხარჯს და არც შრომას. უეჭველია, რომ აქედან გამოვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება და მერე მათი გაზდილი შვილებიც ღირსი წევრები იქნებიან მომავალი, სანატრელი ახალ-თაობის. ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლმე. აი, თუ გინდა, ეს დღევანდელი თქვენ მიერ ჩემი პატივის ცემა გადაჭარბებულია... მე ამდენის ღირსათ არ მიმაჩნია ჩემი თავი და მხოლოთ თქვენსავე მადლიერ გულუხვობას მივაწერ!.. დიახ, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლმე და მცირეც დიდათ გვეჩვენება... მაგრამ დღეს კი მე აქ მეტს არას ვამბობ იმ პატარა შკოლების შესახებ. მეც კარგათ ვიცი, რომ ისინი საკმაო არ არიან საქართველოს ბედნიერებისათვის, მაგრამ, როგორც ნიშანი კეთილ-მომავლისა, სასიხარულო და საიმედო მოვლენაა!.. პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოთ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს

მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარვენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანედლებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკ-ვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდევ სადედათ-სქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს... ვისურვებ მის ბედნიერებას საზოგადოთ და კერძოთ თქვენთვისაც, როგორც მის მცირე წარმომადგენლებისას"[1].

სასიამოვნო მოგონებად შემორჩა პოეტს ბოდბეში წმ. ნინოს მონასტრის ნახვა და სოფელ ბაკურციხეში კნეინა ანდრონიკაშვილთან (ნინო-ნინუცა სოლომონის ასული ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილი 1815-1918 წ.წ.) სტუმრობა.

მის შესახებ აკაკი წერს: „მასზე ბევრი კარგი მქონდა გაგონილი და მართალიც გამოდგა. კნეინა ერთ იმ ქართველ ქალთაგანია, რომელიც დღეს გვენატრება: ზრდილი, დარბაისელი, სიტყვაპასუხიანი და ყოველი კარგის თანამგრძნობი: სასიამოვნოდ დამრჩა არა თუ მისი ნახვა, არამედ იმათიც, ვინც გარს ეხვივნენ და მომაგონდა დედაჩემის დარიგება: „შვილო, მეტყოდა ხოლმე, უნდა ცდილობდე, კარგი ადამიანისა და საზოგადოების დაახლოვებას. ისე, როგორც მზისა და მთვარისა, იმათი სხივი და ნათელი შენც მოგხვდება და გამოგაჩენს".

ამ სათნო და სიკეთე-სიდარბაისლით ცნობილ მანდილოსანს ეწვია 19 სექტემბერს დილით, გურჯაანიდან სიღნაღს მიმავალი პოეტი.

ანდრონიკაშვილები ცხოვრობდნენ კახეთ-კუხეთისა და ქიზიყის გზაგასაყართან მდებარე ულამაზეს სოფელ ბაკურციხეში, რომელიც, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, აუშენებია მეფე ბაკურს „კახეთსა შინა მახლობელ ქიზიყისა. ბაკურციხე ეგო მრავალ წელ ჩინებულს ქალაქად: ხოლო უკანასკნელ დაირღვა და იქმნა დაბად, რომელიცა ჟამად ამადამდე არს დაბად". ბაკურციხელ ანდრონიკაშვილებს მეტსახელად „მარშლიანთ" ეძახდნენ, რადგან ძმები სოლომონ და რევაზ ანდრონიკაშვილები დიდხანს ყოფილან თავადაზნაურთა მარშალ-წინამძღოლნი სიღნაღსა თუ თბილისში.

1. აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 293-299.

მათი დიდი გემოვნებით აშენებულ-მოწყობილი სახლ-კარი, ჩინებულად მოვლილი ბაღ-ვენახი, თუთის პლანტაციები თუ ორანჟერეა, რომელსაც ასეულობით ლიმნის და ფორთოხლის ხე ამშვენებდა, აგრეთვე ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ფერმა, 1858 წლიდან იმდენად ცნობილი ყოფილა რუსეთის იმპერიასა და მთელს ევროპაში, რომ მნახველები არასოდეს მოკლებია. „მარშლიანთ წალკოტის" სტუმართა შორის მრავალი ცნობილი და სახელოვანი ადამიანი მოიხსენიება. აკაკიმ საგანგებოდ აღნიშნა ნინო ანდრონიკაშვილთან სტუმრობა და საუბარი ნარკვევში „კახეთში მოგზაურობა". ნინო ანდრონიკაშვილს სპეციალური წერილები მიუძღვნეს მასთან სხვადასხვა დროს სტუმრად მყოფმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

ანდრონიკაშვილების ცნობილ მამულს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ივანე როსტომაშვილის მიერ შედგენილ ქართულ-რუსულ ენციკლოპედიაში „სალარო ცოდნისა".

„სწორედ გულმკვდარი დავბრუნდებოდი კახეთიდან, რომ ბოდბეში წმინდა ნინოს მონასტერი არ მენახა" — წერს აკაკი თავის ნარკვევში და დაწვრილებით აღწერს ბოდბის მონასტერს, რომელიც კახეთში თავისი პირველი მოგზაურობის დროსაც მოინახულა. კმაყოფილებას ვერ მალავს, რადგან აქ წინანდელი სიღარიბის კვალი სრულიად გამქრალიყო: ძველი ეკლესია შეეკეთებინათ, ძველი ნახატები შეუბღალავად დაეტოვებინათ, ახალი სამყოფებიც აეშენებინათ, სადაც ასამდე მონაზონი ცხოვრობდა. იქვე ახალ ეკლესიას აშენებდნენ. სკოლაც გაემართათ, სადაც ახალგაზრდა ქალებს ზრდიდნენ: ასწავლიდნენ ხატვას, წერა-კითხვას ქართულად და რუსულად, ხელსაქნარს, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ქართულ ტაძარში, რომელშიც 15 საუკუნის მანძილზე ქართული ლოცვა გაისმოდა, სადაც ქართველების სიწმინდე და საუნჯე — წმ. ნინოს გვამია დაკრძალული, არცერთი ქართველი ფეხს აღარ დგამდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ აქ წირვა-ლოცვა მხოლოდ რუსულ ენაზე სრულდებოდა. ეს კი წინამძღვარმა იმით ახსნა, რომ მონაზონები რუსეთიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი და ქართული არ ესმითო... აკაკი ამან მწარედ დააფიქრა. ბოლოს ასეთი რჩევა მიუცია წინამძღვრისათვის — წმ. ნინოს ხსოვნის დღეებში, განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებზე, ქართულად ეწირნათ, რომ ხალხი ისევ მიეზიდათ.

მონასტრის წინამძღვარი არ მორიდებია და პირდაპირ უთქვამს: „საყდრები სხვაც ბევრია, მაგრამ ხალხი მაინც არ დადის".

აკაკი ფრიად შეუწუხებია თანამემამულეთა გულგრილობას

სარწმუნოებისადმი. იგი ჰკიცხავს მღვდელთა სიხარბეს — არ ჰყოფნით ერთი სოფელი, მეორე და მესამესაც იერთებენ, მის მოვლა-პატრონობას კი ველარ სწვდებიან. ამის გამო მრევლს სათანადო ყურადღება არ ექცევა და ისიც გულგრილი ხდება.

წმინდა ნინოს მონასტრის ნახვამ ერთდროულად კიდეც გაახარა და კიდეც დააღონა აკაკი. გაიხარა იმით, რომ მონასტერში სიცოცხლე ჩქეფდა. დააღონა იმან, რომ მის ქვეყანაში, ამ განაპირა პროვინციაშიც კი ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეეცვალათ ისე რომ, რუსეთიდან ჩამოსულ ასამდე მონაზონს კი არ უნდა ესწავლა ქართული ენა, არამედ ქართველს უნდა გაეგო მათი რუსული, ან მიეტოვებინა მისთვის ესოდენ წმინდა ტაძარი, სადაც წმ. ნინოს გვამი ეგულებოდა.

ცუდ ნიშნად მიიჩნია მიზეზთა გამო ქართველთა გულგრილობა მამა-პაპათა სარწმუნოებისადმი. მით უფრო, რომ „15 საუკუნის განმავლობაში რჯულზე მტკიცედ იდგნენ ჩვენი ძველები. რა არ აუტანიათ იმათ თაიერებისაგან, მაგრამ ვერც ტანჯვითა და ვერც მოფერებით — რჯულზე ხელი ვერ ააღებინეს...“

ამგვარ გაუკუღმართებულ საქმეს ბევრგან აწყდებოდა აკაკი. იგი როგორც შეეძლო ისე ცდილობდა წამხდარის გამოსწორებას.

თუ შევაჯამებთ აკაკის კახეთში მეორედ მოგზაურობის შედეგებს, აღმოჩნდება, რომ პირველი ნახვით მიღებული აღტაცება რამდენიმე უსიამოვნო ამბავმა სრულიად გაუნელა: იგი აღაშფოთა ჩვენი კულტურის საამაყო ძეგლის — ალავერდის ტაძრის სავალალო მდგომარეობამ და თვით ალავერდობის ბაზრობა-ღრეობადქცეულმა დღესასწაულმა, „ჯიგლიგანობად“ გადაქცეულმა ქართულმა ჭიდაობამ, განსაკუთრებით ჩარჩ-ვაჭრების თარეშმა კახეთში, მაოგან შეჭირვებული ქართველი გლეხების მდგომარეობამ — უკიდურესმა სილატაკემ, ავრეთვე უსამართლობამ მოხელეთა მიერ, მათმა თავგასულობამ.

ერთადერთი, რამაც სული მოათქმევინა და, როგორც თვითონ აღნიშნავს, ნატკენი „გული გაუმთელა“ თელაველ ქალთა საქმიანობა და კიდევ „იმ პატარა შკოლების“ ხილვა იყო, რომლებიც, თუმცა „საკმაო არ არიან საქართველოს ბედნიერებისათვის, მაგრამ, როგორც ნიშანი კეთილ-მომავლისა, სასიხარულო და საიმედო მოვლენაა!..“ მისი თქმით, „პატარა ცისარტყელა, ვერც ათბობს, ვერც ანათებს... მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული“.

ივანე როსტომაშვილი

ლევან ჯანდიერი

ივანე როსტომაშვილი ოჯახთან ერთად

აკაკი წერეთელი სოფელ ვაჩნაძიანში
ლევან ჯანდიერის ოჯახში (1911 წ.)



გრიგოლ აფშინაშვილი

პოლიევქტოს კარბელაშვილი

ილია ზურაბიშვილი

ზაქარია ჩხიკვაძე

ნიკო სულხანიშვილი

ივანე პაატაშვილი

ნიკო შიუკაშვილი

ალექსანდრეს ოჯახი (1911 წ.)

აკაკი წერეთელი ყვარელში
იური ჭავჭავაძის ოჯახში (1911 წ.).
სურათზე აღბეჭდილნი არიან შალვა დადიანი, ელო
ანდრონიკაშვილი და სხვები



აკაკი წერეთელი ყვარელში „ილიაობაზე“ (1911 წ.)

ვახტანგ ჩელთისპირელი
ფეიქარ-ხანის როლში

პლატონ ახვლედიანი
აბდულშაჰილის როლში

გიორგი მამუჩიშვილი
თავად ჯანდიერის როლში

ეკატერინე ვერულეიშვილი
თიმსალ-მაკოს როლში

„მე ქართველი ვარ!“

1898 წელს მთავრობამ ჩაშალა დიდი ილიასადმი მიძღვნილი საიუბილეო სამზადისი... ათი წლის შემდეგ, 1908 წელს ქართველი ხალხი აკაკის საიუბილეო სამზადისს შეუდგა. პოლიციის საიდუმლო განყოფილებას ამჯერადაც უცდია ხელის შეშლა, მაგრამ ილიას მკვლელობით გულმოკლულმა და შეურაცხყოფილმა ერმა დიდებული ზეიმი მოუწყო თავის საყვარელ მგოსანს – ღირსეულად აღნიშნა მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, აჩვენა თუ როგორ აფასებს და უყვარს ნამდვილი მამულიშვილები.

პოეტის თანამედროვე, ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა ამ იუბილეს ასე აფასებს: „თუ ილიას დატირებამ ერთ არსებად აქცია ქართველი ერი, გააფართოვა და გააღრმავა მისი ნაციონალური შეგნება, აკაკის დღეობამ კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშა ილიას შეფასებაში... აკაკის გარშემო გაერთიანდნენ ყველა პარტია და ჯგუფები. ითქვა თამამად, დაურცხვენლად ქართველი ხალხის მთლიანობა, როგორც ერისა და აკაკი გამოცხადდა მთელი ერის საუნჯედ, სასიცოცხლო სულის ჩამდგმელად. ეს იმ დროს დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან პარტიების გამწკავებულმა ურთიერთობამ თითქმის წაშალა ქართველობის სახე“.

იუბილეს შემდეგ აკაკის იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უწყობდნენ საზეიმო შეხვედრებს.

აკაკიმ, უკვე ღრმად მოხუცმა, მაგრამ საქვეყნო საქმეებში აქტიურად ჩაბმულმა, კიდევ ერთხელ შემოიარა საშშობლო, თვალი მოავლო საყვარელ ადგილებს, ქალაქებსა და სოფლებს, ტაძრებს, ციხეებს, შეხვდა ხალხს... სადაც ვერ შეძლო მისვლა, მისი იუბილე მაინც აღნიშნეს.

„იუბილეი ჩვენც გადავიხადეთ. წინადვე არჩეული კომიტეტი მხნედ შეუდგა მუშაობას და შრომამ უქმად არ ჩაიარა... პროგრამა საღამოსი ვრცელი და ფრიად საინტერესო იყო“ – იტყობინებოდნენ ზაქათალიდან იქაური ქართველები – ინგილოები.

ჩვენთვის საინგილოში, საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, დიდი მონდომებითა და სიყვარულით ჩატარებული აკაკის იუბილედან საინტერესო ის არის, რომ საღამოს, თავისი მუსიკალური ნაწილითურთ, წარმართავდა თელაველი მწერალი და დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი. მას მოუმზადებია მომღერალთა გუნდი, რომელმაც „მშვენიერად, მწყობრად“ იმღერა ქართული ხალხური სიმღერები.

საუბილეო საღამოზე, თავის სიტყვაში — „მგოსნის ისტორიული და ბუნებრივი მნიშვნელობა“, ნიკო შიუკაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ერს საამისო პოტენცია არ გააჩნია, აკაკის მსგავს პოეტს ვერ წარმოშობს და რომ ეს მადლი უფალმა ქართველ ხალხს არ დაკლო.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება ამ სიტყვიდან მცირე ამონარიდის გაცნობა: „აკაკის 50 წლის მგოსნობას ვდღესასწაულობთ. დიდებული მგოსანი მხოლოდ დიდებულ ერს ებადება! მხოლოდ ერთი კაცი, შექსპირი ინგლისის მთელი ისტორიაა! შოთა რუსთაველი ჩვენი ძველი ისტორიაა. ილია, ბარათაშვილი, აკაკი — ახალი ისტორიაა... ჩამოაცალეთ ეს რამდენიმე კაცი... და გაჰქრება ჩვენი დიდებულება. უამათოდ ქართველებს ნება არ გვექნებოდა თავი ამპარტავნულად აგვეწია და მტერ-მოყვარესათვის ამაყად გვეთქვა — „მე ქართველი ვარ!“ გაჰქრებოდა ისტორიიდან ჩვენი სახსენებელი.

მგოსანი ერის შედეგია, მისი გამონაწურია... აკაკი მაჩვენებელია, ბარომეტრია ჩვენის ადამიანობისა! იგი მთელი ქართველობის შვილია და როგორც უთოვლო, ხრიოკი მთა მქუხარე ნაკადულს ვერა ჰშობს, ისე სულიერად წყალწყალა ერი თავის აკაკის ვერ ეღირსება!..

შარშან ვგლოვობდით და ვალალებდით ჩვენი პოეზიის მეორე არწივს — ილიას. ის აღარა გვყავს... უღელში ობლად დარჩა ჩვენი მოხუცი აკაკი და ჩვენს ახალგაზრდა მწერლობას მხოლოდ ისღა აფარებს თავის გაჭაღარავებულ ფრთებს. ვისურვოთ, რომ ამ ფრთებქვეშიდან ჩქარა გამოფრინდეს მომავალი შოთა, ილია, აკაკი!..“ („დროება“ 1908 წ. 19 თებერვალი, №27).

კვლავ კახეთისაკენ

1898 წ. შემოდგომაზე, 18 სექტემბერს, აკაკი წერეთელი კვლავ, ამჯერად მესამედ ეწვია კახეთს. 14 სექტემბერს ალავერდობას დაესწრო. გადმოცემით მას თან ხლებია უცხოელი სტუმარი.

პოეტის მესამე მოგზაურობის შესახებ მეტად მცირე მასალაა შემორჩენილი: ერთი საგაზეთო ქრონიკა და ერთი ეპისტოლე. წერილი დათარიღებულია 1898 წლით. მისი ადრესატი პოეტის უახლოესი მეგობარი, ექიმი და საბავშვო მწერალი ივანე ელიაშვილია. აკაკი სწერს მას: „ძმო, ვანო! წელს მე ვიყავი კახეთში, გამოვიარე სიღნაღისაკენ და მაჩხაანში ვიყავი. იქ უნდა გაიხსნას „პრიიმნი პოვოი“ და შენ აქ დანიშვნაზე უარი არა სთქვა. ყოვლისმხრივ შენთვის კარგია და

პრაქტიკაც ძალიან კარგი გექნება, ასე რომ, წელიწადში ათას თუმანს არ დასჯერდები. მეტს აღარ გწერ სიჩქარის გამო. შენი მეუღლე მომიკითხე.

შენი აკაკი." (ა. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1941 წ., გვ. 105)

წერილი მიწერილია თბილისიდან კახში 1898 წლის იანვარში.

გაზეთი „ივერია" ამ მოგზაურობის შესახებ 18 სექტემბრის ნომერის ქრონიკაში იუწყებოდა: „თელავი. 13 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, აქ მოვიდა თავ. აკაკი წერეთელი. მეორე დღეს, 14 სექტემბერს, ალავერდში წავიდა. ჩვენი პოეტი კახეთ-ქიზიყის მოვლას აპირებს".

ასეთი ძუნწია ცნობები პოეტის კახეთში მესამე მოგზაურობის შესახებ. შესაძლოა მას, ამჯერად, საზოგადოებასთან შეხვედრები არ ჰქონდა, ამიტომ მისი პირველი და მეორე მოგზაურობისაგან განსხვავებით ეს სტუმრობა პრესაში ფართოდ არ ასახულა.

„ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით კიდე".

აკაკი

1898 წლიდან საკმაო ხანი გადის. ჩანს, კახელებს მოენატრათ საყვარელი პოეტი, მისი იმედიანი შეძახილი, სამართლიანი საყვედური, ტკბილი მამაშვილური საუბარი, მეფური გარეგნობა...

ამ მონატრების გამოძახილად ჩაითვლება თელაველი ნიკო კურდღელაშვილის („ნარკანის") თხოვნა დიდი პოეტისადმი, რომ კვლავ „დახედოს თელავს".

1910 წლის 14 აგვისტოს იგი სწერს აკაკის: „სურამში გამართულმა ლიტერატურულმა საღამომ ჩვენი ახალგაზრდობა გაახალისა. ხანდახან მჭიდროდ ერთდება კაზმული მწერლობის მოკალმეთა დაქსაქსული და „პარტიულად" გათიშული ელემენტები...

გთხოვთ, თქვენი გადაწყვეტილი აზრი შემატყობინოთ, მოახერხებთ თუ არა კახეთისაკენ გამოსეირნებას? თუ, როგორც წინედ მიბრძანეთ, მოახერხებთ აგვისტოში თელავის დახედვას, მე აუცილებლად მოვწყობ საქმეს სალიტერატურო საღამოსათვის. აქ ახალგაზრდებიც სიამოვნებით აცხადებენ სურვილს მონაწილეობისა... აგვისტოს ოცამდე რომ თელავში მოვახერხოთ საღამო..."

აკაკისთან მიწერილი წერილის ადრესანტი ნიკო კურდღელაშვილი (1892-1938 წ.წ.) იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი,

მთარგმნელი (ფრანგულიდან თარგმნა ჟიულ ვერნის ნაწარმოებები: „საიდუმლო კურძული“, „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“, „კაპიტან გრანტის შვილები“).

იმხანად აკაკიმ ვერ შეძლო თელავში ჩამოსვლა; ეს სურვილი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეისრულა.

თელაველთა ცხოვრებაში კი ისე დამკვიდრებულიყო ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები, რომ უამისოდ მათ თითქოს ყოფნა აღარ შეეძლოთ.

ლიტერატურულ-თეატრალურ თუ მუსიკალურ საღამოთა მოწყობას, შეხვედრებს სახელოვან მამულიშვილებთან, საიუბილეო საღამოებს, ნადიმებს, ლექცია-მოხსენებებს, ლიტერატურულ პერსონაჟთა გასამართლებას სხვადასხვა დროს მესვეურობდნენ: ივ. როსტომაშვილი, ეროდიონ ევდოშვილი, სოლომონ გოშაძე, ნიკო შიუკაშვილი, კიკნაფშაველა, ნიკო კურდღელაშვილი, ივანე პაატაშვილი, შალვა დადიანი, ნიკო სულხანიშვილი, სანდრო ახმეტელი, მიხეილ საყვარელიძე, ნინო გოგოლაძე, დავით თურდოსპირელი, გიორგი ქუჩიშვილი, ია ეკალაძე და სხვები.

მეოთხედ და, სამწუხაროდ, უკანასკნელად აკაკი წერეთელმა კახეთი 1911 წელს ივლისში მოინახულა: ამჯერად მას სურდა დასწრებოდა უკვე ტრადიციადქცეულ „ილიაობას“, რომელიც თელავში ყოველი წლის 20 ივლისს იმართებოდა (ძვ. სტილით). ილიას მკვლელობის შემდეგ მისი დამაარსებელ-ორგანიზატორები იყვნენ: ნიკიფორე მამინაიშვილი, ივანე პაატაშვილი, ნიკო შიუკაშვილი და ნიკო სულხანიშვილი.

ილიაობაზე სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მწერლები: შალვა დადიანი, იოსებ მჭედლიშვილი, სიკო ფაშალიშვილი, დავით თურდოსპირელი, ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი.

თელაველთა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ, მისი ჩატარების ტრადიცია დღემდე არ დარღვეულა. „ილიაობა“, თავიდანვე, თელავის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

„ილიაობაზე“ დასწრების სურვილი გამოუთქვამს თუ არა მოხუც მგოსანს, რომელიც, მიუხედავად ასაკისა, კვლავ ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში და კიდეც მოგზაურობდა, მისი განზრახვა სასწრაფოდ უცნობებია ქართველთა შორის. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას ამავე საზოგადოების თელავის ფილიალისათვის. პასუხად თელავში შექმნილა სპეციალური კომისია დიდი პოეტის სათანადოდ დასახვედრად.

გადაუწყვეტიათ, რომ გომბორის გზაზე მომავალ პოეტს შუამთასთან ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსნები დახვედროდნენ. ერთი მათგანი ჭაღარა, თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრ ტანსაცმელში იქნებოდა გამოწყობილი, მხრებზე წითელი ყაბალახით. შეხვედრის გეგმა ეკუთვნოდა ივანე პაატაშვილს: „ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ეს იქნებოდა წარმოდგენილი „საქართველო". წითელი ყაბალახი – „საქართველოს დროშა". ეს მხედარი დატყვევებული ეყოლებოდა ორ შავ ტანისამოსში გამოწყობილ შავ ცხენებზე მსხდომთ. იგულისხმებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის ემბლემა – ორთავიანი არწივი. ცერემონიის პროცესი ასე განლაგდებოდა: სულ წინ მიედინებოდა თეთრი მხედარი – „საქართველო", აქეთ-იქეთ შავცხენიანი მხედრები – ცარიზმის ორთავიანი არწივი. შემდეგ მიჰყვებოდა ძვირფასი სტუმრის თეთრცხენშებმული ეტლი, გარშემორტყმული საპატიო რაზმით. უკან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრები და სხვა საზოგადოება. კორტეჟი პირველად სოფ. ვარდისუბანთან შეჩერდებოდა. აქ დაუხვდებოდა სოფლის ინტელიგენცია და გლეხობა პურ-მარილით. სახლის აივნებიდან მგოსნის ეტლს დააფრქვევდნენ ვარდ-ყვავილებს".

ვიდრე ივანე პაატაშვილის გეგმას დაამტკიცებდნენ, თუ როგორ მიეღოთ ძვირფასი სტუმარი, აკაკის შეუტყვია თელაველთა დიდი სამზადისის ამბავი, მორიდებია მათ შეწუხებას და აი, 1911 წლის ივლისში, უკვე კარგად ნაცნობი გომბორის გზით კახეთისაკენ ინკოგნიტოდ გაუწევია, რათა ერთხელ კიდევ „დახედოს" საყვარელ მხარეს.

მალე „საერთო ომნიბუსი" თელავში შევა... სახეზე ღიმილი ეფინება, როგორც მას გრიგოლ რობაქიძე უწოდებს „სევდის ღიმილი... უცნაური ღიმილი... აკაკის ღიმილი, რომელიც „ქართველთა სულის სუნთქვას აცნაურებდა"...

აკაკი გრძნობს, შესაძლოა ეს მისი უკანასკნელი სტუმრობაა ამ პატარა, საყვარელ ქალაქში, სადაც ამდენი მეგობარი, თაყვანისმცემელი და თბილი გული მიელის.

მრავალჭირნახულ კახეთს უკვე ზედმიწევნით კარგად იცნობს, თავისი აღტაცება და სიყვარული ჯერ კიდევ 30-ოდე წლის წინ გამოუცხადა, როდესაც პირველად ეწვია 1882 წელს. ახლაც სურს მოეფეროს დინჯ, „მეტად აუჩქარებელ" კახელებს, ამ წარმტაც ადგილებს, თელავსა და მის მახლობელ სოფლებს, ახმეტას, ბახტრიონის ციხეს, ალაზნის გაშლილ ველზე თეთრი მტრედივით დაფრენილ ალავერდის ტაძარს...

აი, შუამთა! ივლისის სულისშემხუთავი სიცხე აქ სულ არ იგრძნობა. პირიქით, საამოდ გრილა და ირგვლივ ისეთი თვალშეუდგამი სილამაზეა!..

შუამთამ თავისი საყვარელი მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ გაახსენა, „ბაში-აჩუკმა“ — მამულისათვის თავდადებული, კახეთის მხსნელი გმირები „ელიზბარ, შალვა, ბიძინა მტარვლისგან დატანჯულები!.. ტარიგათ შესაწირავად მახვილით განგმირულები, ღმერთს ავედრებენ მამულსა მათი უკანასკნელი სიტყვები!..“ (გრ. ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“).

როგორ ნატრობდა, რომ მათსავით მამულს „შესწირვოდა მსხვერ-პლად“ — „და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ, რომ ვერ გავმხდარ-ვარ მამულიშვილად“. მაგრამ ახალ მტერს ხელთ იარაღი აღარ ეპყრა. სხვა გზა და ხერხი მოეძებნა მისი სატრფო — მამულის დასამორჩილებელ-დასაპყრობად, რაშიც, სამწუხაროდ, მოღალატე ქართველებიც ახმარებდნენ ხელს. „გაძლიერდნენ თათრები და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა... და ქართველთაცა ისწავლეს სმა და ჭამა ყიზილბაშური“... ეს უწამლავდა სულს. მოელი არსებით სძულდა მერყევნი და ორგულნი, როგორც შეეძლო, ისე ებრძოდა მათ კალმითა და სიტყვით. გაახსენდა ჯანდიერი — მოღალატე თავადი, ბოლოს მაინც რომ არ გასწირა სულგაყიდული ქართველი და ისევ მშობლიურ წიაღს დაუბრუნა ვითარცა უძღები შვილი. „ჯანდიერმა გვიღალატა და მისი ქართველებით ჩოლოყაშვილთან გადავიდაო“ — მოახსენეს ფეიქარ-ხანს.

აი, მაყაშვილი კი... ჩაეცინა და გაახსენდა: მდინარე თურდოზე გადადიოდნენ მაშინაც... წინა ღამით მოსული წვიმის გამო მდინარეზე წყალი ადიდებულიყო. ფონის მონახვა გაძნელდა. იქვე, მაყაშვილების წისქვილიდან კაცი გამოვიდა დასახმარებლად. აკაკი ძლიერ გაოცდა, როცა ფქვილით შეთრთვილულ თმაწვერიან მეწისქვილეში თავისი თანატოლი და სიყრმის მეგობარი ანდუყაფარ ჩხეიძე შეიცნო. გაკვირვებულმა პირჯვარი გამოისახა და ჰკითხა:

— „ღვთის გულისათვის, ყმაწვილო, შენ ანდუყაფარ ჩხეიძე არა ხარ?“

შეცბუნებულმა „ყმაწვილმა“ თავი მწუხარედ ჩაჰკიდა და უპასუხა:

— „ვაი, ამ დღის მომსწრეს... ანდუყაფარი ვარ, აკაკი, ანდუყაფარი...“

ამ მოულოდნელი შეხვედრით გაოგნებულ აკაკის ვერ გაეგო, გახარებოდა თუ სწყენოდა ამდენი ხნის უნახავ თანატოლთან შეხვედრა, მისი ამგვარად დაკნინება. მაყაშვილების მეწისქვილე გამხდარიყო ჩხეიძე და ეს როგორ მოეწონებოდა? გადაეხვია, მხარზე ხელი

დაჰკრა, ცნობისმოყვარეობით კი არა, თანაგრძნობით ჰკითხა აქ რა ქარს გადმოეგდო. კახეთს გადმოხვეწილმა იმერელმა აზნაურიშვილმაც უამბო იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ, რომელიც უნებლიეთ თავს დაატყდა. ნადირობისას ბიძაშვილი დაეჭრა, სასიკვდილოდ განწირული რომ ენახა, მშობლიური ადგილები სამუდამოდ დაეტოვებინა, კახეთს შემოხიზნოდა და მისი ასავალ-დასავალი ახლაც არავინ იცოდა.

ანდუყაფარმა ღრმად ამოიოხრა, აკაკის ნათელი შუბლი შეეჭმუხნა... თითქოს სათქმელი აღარაფერი ჰქონოდათ, გაჩუმებულიყვნენ. ამ დროს თვითონ თავადი გამოჩნდა და თავის მეწისქვილეს აგდებით შეუძახა — საქმეს მიხედეო. აკაკის ეწყინა. მეტიც, მეგობრის მაგივრადაც ეტკინა გული...

— „დამაცადე, მაყაშვილო, ამგვარი ქცევისათვის თუ თავი არ მოგჭრა, — უთქვამს და კიდეც აუსრულა დანაპირები: მედროვეობით სპარსეთის კარზე აღზევებულმა, თათრებთან ერთგული სამსახურისთვის შაჰის ხალათით დაჯილდოებულმა მაყაშვილმა „ბაში-აჩუკს“ მირთმეული თასი ჩამოართვა და ამ დროს ჰაერში რაღაცამ გაიელვა. მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტრიალობდა“. — ეს მომენტი გაახსენდა „ბაში-აჩუკიდან“ და ჩაიქირქილა — „ესეც შენ, ესეც შენ, მაყაშვილო“...

„საერთო ომნიბუსი“ თელავში შედის და ფიქრის ძაფიც წყდება. შვებით ამოისუნთქა, რადგან ოთხადგილიან ომნიბუსში ექვსი კაცი ჩაესხათ და ამას ძლიერ შეეწუხებინა მოხუცი.

აკაკიმ სასტუმროსაკენ აიღო გეზი.

1911 წლის 8 ივლისია...

უეცრად ქალაქში ხმა გავარდა: „აკაკი ჩამოსულა და ეტლით სასტუმროში წავიდაო“ — წერს თელავის მემატიანე ივანე პაატაშვილი. პოეტის დასახვედრად საგულდაგულო სამზადისში გართული მასპინძლები შეცბნენ, შეწუხდნენ. წამსვე სასტუმროს მიაშურეს. თავს იმით იიმედებდნენ, რომ დიდხანს აღარ გაუშვებდნენ აკაკის და საკადრისადაც უმასპინძლებდნენ.

მართლაც, აკაკი კახეთში ერთ თვემდე დარჩა. მისი მომსახურება მინდობილი ჰქონდა იქაური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. კახეთში ყოფნისას მას გვერდიდან არ მოშორებიან: ნიკ. მამინაშვილი, ივ. პაატაშვილი, ვ. კახიძე და სხვები. ცამეტი წელი გასულიყო აკაკის თელავში ყოფნიდან. როგორ არ იგრძნობდა უკვე მხცოვანი მგოსანი, თუ რა სიყვარულით ჩაიკრა გულში კახეთმა მუდამ სასურველი

სტუმარი, რა გულითადი სიყვარულით შეეგებნენ მას კახელები, როგორ ევლებოდნენ თავს...

აკაკისათვის ამგვარი შეხვედრა-დახვედრები უცხო აღარ იყო, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე იმგვარ პატივისცემასა და სიყვარულს გრძნობდა მუდამ „დინჯი, დარბაისელი“ კახელებისაგან, რომ თავს უზომოდ ბედნიერად მიიჩნევდა მშობელი ხალხის ალერსითა და მზრუნველობით გარემოცული.

ამ სიყვარულის დასტურად ჩაითვლება ის მაღალი დონის კალიგრაფიით შესრულებული პოეტის ლექსთა ხელნაწერი წიგნები, რომლებსაც დიდი მონდომებით ქმნიდნენ თელაველები. მიუხედავად იმისა, რომ აკაკის სიცოცხლეში თითქმის მისი ყველა ნაწარმოები გამოქვეყნდა, არ ეკლდა კრებულები თუ ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები, თელავში რამდენიმე მწიგნობრულ ოჯახში მისი ლექსების ხელნაწერი წიგნები მაინც იქმნებოდა. ჩვენ ხელთაა მიხეილ პეტრეს ძე ელიზბარაშვილის მიერ გადაწერილი ერთი ასეთი წიგნი.

1911 წლის 20 ივლისს, თელავში, აკაკის იქ ყოფნის გამო, საგანგებოდ აღინიშნა „ილიაობა“. ცხადია, მისმა დასწრებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ დღეს. აკაკიც სხვა განცდებით იყო აღსავსე.

საგულდაგულოდ გაფორმებული სცენის სიღრმეში ყვავილებში ჩაფლული ილიას სურათი მოჩანდა. ისმოდა შოპენის სამგლოვიარო მუსიკა. როდესაც მხცოვანი აკაკი დარბაზში შემოვიდა (ოდნავ დაჰგვიანებია), დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომითა და ტაშით მიესალმა, უდიდესი სიყვარული და პატივისცემა შეაგება, ხოლო საღამოს დიასახლისმა კნეინა ქ. ი. ყორჩიბაშ-რუსიშვილისამ დაფნის გვირგვინი მიართვა.

მოხუცი პოეტი მღელვარებისაგან ცრემლებს ძლივს იკავებდა თურმე. არც თვითონ დარჩენილა ვალში, როდესაც ლექსების წაკითხვა სთხოვეს, დათანხმდა — „ერთი ლექსიღა მახსოვს მხოლოდო“. ავიდა სცენაზე შეუდარებლად მშვენიერი, ღვთაებრივი...

„ვერცხლისფერი თმები, როგორც შარავანდედი ისე აქვს... დიდხანს დუმს. დუმს მთელი დარბაზი, აკაკი იწყებს: „მთაწმინდა ჩაფიქრებულა...“ ურუანტელმა დამიარა... ხალხი სმენად არის გადაქცეული... „დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო“ — ისეთი სიძლიერით სთქვა, რომ დარბაზში რაღაც კვნესასავით გაისმა.

ყველა გაფითრებული შეჰყურებს აკაკის... დაამთავრა... აკაკი

დგას, თავი ზევით აუპყრია. უეცრად, აღტაცების ტაშისკვრა დაარღვევს სიჩუმეს... ილიას საღამო აკაკის საღამოდ იქცევა... აკაკი თრთოლავს, აღტაცებულია. მორიდებით ავიდნენ სცენაზე და მოხუცი პოეტი ჩამოიყვანეს" — იგონებს ერთ-ერთი მასპინძელთაგანი ნიკიფორე მამინაიშვილის მეუღლე პოლინა თავის „ძველ დღიურში"[1].

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს პოეტის თანამედროვე მწერლის ილია ზურაბიშვილის მიერ აკაკის მომნუსხველი გარეგნობის დახასიათება, რომელიც თავისთავად ისე აჯადოებდა მნახველს, რომ ლექსის კითხვაზე არანაკლებ გავლენას ახდენდა. „საზოგადოებაში, სადაც აკაკი იყო, თუნდ გვერდით მზეთუნახავი ქალი ჰყოლოდა, მათი ერთად მნახველი ჯერ აკაკის მიაქცევდა ყურადღებას, იფიქრებდა — ეს ადამიანია თუ ოლიმპოდან ჩამოსული ღმერთკაცი... ოლიმპიური სიდინჯე და მონუმენტურობა ახასიათებდა: წყნარი მიხვრა-მოხვრა, შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქოს რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიჩუმის დროს. რაც უფრო ხანში შედიოდა, მისი გარეგნობა მეტი სილამაზით იმოსებოდა... რაც ცალი თვალის ქუთუთოების მოძრაობა დაუმძიმდა და ცალ ფეხსაც ოდნავ გაქლასუნებით სდგამდა, მის გარეგნობას თითქოს ახალი რამ გამომეტყველება შეეძინაო მეტად ლამაზი მხცოვანებისა. გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხედვას ლამობსო". ეს ზექვეყნიური ჭვრეტა დიდი ოსტატობით აქვს იაკობ ნიკოლაძეს გადმოცემული აკაკის ბიუსტში, ოპერის ბაღს რომ ამშვენებს.

„აკაკი ამქვეყნიურს არ ჰგავდა... ჰქონდა რაღაც სხვანაირი სიმაღლე, თითქოს საგანთა მაღლა იყურებოდა" — აღნიშნავს გრ. რობაქიძე.

რაც შეეხება ხმას, ი. ზურაბიშვილი იგონებს — როგორც თითქმის ყოველი პოეტი, აკაკიც სუსტი დეკლამატორი იყო. ამისათვის მას ხმა არ გააჩნდა, არც მგზნებარე ტემპერამენტი... აკაკის ხმას სიღრმე აკლდა, არც მოდულაციებით იყო მდიდარი, პირიქით, მის ბუმბერაზულ გარეგნობასთან შედარებით, საკმაოდ სუსტი იყო... მაგრამ მისი სიტყვა თავისთავად მიმდინარეობდა... გამოთქმა ჰქონდა მკაფიო.

„ვინ დაგიდევდა იმას, თუ როგორ კითხულობდა?! მარტო მისი დიდებული ფიგურა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა — ისევე, ვით ილიასი — იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრეთა შორის, რომ დეკლამაციის შეფასება ვის ახსოვდა?

---

1. ჰ. მამინაიშვილი, „ჩემი ძველი დღიურიდან". ლიტერატურის მატიანე, 1942 წ. №3-4, გვ. 173.

ლექსს კითხულობდა ოდნავი წამღერებით... ტაშს ყოველთვის ღიდხანს ვუკრავდით, რადგან გვსურდა დიდხანს გვეყურებინა მისი მშვენიერებისათვის... ეგებ, სხვას უკეთ წაეკითხა მისი სადეკლამაციო თვისებებით მდიდარი ლექსები, მაგრამ ვერავინ აჯობებდა, რადგან კითხვისას მსმენელებზე მოქმედებდა არა წამკითხველის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთამძვრა" — აღნიშნავს ი. ზურაბიშვილი.

ილიაობის მეორე დღეს, 21 ივლისს, თელაველებმა აკაკის გაუმართეს ხალხმრავალი ნადიმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტ რაფ. ერისთავის სიძე ვასილ კახიძე. როდესაც აკაკიმ ამ დიდი სამზადისის ამბავი შეიტყო, შეწუხდა — „უთქვამს, სჯობდა სადილზე დასახარჯი თანხით საეთნოგრაფიო საზოგადოების განყოფილება შეგვექმნა თელავში. ამის თქმა იყო და დატრიალდნენ თელაველები რამოდენიმე საათში 30-ზე მეტი წევრი შევკრიბეთ, გავაფორმეთ საზოგადოების განყოფილების ჩამოყალიბება. შევაგროვეთ საწევროები და მხცოვანი მგოსნის წინაშე წარვსდექით ოქმით, წევრთა სიითა და ფულის გადაგზავნის ქვითრით" — წერს ივ. პაატაშვილი თავის მოგონებებში. ამის გამო აკაკი უფრო შეწუხებულა, უთქვამს: „ეს რა გამოვიდა, ორმაგ ხარჯში ჩაგაგდეთ."

საღამოს შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი ნადიმი, თელაველებს დიდებული სუფრა გაეშალათ ცნობილი ჭადრის ქვეშ, სადაც 30 წლის წინაც უმასპინძლეს პოეტს და სადაც მან დაუვიწყარი სიტყვა წარმოთქვა.

დღის 3 საათზე საგანგებო დეპუტაციამ აკაკი მიიყვანა ნადიმზე, რომელსაც ასზე მეტი კაცი ესწრებოდა. პირველი სიტყვა სტუმარს არგუნეს და, აი, თელაველები კვლავ ისმენენ საყვარელი მგოსნის ტკბილ ხმას, შესცქერიან მის მშვენიერ სახეს, რომელიც სიბერეს კი არ დაემახინჯებინა, კიდეც დაემშვენებინა თითქოს.

აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ისევე გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, როგორც 1882 წელს ამავე ჭადრის ქვეშ წარმოთქმული ცნობილი სიტყვა. ავტოგრაფი ამ სიტყვისა დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომლის სათაურზეც ფრჩხილებში სხვა ხელით მიწერილია: „ნადიმზე" და ბოლოს თარიღი — „21 ივლისი, 1911 წელი, ქ. თელავი, ჭადარი". მინაწერი ეკუთვნის ვანო პაატაშვილს, რომლისთვისაც აკაკის გადაუცია ავტოგრაფი თავისი სიტყვისა. ტექსტი სიტყვისა პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი თაობა".

სიტყვა თქმული თელავში საღილზე 1911 წლის 21 ივლისს

„ბატონებო!

მე რომ დარწმუნებული არ ვიყო ადამიანის არარაობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩემსაზე, ჩემი თავი თქვენ ხელში რაღაც მეგონებოდა!.. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ვცნობ ჩემ თავს და თქვენი გრძნობის უხვებაც გათვალისწინებული მაქვს და აღარ ესტყუვდები... განსვენებულმა გრიგოლ ორბელიანმა ქართველებს რომ ახასიათებდა, თქვა: „ერი გულადი, პურადი, მტერთა მიმცემი რისხვისაო!“

ეს უკანასკნელი სიტყვები გადავდოთ! დღეს დრო და ჟამი ხელს არ გვიწყობს, რომ გავამართლოთ!.. მაგრამ „გულადობა“ და „პურადობა“ კიდევ გვაქვს შერჩენილი. „გულადობას“ ვამტკიცებთ მითი, რომ დღეს ამისთანა უკულმართ დროში ჯერ კიდევ გული არ გაგვიტეხია და სასიცოცხლოდ ვფართხალობთ!.. და „პურადობას“ კი დღევანდელი ნადიმი გვიმტკიცებს. მაშ თუ ასეა, რატომ ველარ ვახერხებთ, რომ დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გავსცეთ? ამის მიზეზი სულ სხვა არის: ქართველი ჭირშიაც და ლხინშიაც ისტორიულად პირდაპირობას არის ნაჩვევი, ტყვილა კი არ ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე: „ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო!“ დიახ, პირდაპირობას არის ნაჩვევი და ვეღარ ახერხებს დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გასცეს!.. — ვეღარ ახერხებს. მაგრამ თანაგრძნობით კი მოელის მოპასუხეს. ამას წუხანდელი „ილიას საღამო“ და დღევანდელი ნადიმი ამტკიცებს. თქვენ გადაჭარბებულ სურვილს წარმოუდგენივართ ჩვენ გმირებად — მე ჩემ თავზე მოგახსენებთ — მაშინ როდესაც ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირების, რომლებსაც თქვენ მოელით და თქვენ გეკადრებათ. დიახ, ჩვენა ვართ მხოლოდ წინამორბედი... ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!.. შემიძლია გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგევლინებათ! ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზრდა ქალებში, ისე ახალგაზრდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს!.. ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წამოშობა: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები... მსოფლიო გმირები... კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ და მოელით. — სვიმონ მოხუცებულმა რომ ქვეყნის მხსნელი მიირქვა, წარმოსთქვა: „აწ განუტევე მონა შენიო“ და განისვენა. მე ვერ მოვესწრები იმ მომავალ გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ

სძინავს“ — მეთქი. და ახლა კი, ამ უზომო თანაგრძნობისათვის გულითად მადლობას გწირავთ, ბატონებო, იმ გმირის სახელით, რომელსაც თქვენ მოელით“.

მართალია, კახეთში აკაკის ოთხჯერ მოგზაურობიდან კინოფირზე არც ერთი არ აღბეჭდილა, მაგრამ შემონახულია რამდენიმე ფოტოსურათი. ერთ მათგანს ჰ. მამინაიშვილი თავის დღიურში მოიხსენიებს. ეს არის 1911 წლის 21 ივლისს თელავის ცნობილი ჭადრის ქვეშ გადაღებული ფოტოსურათი, რომელზედაც ცნობილი თელაველი ქალბატონის ქეთევან იაშვილის აღწერით აღბეჭდილნი არიან: აკაკის მარჯვნივ ალ. ჭავჭავაძის ვაჟის დავითის შვილიშვილი, მისი წინანდლელი მასპინძელი მაქსი ჭავჭავაძე, აკაკის მარცხნივ — მაქსის მეუღლე ევგ. შაბლიკინა, მის გვერდით რაფიელ ერისთავის სიძე ვასილ კახიძე, ქეთევან იაშვილი, ი. მონადირიშვილის მეუღლე, დათიკო მარქაროვი, ოლია ლუკაშვილი-კიკვიძისა და გიორგი ხიზანიშვილი, რომელიც 1924 წელს უსამართლოდ დაუხვრეტიათ. აკაკის მარჯვნივ: მ. ჭავჭავაძის გასწვრივ სხედან: ქეთევან რუსიშვილი, ვახვახიშვილი (აბაშიძის ცოლი), ცნობილი მასწავლებელი ნიკო მთვარელიშვილი და ზაქარია ჩხიკვაძე. დგანან: ილიკო რუსიშვილი, გამომძიებელი კანდელაკი, მასწავლებელი თამარ ყაზახიშვილი. აკაკის წინ სხედან: ნიკიფორე მამინაიშვილის მეუღლე პოლინა და ექიმების — ბერეჟიანისა და კანდელაკის მეუღლეები, ნიკიფორე მამინაიშვილი (გვ. 69).

ის ბუმბერაზი მრავალსაუკუნოვანი ჭადარი დღესაც დგას თელავში ზღვის დონიდან 750 მეტრის სიმაღლეზე. მისი დიამეტრია 3, 6, გარშემოწერილობა 12 მეტრი, ვარჯის პროექცია — 36 კვ. მეტრი, სიმაღლე — 46 მეტრი.

როდესაც აკაკის ორატორულ ნიჭზე საუბრობს ნიკოლოზ კანდელაკი წიგნში „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ წერს: „ბუნებრივი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვის უნარი ხელს უწყობდა პოეტს ხშირად სრულიად მოუმზადებლად — სუფრასთან, მოულოდნელად შეხვედრისას ან ვინმეს საპასუხოდ წარმოეთქვა მჭევრი სიტყვა. ამის საუკეთესო მაგალითებია შესანიშნავი სამადლობელი სიტყვები, ნათქვამი სუფრასთან, თელავში 1882 და 1911 წლებში.

თელავში, 1882 ზაფხულში, სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვა მრავალმხრივაა საყურადღებო და მასთან გამოირჩევა თავისი გულწრფელი უშუალობით“[1].

ავტორი საგანგებოდ მიუთითებს აკაკის მიერ სიტყვის

1. ნიკ. კანდელაკი „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“, თბ., 1968, გვ. 385.

წარმოთქმისას ორატორის იმ აუცილებელ უნარზე, რომლის ძალითაც ის თავიდანვე, პირველი სიტყვიდანვე იმორჩილებს მსმენელს მოხდენილად გამოთქმული და გამოცდილების სიბრძნით დამშვენებული აზრებით და ბოლომდე საკუთარი გავლენის ქვეშ ამყოფებს მას. ძნელია მისი სიტყვებიდან რომელიმე ადგილის გამოყოფა, აზრთა ისეთ ჰარმონიულ ერთობას წარმოადგენს — აღნიშნავს აკტორი.

1911 წელს თელავში აკაკის ყოფნის შესახებ საინტერესო მასალას ვეცნობით პოლინა მამინაიშვილის მოგონებებში („ჩემი ძველი დღიურიდან").

„აკაკის თელავში ჩამოსვლისას (8 ივლისს), ოჯახში გადავწყვიტეთ დიდი სადილი გაგვემართა და მოგვეწვია აკაკი... ჩვენს დიდ სასადილოში გაშლილია სუფრა 40 კაცისთვის. დღის 3 საათია. აი, ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრებიდან დავინახე, მობრძანდება აკაკი. მას თან მოჰყვებიან ჩემი მეუღლე ნიკიფორე მიმინაიშვილი და ვასილ კახიძე (რაფიელ ერისთავის სიძე)... გული ლამის ამოვარდეს ბუდიდან... ბავშვობიდან აკაკი და ილია ჩემთვის რაღაც არახორციელნი იყვნენ...

რა ბრგე კაცი ყოფილა! მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა. მე კინაღამ მუხლებში ჩავიკეცე აღტაცებისგან..."

დიასახლისის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც აკაკიმ მათთან დარჩენის სურვილი გამოთქვა. სასტუმრო არ მოსწონს, — აღნიშნავს დღიურში პოლინა და განაგრძობს: „მე ბედნიერად ვგრძნობ თავს... რა მშვენიერია აკაკი!.. მინდა დაუსრულებლივ ვუცქირო. სასადილო ოთახის შუშაბანდს რომ მოადგება, ასე მგონია, მნათობი გამოჩნდაო... ჟილეტით იცის შემოსვლა. ბოდიშს იხდის, პიჯაკს ნუ ჩამაცმევთო... გვიამბობს სასაცილო ამბებს".

მამინაიშვილებს აკაკისთვის მეჯლისიც გაუმართავთ.

თელაველი მასპინძლები თავს დასტრიალებდნენ ძვირფას სტუმარს, სულ მის სიამოვნებას ცდილობდნენ, უსიტყვოდ ხვდებოდნენ რა სურდა. აკაკიც ძლიერ კმაყოფილი იყო. შესანიშნავად გრძნობდა თავს გულღია, კეთილ ადამიანთა შორის...

— „ერთხელ, კლუბიდან მოვდიოდით, — იგონებს პ. მამინაიშვილი. წამოსვლისას ვესტიბიულში ერთმა ვაჭარმა პალტო მოართვა და ჩაცმაში მიეხმარა. აკაკი მიუბრუნდა, ეშმაკურად გადახედა და უთხრა: საკვირველია, ვაჭრისაგან მორთმევა! ჩვენ წართმევას უფრო ვართ შეჩვეული. ამაზე იქ მყოფთ ბევრი უცინიათ".

მამინაიშვილებთან თითქმის სულ სტუმრობაა, ხალხმრავლობა. აკაკის მარტო ყოფნა არ ყვარებია. „დღეს სტუმრად მყავდა შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი და სხვები. ნედლი სიმინდი ახალი

შემოსულია. გადავწყვიტე დესერტად სიმინდი. გვიან მომაგონდა, რომ აკაკის სწყენს. მისთვის ცალკე კისელი გავაკეთე. აკაკიმ მიირთვა კისელი და გავიდა, ეშინოდა, სიმინდის სიყვარულმა არ შემაცდინოსო. ერთ წუთსაც არ გაუელია, ისევ შემოიხედა: „არ გაათავეთ?“ ჩვენ სიცილით ვუპასუხეთ, რომ ცოტა კიდევ მოუხდება მოთმენა“.

გონიერი და სტუმართმოყვარე დიასახლისი კარგად გრძნობს, თუ ვინ არის მისი სტუმარი. აღიარებს კიდეც — „ბედნიერი ვარ, აკაკის რომ ვემსახურები“ და თავის „ძველ დღიურში“ დეტალურად აღწერს ყოველივეს, რაც აკაკის უკავშირდება.

„20 ივლისი. ჩვენი სასწავლებლის ეზოში აკაკი მოხუც გლეხს ესაუბრა. გამოჰკითხა ძველი დროის ამბები“...

მასპინძლებს ორი პატარა ბავშვი ჰყოლიათ — დათუნა და კაკუჩა. აკაკის ძლიერ ჰყვარებია ბავშვები და მასპინძლის პატარებთან სიამოვნებით ატარებდა თავისუფალ დროს. ისინიც დიდ განცხრომაში იყვნენ და გვერდიდან არ შორდებოდნენ თურმე.

მნიშვნელოვანია, თუ ვინ როგორ ექცევა ბავშვს: „ზოგი თავს „იბავშვებს“, როცა ბავშვს ელაპარაკება. ზოგი „უფროსად“ რჩება, როცა ბავშვთანაა, მაგრამ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშვია“. უფრო იშვიათია მესამე ტიპი: იგი „უფროსობს“ ბავშვთან, მაგრამ არ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშვია“. აქ უფროსი თითქო „იტოლებს“ ბავშვს... უნდა გენახათ აკაკი, თუ, როგორ „იტოლებს“ ბავშვს. უნდა გენახათ ბავშვის აღფრთოვანებაც“ — იხსენებს გრ. რობაქიძე.

როდესაც აკაკი ისვენებდა, პირაღმა წვებოდა, ერთ ფეხს მოღუნავდა და მეორეს ზედ შემოსდებდა. ამ დროს პატარა ბიჭი დათუნა ფეხქვეშ შეუძვრებოდა და „ჭიტას“ ეძახდა. ბავშვებს ძალიან მოსწონდათ მისი მოყოლილი ზღაპრები, განსაკუთრებით ერთი და აკაკიც თავისი ტკბილი ქართულით დაუზარებლად, უკვე მერამდენედ ყვებოდა: „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...“

რაც შეეხება გოგოს — კაკუჩას, აკაკის მასზე უთქვამს „ამაზე კეკლუცი ქალი არ შემხვედრია ცხოვრებაში“ — თავს იწონებს დედა. პოეტს გოგონასათვის თავისი სურათი უჩუქებია და დაჰპირებია — დიდ ლექსს დაგიწერო.

აკაკი წასვლის წინ დიდი სიყვარულით გამომშვიდობებია პატარებს და დაპირებული ლექსის მიძღვნაც არ დავიწყებია. როგორც პოლინა მამინაიშვილი აღნიშნავს „წასვლის წინ აკაკიმ აასრულა თავის დაპირება და ჩემსა და კახიძეების ბავშვებს — რაფიელ ერისთავის შვილიშვილებს — უძღვნა მშვენიერი ლექსი“.

თელაველი მასპინძლების შვილებისადმი მიძღვნილ ლექსს ჰქვია

„წერილი პატარა მეგობრებს“. ლექსი თელავში დაიწერა.

ნიკიფორე და პოლინა მამინაიშვილების გარდა აკაკი ვასილ კახიძესთანაც სტუმრობდა და ლექსი „წერილი პატარა მეგობრებს“ ამ ორი ოჯახის ახალთაობას — მამინაიშვილების დათუნას, კაკუჩას და კახიძეების — მაიას და ელენეს მიუძღვნა. ხსენებული ლექსი ამავე წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“ (№44).

ლექსში უკვე მოხუცი პოეტი იმედს გამოთქვამს, რომ მალე გაძარცვული საქართველო აყვავდება და სთხოვს პატარა მეგობრებს, საფლავში ჩასძახონ, ახარონ ახალი დროის დადგომა. ამასთან მოუწოდებს სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს: „ნუ გადასცვლით უცხოზე ქართულ დედაენასა, თორემ ნაცვალ ზედმეტად მომკით ცრემლთა დენასა“ — აფრთხილებს პოეტი პატარებს და ანდერძად უტოვებს, რომ ენას გაფრთხილება უნდა, რადგან სწამს, რომ „ვინც დაკარგავს, გახდება, წერა სხვისი მონების“.

თვით აკაკი იყო დიდი პატივისმცემელი მშობლიური ქართულისა, რაც იმაშიც გამოიხატებოდა, რომ, თუმცა სხვა ენებსაც ფლობდა, ოფიციალურ შეხვედრებზე ქართულად მეტყველებდა. თავისი დამოკიდებულება კარგად ახსნა მსახიობ ერნესტო როსსისადმი მიმართვაში, როცა სიამაყით აღნიშნა — „ჩემი მშობლიური ენა ყველაზე მეტად მიყვარს და მეხმატკბილებაო“.

თელავში 1911 წელს შექმნილი ლექსი:

„წერილი პატარა მეგობრებს“

„დათუნია, კაკუჩა,
მაია და ელენე!
მე თქვენი სახე ხატად
ჩემს გულში ჩავისვენე.
მე რომ თქვენს მშობლებს ვიცნობ,
ვით ქართველსა ქართველი,
იმიტომაც მე თქვენგან
ბევრ კეთილს გამოველი.
ღმერთმა ნუ დაგამსგავსოთ
დღევანდელ ჩვენს თაობას,
ეროვნულ სამოსელში
რომ ახვევენ „ავობას“.
და ქვეშ-ქვეშა მტრებისგან

იმოდენად ძლეულან,
რომ უსულ-გულოდ მხოლოდ
ენად გადაქცეულან.
თქვენ სულ სხვა დრო მოგელით
სხვაგვარი გზა და კვალი
და თუ სწორა გაივლით,
იხარებს მომავალი!
საჭიროა ამისთვის,
მხოლოდ კეთილი გული,
საჰაეროვნო ჰანგებით
გავსილი... გამსჭვალული.
სტყუის დედინაცვალი!..
დედის ძუძუ ტკბილია!
ვისაც დედა არ უყვარს,
აბა, ის რა შვილია?
სამშობლო ხომ დედაა
ჩვენი ტკბილი აღმზრდელი,
და რად უნდა ავიღოთ
მაშ, ჩვენ იმაზე ხელი?
მისი ჭირიც და ლხინით
უნდა გავიზიაროთ
და, როგორც ერთადერთი
ღვთაებად აღვიაროთ!
იმას უნდა შევსწიროთ
ჩვენი გრძნობა... გონება,
რომ თავიდან აგვცილდეს
პირუტყვული მონება.
მაშ, გიყვარდეთ სამშობლო!
სხვისიც ნუ შეგძულდებათ!
იყავით მოთმინებით,
ნატვრა აგისრულდებათ.
წინაპრებსაც სამშობლო
ჰყვარებიათ გმირულად
და სისხლი უქცევიათ
მისთვის კოკისპირულად.
ჭირში გულგატეხილად
შეწირულან ზვარაკად
და „საქმენი საგმირო“

დაუგდიათ არაკად.
აი, იმათ მიჰბაძეთ,
ქვეყნის ერთგულებაში,
და სიამეს იპოვით
ქართლის განახლებაში.
ნუ გადასცვლით უცხოზე
ქართულ დედაენასა,
თორემ ნაცვალ ზედმეტად
მომკით ცრემლთა დენასა.
ენაში არის ძალაც
საიდუმლო გონების!
ვინც დაკარგავს, გახდება
წერა სხვისი მონების.
და ვინც შეინარჩუნებს,
არ უმტყუნებს თავის ერს,
ყოველი მხრით მოისმენს
ხმატკბილ „მრავალჟამიერს“.
ვიცი: ვერ მოვესწრები
ამ ერთადერთ ნატვრასა,
მაგრამ მაინც საფლავში
არ ჩავიტან ოხვრასა.
რადგანაც ვიცი, ნატვრა
ოდესმე ასრულდება
და რუსთველის მშობელ ერს
ენა არ შესძულდება.
თავგასულ ძალადობას
უნდა მოეღოს ბოლო
და ხელახლა აყვავდეს
გაცვრცვნილი საქართველო.
მაშინ, ახალგაზრდებო,
ნახეთ ჩემი საფლავი!
(მეც იქ თქვენთან გავჩნდები,
თანმგრძნობი უხილავი).
სიცილით ჩამომძახეთ:
„აგისრულდა ახლა კი,
რასაც რომ მოელოდი,
მეგობარო აკაკი!“

„დიასახლისს გაუგია, რომ აკაკის „суп с ушками“ უყვარსო და ყოველ დღე უმზადებდა. დილაობით საუზმის წინ უსათუოდ ცივი წყალი უნდა დალიოს და მე მუდამ გამზადებული მაქვს“ — წერს იგი და მრავალგან აღნიშნავს, „რა ბედნიერია „ერის რჩეულს“, საყვარელ პოეტს რომ ემსახურება“.

აკაკისაც მეტად სიამოვნებდა ოჯახური გარემო, რომელსაც თვითონ მუდამ მოკლებული იყო. ცოლ-შვილი რუსეთში ყოფნას არჩევდა, თვითონ კი საქართველო — თავისი ქვეყანა, საკუთარ თვალისჩინს ერჩია. გრ. რობაქიძე ამის შესახებ წერს: „სად ჰქონდა ოჯახი, კაცმა არ იცოდა: იყო ხან ტფილისში, ხან ქუთაისში. ხან ერთთან, ხან მეორესთან. იყო „სტუმარი“ მუდამ, სტუმარი საყვარელი. ცოლი რუსეთში ცხოვრობდა, ვაჟიც... მე ისიც არ ვიცოდი, შვილი თუ ჰყავდა აკაკის.

ერთხელ მისი ვაჟი ალექსი ტფილისს ეწვია: ვნახე, გაბიკვირდა... „უფრთხილო“ სიტყვა წამომცდა აკაკისთან — (რომ ვაჟში არ გადასულა ჯიში).

აკაკი შეირხა. არა უთქვამს რა. მხოლოდ შეირხა. ვხედავდი: იგრძნო ტკენა. კიდევ მეტი: იგრძნო „წყენაც“. სახტად დავრჩი: ამას რაღა გამოაკეთებდა?“[1].

აკაკის ვაჟი მაღალი კაცი ყოფილა. თან ახირებული ჩვეულება ჰქონია — სულ მაღლა იყურებოდა. ასეთი ჩვევა აკაკისაც ჰქონდა, ბუნებრივად თანდაყოლილი, ალბათ შთამომავლობით გამოჰყვა შვილსაც.

— „რაღა თავის აწევაში დამემსგავსა მაგ დალოცვილი და სხვა არაფერში? მე თუ მაღლა ვიყურები, გასამართლებელი საბუთი მაინცა მაქვს: ვარსკვლავებს ვეთამაშები, ცას შევხარი, მზეს და მთვარეს შევნატრი. მაგას კი, რომ აუღერია ეს თავი, ნეტავი რას უყურებს, ანდა უყურებს კი რამეს?“ — თავისებურად გაუკილია შვილი აკაკის, რომელსაც უზომოდ სწყინდა, რომ მისმა ვაჟმა, დედით რუსმა, ქართული არ იცოდა, ვერ ლაპარაკობდა და არც ესმოდა.

აკაკი ძალიან ჯანმრთელი ადამიანი ყოფილა. „ვერც მუდამ ბოჰემურმა ცხოვრებამ, ვერც ერთთავად სასტუმროების უგემურ ვითარებაში ყოფნამ, ვერც დაუდევრობამ თავის თავზე ზრუნვისამ, ვერც რამდენჯერმე სერიოზულმა დაავადებამ ვერ გატეხა მისი ღონიერი ბუნება“ — აღნიშნავს ილია ზურაბიშვილი.

იქნებ უოჯახობას ისიც ატანინებდა, რომ ყოველი მასპინძელი მას სასურველ გარემოს უქმნიდა.

---

1. გრ. რობაქიძე, აკაკის ჭნარი, თბ., 1991, გვ. 52.

პ. მამინაიშვილი ხშირად აღნიშნავს, რომ აკაკის თელავში ყოფნის გამო „ჩვენ ბედნიერად ვგრძნობთ თავს. კახეთმა გაიცნო აკაკი, შეითვისა თავისი დიდი მომღერალი...“ აქვე მოჰყავს ნაწყვეტი ნიკიფორე მამინაიშვილის ჭადრის ქვეშ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვიდან. „რამდენჯერ აშრიალებულა, ჭადარო, შენი ფოთლები წარსულში მტრის შემოსევების დროს? დღეს კი დიდი სიხარულისაგან შრიალებენ დიდი მგოსნის დანახვაზე...“

აკაკისათვის თელაველებს ქნარი მიურთმევიათ. ეს ყოფილა გამომცხვარი ქნარის ფორმის ნამცხვარი, რომელიც თელაველ ქალბატონს, ლუკაშვილ-კიკვიძისას გამოუცხვია. ნადიმის შემდეგ სურათი გადაუღიათ. ეს არის ცნობილი სურათი ჭადრის ქვეშ.

„აკაკის ფეხთ მე და ნადია ბერეჟიანი ვზივართ ქნარით ხელში... ამ დღეს ქალები გვასახელა ელო ანდრონიკაშვილმა — შესანიშნავი სიტყვით შეამკო აკაკი. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი აღარ აქვს... ხვალ გადაწყვეტილია აკაკის გამგზავრება ახლო სოფლებში. დიდ სამზადისში არიან თურმე ყველგან, ხალხი სიხარულით ელის საყვარელი პოეტის ნახვას“ — წერს აკაკის დიდი თაყვანისმცემელი და სათნო მასპინძელი პ. მამინაიშვილი.

26 ივლისს თელავში აკაკის შემოქმედებითი საღამო უნდა გამართულიყო, რომელზედაც ადგილობრივ სცენისმოყვარეებს მისი პიესა „თამარ ცბიერი“ უნდა წარმოედგინათ. აკაკის სურდა, თამარის როლი მისი მასპინძლის მეუღლეს — პოლინას შეესრულებინა. პ. მამინაიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ:

„ვიღაცას უამბნია, რომ მე კარგად ვითამაშე „თამარ ცბიერში“ ამ სამი წლის წინ, აკაკის იუბილეს დღეს (გაიმართა თელავში 1908 წ.). აკაკი აღარ მეშვება, გინდა თუ არა, ითამაშეო... ახლა ის აღარ ვარ, რაც სამი წლის წინათ ვიყავი, არც გარეგნულად, არც სულიერად. ორი შვილის დედა ვარ... აკაკი წამოწოლილია ტახტზე და ბუტბუტებს რაღაცას: ერთი რეპეტიცია ჩავატაროთ და, თუ კარგი არ გამოვა, ნუ ითამაშებო — სთხოვს პოლინას და მას კი არ შეუძლია აკაკის უარით აწყენინოს, თანხმდება, თუმცა ყოყმანობს — შალვა დადიანი განასახიერებს გოჩას და აშინებს გამოცდილ მსახიობთან თამაში. ამის გამო ძლიერ ღელავს: შალვა ხომ ნამდვილი არტისტია, მე როგორ გავბედავ მასთან თამაშს“?

ჩაუტარებიათ რეპეტიცია და აკაკის ისე მოსწონებია პოლინას თამაში, რომ გაუმხნევებია: „ნამდვილი სარა ბერნარი ყოფილხარ, წარმოდგენა უსათუოდ უნდა შედგესო“ — გადაწყვეტით უთქვამს.

26 ივლისს, წარმოადგენის დროს, მეორე მოქმედების შემდეგ, აკაკი აცრემლებული შესულა სცენის მოყვარულებთან კულისებში „სულ ხელები დამიკოცნა. შენ ის თამარი გვიჩვენე, რომელიც მე მაქვს წარმოდგენილი“ — თვითონაც კმაყოფილი დარჩენილა პოლინა, აკაკის რომ ასიამოვნა.

პოეტ იოსებ გრიშაშვილის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ „თამარ ცბიერი“ თელავში თვით აკაკი წერეთელს დაუდგამს და მსახიობებიც თვითონ შეურჩევია (ა. გერსამია, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი 1949, გვ. 67).

ამავე საღამოზე მოისმინეს არიები კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის ოპერიდან „პატარა კახი“, რომელიც აკაკის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით შეიქმნა.

ეს ოპერა სამწუხაროდ დაიკარგა, მაგრამ ის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მათ შორის, განსაკუთრებით, ლევან ქვაბულიძის არია „დაიგვიანეს“ — სრულ წარმოდგენას ქმნის, თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდა კომპოზიტორი პოემის ტექსტუალურ მასალას, ნაწარმოების განწყობილებას, მის ხასიათსა და კოლორიტს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ნ. სულხანიშვილის ოთხხმიანმა გუნდურმა სიმღერამ „ვაშა, ვაშა, აკაკის!“ რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნა კომპოზიტორმა, რომ პოეტის სცენაზე ასვლის დროს შეესრულებინათ. ამან მართლაც დიდებული განწყობილება შექმნა: მოხუცი მგოსანი მძიმედ მიემართება სცენისაკენ, დარბაზში სხვადასხვა ადგილას მდგომი მომღერლები კი აგუგუნებენ ნიკო სულხანიშვილის სიმღერას, რომლის შეძახილის ტექსტი ასეთია:

„გაუმარჯოს აკაკის!
გაუმარჯოს აქ დამსწრეთ!
გაუმარჯოს თქვენს შრომას!
გაუმარჯოს თქვენს საქმეს!
გაუმარჯოს აკაკის, ჰო!
გაუმარჯოს აქ დამსწრეთ, ჰო!
გაუმარჯოს თქვენს შრომას, ჰო!
გაუმარჯოს თქვენს საქმეს, ჰო!
ვაშა, ვაშა, ვაშა, ვაშა,
ვაშა აკაკის!“

სიმღერას იწყებდა ბანი, შემდეგ უერთდებოდა სხვა ხმებიც, შუა ნაწილში სიმღერა ექვსხმიანობას აღწევდა. აკაკის ძლიერ მოსწონებია მისდამი მიძღვნილი სიმღერა. სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული მისი

პიესა „პატარა კახის“ ოპერად შექმნა ხომ ოცნებად ჰქონია.

ერთხელ, როდესაც ნიკო სულხანიშვილი სწვევია თბილისში აკაკის, პოეტს მისთვის დიდი ხნის ოცნება გაუნდვია, ისე როგორ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან, შენი დაწერილი ოპერა „პატარა კახი“ არ ვიხილოო? აგრეთვე, უთხოვია, „დაიგვიანეს“ მიმღერეო.

შემორჩენილია თელავში აკაკის შემოქმედებით საღამოზე შესრულებული საგუნდო ნაწარმოების ნოტებიც, რომელიც ერთ გაფერმკრთალებულ ფურცელზეა ჩაწერილი ნიკო სულხანიშვილის ხელით. ეს სიმღერა, მამია ხატელიშვილის მიერ აღდგენილი, შესრულდა 1981 წლის 30 მარტს, ვაჟთა ვოკალური კვარტეტის მიერ, საქართველოს რადიოს მუსიკალურ ალმანახში „ჩანგი“. შემდეგში, როდესაც ნიკო სულხანიშვილმა დაიწყო აკაკის „პატარა კახზე“ მუშაობა, ოპერის წერისას, ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის წინ მდებარე არჯევანიძის სახლს, სადაც მწიგობარი იოსებ (სოსიკო) მერკვილაძე ცხოვრობდა. მერკვილაძეებს აკაკისთვის პატარა ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი ე. წ. „აკაკის ოთახი“, რომელშიც პოეტი 1897-98 წლებში ცხოვრობდა. ს. მერკვილაძის მეუღლე ნუშო, თელავში იყანე და ლიზა როსტომაშვილების ქალთა სკოლაში აღზრდილი — ხელსაქმის საგანგებო ოსტატი და ჩინებული ქართველი ქალი იყო. მათ ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ: ივ. მაჩაბელი, მიტრ. ლაღიძე, შ. მღვიმელი, ი. გოგებაშვილი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი და სხვები.

კომპოზიტორს მზად ჰქონდა ოპერის პირველი მოქმედება, აგრეთვე უკვე დაწერილი ჰქონდა რჩეული ადგილები სხვა მოქმედებებიდან. როცა აკაკიმ ეს შეიტყო, მოისურვა მოსმენა. კიკომ — ასე ეძახდნენ ახლობლები ნიკო სულხანიშვილს — დიდი შიშითა და კრძალვით მოახერხა, რომ გიტარაზე დაემღერებინა მთელი პირველი მოქმედება. მოსმენილმა აკაკი აღტაცებაში მოიყვანა — „ნამდვილი დახვეწილი ქართული ხალხური მოტივებია“ — უთქვამს. აკაკის კი ყველაფერი ხალხური თავდავიწყებამდე უყვარდა.

აკაკის გულთბილმა მიღებამ და შექებამ კიკო მეტად გაახალისა, გაამხნევა. იმდენად გაათამამა, რომ აკაკის სთხოვა: „პირველ მოქმედებაში იქ, სადაც მოხუცი გელა იძინებს, მის ქალიშვილს მინდა „ნანა“ ვამღერო, პიესაში სიტყვები არ არის და რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?“ პასუხად აკაკი ოთახში შესულა და სულ ცოტა ხანში საჭირო ტექსტი — ოთხსტროფიანი ლექსი „ნანინა“ დაუწერია და იქვე გადაუცია კომპოზიტორისათვის. რა ბედი ეწია ამ ოპერას, სამწუხაროდ, მტრობამ თუ მისი ავტორის უყურადღებობამ ჩვენ იგი არ შემოგვინახა.

აკაკი სტუმრად სოფელ ქისტაურში

თელავში გამართული დაუვიწყარი საღამოს შემდეგ აკაკიმ მოისურვა, რომ ახლომახლო სოფლებს სწვეოდა. ყველასათვის სასურველ სტუმარს თვითონაც სიამოვნებით იწვევდნენ კახელები და ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ, ყვავილწნულებით მორთულ-მოკაზმული ეტლით დაატარებდნენ, ყავავილებს უფენდნენ ფეხქვეშ ფიანდაზად.

„აკაკი ახლა მოგზაურობს კახეთში. ყველგან საზოგადოება დიდის აღტაცებით ღებულობს, უმართავენ მეჯლისებს და სადაც ესტუმრება, იმართება საერთო მხიარულება. პოეტს დიდად მოსწონს ჩვენი მხარე — წერდა „დროების" კორესპონდენტი და გულმოდგინედ აღწერდა ამ მოგზაურობის წვრილმან ამბებსაც კი.

— ამჯერად პოეტი კახეთში ერთ თვემდე დარჩა. მას მოუსურვებია ენახა სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის საფლავი, რომელიც იმხანად მშობლიურ სოფელში იყო. შემდეგ, 1938 წელს, პოეტის ნეშტი გადმოასვენეს თელავში, კახმეფეთა სასახლის ეზოში".

ცნობილია, აკაკის ტკბილი და მეგობრული დამოკიდებულება რაფიელ ერისთავთან. სწორედ აკაკის წამოუჭრია პირველად საკითხი ქართველი საზოგადოების წინაშე რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუბილეს გამართვის გამო. 25 ივლისს აკაკი ქისტაურში ნახულობს რაფიელ ერისთავის საფლავს და პარაკლისსაც ახდევინებს.

ჩვენს ხელთ არის თელაველი პედაგოგის ნინო ერისთავის მოგონებები „აკაკი სტუმრად ერისთავებთან".

„ილიაზე აღარაფერს ვამბობ, ილიას გამზრდელი მამიდა მაკრინე იყო რაფიელის ბიძის მეულლე და, ამდენად, გასაგებია მათი ურთიერთობა. სწორედ ამ ორი ბუმბერაზი მოღვაწის თაოსნობით გადაწყდა რაფიელის იუბილეს აღნიშვნა.

მეამაყება, რომ საქართველოში პირველი იუბილე, ასეთი მასშტაბისა, წილად ხვდა ჩემს დიდ წინაპარს. ეს იყო 1895 წლის 29 ოქტომბერს" — წერს ქ-ნი ნინო თავის მოგონებებში.

იუბილეზე სიტყვით გამოვიდა აკაკი. მისი სიტყვებიდან ბევრი რამაა საგულისხმო.

იუბილეს შემდეგ რაფიელ ერისთავი ცხოვრობდა თელავში, თავის სიძესთან ვასილ კახიძესთან.

1897 წლის სექტემბერში, როდესაც აკაკი კახეთს კვლავ ეწვია, თელავში მოუნახულებია უკვე ღრმად მოხუცი პოეტი.

აი, როგორ იგონებს აკაკი ამ შეხვედრას: „ — ერთხელ კიდევ მქონდა შემთხვევა, რომ თელავში მენახა თავადი რაფიელ ერისთავი. დიდად გაიხარა და ახალგაზრდული აღტაცებით იგონებდა ბევრ რამეს საზოგადო საქმის გამოისობით. ბოლოს ამოიხვნეშა და მწარის ღიმილით მითხრა:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭაღარა,
შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ,
ბატონს ვარგივარ აღარა“.

მე გავამხნევე, სცდები, არავის დავიწყებიხარ და კიდევაც ყველას უყვარხარ-მეთქი.

— „რაღადაო?“ — მკითხა ნაღვლიანად.

„ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა,
ველარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა“-ო.

და მართლაც, ის აღარ იყო, რაც მინახავს, ძალ-ღონე აღარ შესწევდა, მაგრამ გული კი მაინც ბოლომდე არ მოშლოდა. საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობდა და წამდაუწუმ ღმერთს ახსენებდა — არაფერია, გულს ნუ გაიტეხთ, ღმერთი მოწყალეა, ღვთისმშობლის ხვედრი ვართ და ძისი მადლი არ გაგვწირავს.

მე ყურს ვუგდებდი და მაგონდებოდნენ ძველი გმირები, სხეულის დაძაბუნების შემდეგ ყრუ უდაბნოებს რომ მიმართავდნენ ხოლმე და ლოცვაში ავედრებდნენ ღმერთს საქართველოს. მომაგონდნენ და მეც გავმხნევდი: „არა, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს-მეთქი. მაშინ თუ თორნიკე ერისთავები იყვნენ, დღეს რაფიელ ერისთავები გვყავს სანუგეშოდ-მეთქი“ (თელავის მუზეუმის მასალა).

რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა 1901 წლის 19 თებერვალს, სიძის — ვასილ კახიძის ოჯახში.

ამ ცნობის მიღებისთანავე ილიას დეპეშა გაუგზავნია პოეტის ჭირისუფლებისათვის, ნეშტი თბილისში უნდა წამოვასვენოთ და პანთეონში დავკრძალოთო. ამაზე კახიძეს დეპეშითვე უცნობებია, რომ განსვენებულის ანდერძის თანახმად, გადაწყვეტილია მისი დაკრძალვა ქისტაურში, ერისთავთა საგვარეულო საძვალეში.

აკაკი დაკრძალვას ვერ დასწრებია. დაკრძალვის დღეს ქაშვეთის ეკლესიაში განსვენებული პოეტი ღირსეული სიტყვით შეუმკია. 11 მარტს გამართულ საღამოზე კი მის შესახებ წარმოუთქვამს ბრწყინვალე სიტყვა.

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ თელავში მყოფს მოესურვებინა თავისი უფროსი თანამოკალმის სამუდამო განსასვენებლის ნახვა?

მართლაც, 1911 წელს, როდესაც იგი მეოთხედ ეწვია თელავს, ისტორიული ჭადრის ქვეშ გამართული ბრწყინვალე ნადიმის შემდეგ, მეორე დღეს, მოუნდომებია ქისტაურში წასვლა, რათა საკადრისი პატივი მიეგო წინამორბედი პოეტისათვის.

მაშინვე უცნობებიათ მისი სურვილი სოფელში რაფიელის ბიძაშვილის — გენერალ კიაზო ერისთავისა და პოეტის ძმისშვილებისათვის. მათ დიდად გახარებიათ და აკაკი მიუწვევიათ ქისტაურში.

დატრიალებულან მასპინძლები, შეუტყობინებიათ ნათესავ-მეგობრებისათვის. მოუწვევიათ: იყალთოდან და რუისპირიდან — მაყაშვილები, აწყურიდან — გამყრელიძეები, სულხანიშვილები და მელვინეთუხუცესები, ოჟიოდან — ანდრონიკაშვილები და აბელიშვილები, ახმეტა-მატნიდან — ჩოლოყაშვილები, ვაჩნაძიანიდან — ვაჩნაძეები და ჯანდიერები.

და აი, 25 ივლისს, კიაზო ერისთავისა და ცხენოსანთა თანხლებით თელავიდან ქისტაურისკენ დაიძრა ვარდ-ყვავილებით დამშვენებული ეტლი, რომელშიც პოეტი იჯდა. მას თან ახლდა ივანე პაატაშვილი, რომელიც დაწვრილებით აღწერდა აკაკის მოგზაურობას ქისტაურში.

გზაზე ჩარიგებული ხალხი გულთბილად ეგებებოდა პოეტს. გენერალ კიაზო ერისთავს თავის სოფელში არაერთხელ ჩამოუყვანია სხვადასხვა წოდების სტუმარი, მაგრამ აკაკის სტუმრობა სულ სხვა იყო. ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა საყვარელ პოეტს, ყველას სურდა ახლოს მისულიყო მასთან, მოესმინა მისი ტკბილქართული, დამტკბარიყო მისი დიდებული გარეგნობით.

„მამაჩემს თელავიდან აუყვანია მომღერალთა გუნდი და ბრწყინვალე ნადიმი გაუმართავთ კიაზო ერისთავის სტუმართმოყვარეობით განთქმულ ოჯახში“ — იგონებს ნინო ერისთავი.

მეორე დღეს, საუზმისა და დასვენების შემდეგ აკაკი სტუმრებთან ერთად ფეხით გასდგომია გზას სოფლიდან 3 კმ-ის დაშორებით მდებარე მთისაკენ, სადაც ერისთავთა საგვარეულო სასაფლაო იყო. მიახლოებისას ფეხი აუჩქარებია. წარდგა რა პოეტის საფლავის წინაშე, თავი დაუხრია, შემდეგ მუხლი მოუყრია და ცრემლმორეულს წარმოუთქვამს: „განისვენე, დიდო მოხუცო, განისვენე, სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარი, სად მამა-პაპა გეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი!..“ შემდეგ ამისა პარაკლისი გადაუხდევინებია...

იქიდან დაბრუნებული, სტუმრებითურთ, სწვევია სახლს, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა რაფიელმა. „იმჟამად იმ სახლში ცხოვრობდნენ მისი ძმის, სოსიკოს შვილები: ნიკა (პაპაჩემი) და მისი ძმა ნუგზარ ერისთავები ოჯახებით — იგონებს ნ. ერისთავი.

— დედაჩემის გადმოცემით, როდესაც მგოსანი ოთახში შესულა, დაუნახავს აკვანი. მისულა, გადაუხდია ჩვილისთვის თავსაბურავი, შუბლზე უკოცნია ბავშვისთვის და უთქვამს: — ამ გოგონას ისეთი შუბლი აქვს, რომ ჭკვიანი გაიზრდება. ეს გოგონა გახლდათ თქვენი მონა-მორჩილი" — სიამაყით წერს ნ. ერისთავი.

„როდესაც მოვიზარდე და დედისგან შევიტყე ეს ამბავი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთის მხრივ, დიდი რაფიელის შთამომავლობა, მეორე მხრივ — სულმნათი აკაკის ნაამბორალი შუბლი!

ის ღამე ჩვენთან გაუთენებია. დილით კი, მეტად ნასიამოვნები პოეტი, თავისი თანმხლები პირებითურთ, ეტლით გაემგზავრა თელავისაკენ. მასპინძლებს და პოეტის თაყვანისმცემლებს ცხენების ჯირითით გაუცილებია სასურველი და საპატიო სტუმარი თელავამდე".

აქ მიღებულ სიამოვნებას თან სევდაც ახლდა. აკაკის ანაღვლებდა ტყეში მიკარგული, მეტად უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი რაფიელის საფლავი, რის გამოც უთქვამს: „ჩვენ მხოლოდ ბრტყელი ლაპარაკი ვიცით და საქმეს კი ყველა გავურბივართ" („სახალხო გაზეთი", 1911 №37, გვ. 3).

იგივე გულისტკივილი გამოუთქვამს პოეტის ახლობლებთან.

აკაკისთვის უთქვამთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოება თხოულობდა ცხედრის თბილისში გადასვენებას და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვას, მაგრამ ახლობლებს, პოეტისავე ანდერძის თანახმად, იგი მშობლიურ სოფელში დაუკრძალავთ. აკაკის ამის პასუხად თავი მაღლა აუწევია და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ უთქვამს: „ძალიან დაგიშავებიათ, რაფიელის განსასვენებელი ადგილი აქ, ტყეში კი არა, სწორედ დედაქალაქში, ქართველ მწერალთა პანთეონში უნდა ყოფილიყო".

ახდა აკაკის ოცნება — დედაქალაქში არა, მაგრამ გადაწყდა რაფიელ ერისთავის ნეშტის გადმოსვენება თელავში, კახთმეფეთა სასახლის ეზოში. მისი ინიციატორი იყო თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მაშინდელი დირექტორი ალექსანდრე მამულაშვილი.

ნინო ერისთავი იგონებს: „1938 წლის ნოემბრის მზიან დღეს, თელავის საზოგადოება თბილისიდან და სხვადასხვა კუთხეებიდან

ჩამოსული სტუმრებითურთ, გავემგზავრეთ ქისტაურისკენ. სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გაევლო რ. ერისთავის დაკრძალვიდან. ძალიან გაჭირდა პოეტის საფლავის პოვნა. საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ მოხუცები, რომელთაც კარგად ახსოვდათ მისი საფლავის ადგილი. არც შემცდარან.

დაიწყეს გათხრა: აკლდამაში გამოჩნდა თუთიის კუბო. 37 წელი იყო გასული მისი გარდაცვალებიდან... კარგად შენახულიყო თან ჩატანებული ნივთები: ქუდი, ჯოხი, ოქროს „ზაპონკები", ფეხსაცმელი, მაგრამ ახადეს თუ არა კუბოს სახურავი, მსწრაფლ ჩაიფერფლა ყველაფერი, გარდა ზემოთ აღნიშნული ნივთებისა. გადაასვენეს ახალ კუბოში, წარმოსთქვეს სიტყვები და წამოვასვენეთ თელავში, სადაც აუარება ხალხს მოეყარა თავი პოეტის საპატივსაცემოდ.

კარგად შებინდებული იყო. ქალაქის მოედანზე გაიმართა მიტინგი. წარმოსთქვეს სიტყვები. წაიკითხეს პოეტის ლექსები. მე საკუთარი ლექსით მივმართე ჩემს დიდ წინაპარს. ლექსი დავამთავრე შემდეგი სტროფით:

„შენი ამაგი, შენი ღვაწლიც ახლა დაფასდა,
შენ მკვდრეთით აღსდექ და დიდების გმოსავს ნათელი,
შენს უკვდავ სიტყვას, როგორც თავის წმინდათაწმინდას
სამარადჟამოდ შეინახავს გულში ქართველი!"

თელავის მუზეუმის ეზოში მშვიდად განისვენებს მხცოვანი პოეტის რაფიელ დავითის ძე ერისთავის ნეშტი. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გახლავთ მეორე საფლავი, ისიც ერისთავისა. ეკუთვნის იგი პოეტის დას, ცნობილ ქართველ მწერალს, ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძისას.

XIX საუკუნეში დავით ერისთავის ოჯახმა ორი სახელოვანი შვილი გაუზარდა ქვეყანას. მათ სამუდამოდ უკვდავყვეს არაგვისა და ქისტაურელ ერისთავთა სახელი" — ამ მოგონებას ნ. ერისთავი 1986 წლის 13 ივნისით ათარიღებს.

ქისტაურის შემდეგ აკაკი წერეთელმა კახეთის სხვა სოფლებიც მოინახულა.

„ფესვები ეროვნებისა თქვენა ხართ!

წინანდალში გლეხობის წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან

თელავიდან სულ ახლოსაა სოფელი კისისხევი მდიდარი ისტორიული სიძველეებით, ტაძრებით, რომელიც ინტერესით დაუთვალიერებია პოეტს.

აკაკის განსაკუთრებით ყვარებია საუბარი უფროსი თაობის ადამიანებთან, ბევრ საინტერესოს და საგულისხმოს იგებდა მათგან. ახლაც დიდხანს უსაუბრია კისისხველ გლეხებთან, სუფრასთან კი სიამოვნებით მოუსმენია ხალხური სიმღერები მათი შესრულებით. თვითონ მათთვის თავისი უსაყვარლესი ლექსი „განთიადი" წაუკითხავს. გლეხებს უთხოვიათ, ნება მოგვეცი ის ხელი დაგიკოცნოთ, რომელმაც ეს ლექსი დაწერა. პოეტს აღელვებისაგან თვალზე ცრემლი მოსდგომია, მაგრამ უარი უთქვამს.

კისისხევის გვერდით მდებარეობს სოფელი წინანდალი...

ალექსანდრე ჭავჭავაძის საუფლისწულო მამული ადრეც ჰქონდა აკაკის ნანახი. ახლაც კვლავ სიამოვნებით სტუმრებია ამ ისტორიულ სოფელს, სადაც ამჯერად პოეტი მიუწვევია ალ. ჭავჭავაძის ვაჟის შვილიშვილს, დავითის ქალიშვილის — მარიამისა და ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძის ვაჟს, იმდროინდელ თავადაზნაურთა წინამძღოლს — მაქსიმილიან (მაქსი) ჭავჭავაძეს.

მ. ჭავჭავაძე ყოფილა წარმოსადეგი გარეგნობის, განათლებული, კეთილშობილი, დიდი გავლენის მქონე და, ამასთან, გამორჩეულად სტუმართმოყვარე ადამიანი. მის სახლში მუდამ ბევრი ხალხი იყრიდა თურმე თავს და უყურადღებოდ არავინ რჩებოდა. თავისი სოფლის გლეხობასთან იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონია, რომ სტუმრობისას გლეხებსაც დაუძახებდა, თან გაათამამებდა — „კარგად ჭამეთ, არ მიყვარს, როცა ჩემი სტუმრები იკმაკნებიან".

წინანადლელთა მოგონებებში იგი დარჩა როგორც უაღრესად კაცთმოყვარე, კეთილი, სათნო ბუნების ადამიანი, მემამულე, რომელსაც თავისი წოდების წარმომადგენელთა ტრადიციული აღწერის საწინააღმდეგოდ, მოსამსახურეებისათვისაც კი არ უწყენინებია... — „სხვებს არ ჰგავდნენ, — იხსენებდნენ თანასოფლელები, — მდიდრები კი იყვნენ, მაგრამ ძუნწები და ამპარტავნები — არა. მოიტანდა უხვად ტკბილეულს და ბავშვებს დაგვირიგებდა".

ამ ადამიანს თვითონვე სიამოვნებდა, სხვას სიხარულს რომ ჰგვრიდა. როგორც ჩანს, მასში სრულად გადმოსულა დიდებული წინაპრის ალ.

ჭავჭავაძის (პაპის — დავითის მამა) მადლი, რომელსაც არ ავიწყდებოდა „რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“ და თავის წილ სიკეთეს ირგვლივ უშურველად გასცემდა. მაქსი, მსგავსად დიდი პაპისა, იყო „გამკითხავი ღარიბისა-გლახისა“.

ასეთი ადამიანი თელავში მყოფ დიდ პოეტს, ხალხის საყვარელ მგოსანს ისე როგორ გაუშვებდა, რომ თავისებურად არ ემასპინძლა? მართლაც, შეიტყო თუ არა მაქსი ჭავაჭავაძემ აკაკის თელავში ყოფნის შესახებ, მაშინვე გაუგზავნა მოპატიჟეები და მიიწვია „ამალით, რამდენი კაციც უნდა იყოს“. აკაკიმ ეს მიწვევა მიიღო, თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა და ერთი დღე წინანადალში გაატარა.

აკაკის მოგზაურობას, როგორც აღვნიშნეთ, მთელი საქართველო ადევნებდა თვალს. მის თანხლებას ცდილობდნენ ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები, რათა დეტალურად აღეწერათ პოეტის მოგზაურობის ამბები. თელავსა და მის ახლო სოფლებში აკაკის თან ახლდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ კორესპონდენტი — თელაველი ივანე პაატაშვილი. მის მოკრძალებულ თხოვნაზე, თან ხლებოდა მოგზაურობისას, აკაკიმ „გაიცინა, ეტყობა, ესიამოვნა, მხარზე ხელი დამკრა და მიპასუხა: დიდად სასიამოვნოა, — იყავით ჩემთან. კიდევ კარგი, რომ მოხუცი ვარ, თორემ ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, მაშინაც მოინდომებდი ჩემთან ყოფნას და ქალებთან პაემანის დროს რა მეშველებოდა?“ — წერს ივ. პაატაშვილი.

წინანდლელი მასპინძელი კისისხევის წისქვილთან ე. წ. ციხის წისქვილთან დახვედრია თელავიდან მომავალ სტუმრებს. ახლო სოფლებიდანაც ბევრი ხალხი მოსულიყო პოეტის დასახვედრად, რადგან მაქსი ჭავჭავაძეს ხალხისათვის ეცნობებინა, თუ ვინ იყო მათი სტუმარი. ხალხი ტაშითა და თავმდაბალი სალმით შეხვედრია პოეტს. აი, მისი ეტლი ჩერდება, გარს ახვევია უამრავი ხალხი... აკაკი ეტლიდან ჩამოსულა, მისალმებია დამხვედურთ და მადლობა მოუხსენებია.

ხალხთან შეხვედრის შემდეგ, მასპინძელს თავის ეტლში გადაუყვანია სტუმარი და ერთად გამგზავრებულან წინანდლისაკენ, სადაც მაქს ჭავჭავაძეს, სოფლის თავში, შემაღლებულ ადგილზე, ბაღ-ვენახებით გარშემორტყმული ორსართულიანი სახლი ედგა.

მასპინძლებს წინასწარ მოუმზადებიათ სტუმრისათვის ოთახი, სადაც აკაკიმ ცოტა ხნით დასვენა, შემდეგ შევიდა დიდ დარბაზში. იქ მასპინძლის ოჯახის წევრები და მისი თანმხლები პირები ელოდნენ. მასპინძელი სტუმრებს შეუძღვა დიდ სასადილო ოთახში. მაგიდა წინასწარ მომზადებული ციცი საჭმელებით გაეწყოთ. ყავაც მოემზადებინათ.

„შემდეგ გავედით აივანზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მთელი კახეთი კავკასიონის ქედამდე“ — ვკითხულობთ ივ. პაატაშვილის ჩანაწერებში. აივანზე აკაკისთვის სავარძელი და მაგიდაზე ჭოგრი მოემზადებინათ. აკაკი ჩაჯდა სავარძელში, მის გვერდით მასპინძლის მეუღლე ევგენია პავლეს ასული შაბლიკინა მოთავსდა. კარგა ხანს ვიმუსაიფეთ“ — იგონებს ივ. პაატაშვილი.

პოეტს მოხუცი ადამიანის გულისტკივილით აღუნიშნავს — „ამ დღეებში უკანასკნელად მელირსება სულმნათი ილიას სოფლის ნახვა“ და საუბარი ილიაზე გაუგრძელებია. აქ კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა, რომ ეს ორი ყოველი ქართველისათვის უძვირფასესი ადამიანი, ილიას სიკვდილის შემდეგაც, კვლავ განუყრელად ერთად იყო. შემდეგ ხანგრძლივი პაუზა, როგორც აკაკის სჩვეოდა, მაღლა აპყრობილი თავი და შორსგამხედავი მზერა: აკაკი ილიაზე ფიქრობდა, მის შეუპოვარ ბრძოლაზე შინაურსა და გარეულ მტრებთან, მის თავგანწირულ სურვილზე, რომ საქართველოს მოეპოვებინა სანატრელი თავისუფლება „კაცთა ნავსაყუდარი“, დაებრუნებინა კაცობრიობის ისტორიაში თავისი დაკარგული ფუნქცია და ადგილი, ანუ როგორც გრ. ორბელიანი ოცნებობდა კვლავ დამდგარიყო „ერად სხვა ერთა შორის“. წარმოუთქვამს ილიას ლექსი „ყვარლის მთებს“.

„სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს სსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა“...

ვერც ივიწყებდა... განუყრელად გულში ატარებდა, სადაც უნდა ყოფილიყო... „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა და დაე, გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი!“ — აუხდა წინასწარმეტყველება, მამულის ბედის ძიებაში ჩაიფერფლა მისი სიცოცხლე, — მას შეეწირა...

კიდევ ერთხელ გაუარა გულში ხანჯალივით ილიას ტრაგიკულმა აღსასრულმა... იმის შეგნებამ, რომ იმ მუხლჩაუხრელი შრომის წილ, რის შედეგადაც მათ ერთად ძლივს გამოსტაცეს ლაბის საღათას ძილს მიცემული საქართველო, სიკვდილი რომ არ მოჰპარვოდა, რა ერგო წილად? — ტყვია შუბლში! — აი ჯილდო, მამულისთვის თავგანწირული სამსახურისა!

— „ილია ვარ! არ მესროლოთ!

— სწორედ იმიტომ, ილია რომ ხარო...

ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველოვ!..“ — გული ამოაყოლა ამ სიტყვებს მაშინ აკაკიმ.

„ილიას შუბლში დაუმიზნეს და საქართველოს გულში მოარტყესო“

— მართლაც... ამ სროლის ხმამ გააყრუა პატარა საქართველო, შეაზანზარა, შესძრა, გულში გაუარა თავისუფლების ძიებისათვის შემართულ ქართველს, სული დაუჭრა, ცალად დატოვა მოხუცი აკაკი: „მშვიდობით ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობლება, საძნელოა!" — ასე გამოეთხოვა ავადმყოფი და მოხუცი აკაკი ილიას ცხედარს.

ილია ისე ჩავიდა საფლავში, რომ უმთავრეს კითხვას: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?" — პასუხი ვერ გაეცა. აკაკიც უკვე მოხუცი იყო და, ვინ იცის?.. ალბათ, ამ ფიქრს ამოაყოლა ხანგრძლივი ოხვრა. ფიქრებში წასულმა გულაჩუყებულმა მოხუცმა და თვალზე ცრემლი მოიწმინდა...

წინანდლელ ჭავჭავაძეთა სამოსახლოში, მათ შთამომავლებთან სტუმრად მყოფი ფიქრებიდან გამოერკვა და მასპინძლებს დაუბრუნდა. ჭოგრით შორს გაიხედა და — საბუის მთები გახსოვთო? — იკითხა. თითქოს მოესმა 1854 წლის ზაფხულში იქიდან დაშვებული ლეკთა ველური ბრბოს ყურისწამღები ყიჟინა. ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე თავზარს სცემდა კახეთის მოსახლეობას, რომელიც ხან უმკლავდებოდა მომხვდურს, ხან კი ტყეებში გახიზვნით შველოდა თავს.

არაერთხელ გამოუჩენიათ თელაველებს დიდი გმირობა, მაგალითი მიუციათ სხვებისათვის: „ეკვეთნენ თელაველნი და მოსრნეს ბანაკნი მათნი, აოტეს და აღიღეს ალაფნი მათნი... ამის მხილველ კახთა მოსრნეს ყოველნი თვისთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კვალად სიმაგრეთა მყოფნი დადგნენ მტკიცედ".

ლეკთაგან თავის დასაცავად ზრუნვა ჯერ კიდევ ერეკლე მეორის მამამ თეიმურაზ II-მ დაიწყო. ხოლო ერეკლემ, ლამის, საომარ ჯავშანში ჩასვა ქალაქი. ომან ხერხეულიძის ცნობით: „მეფობისა ამისსა შინა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ასსამოცამდე გალავანი და ბურჯნი მტერთათვის", მანვე „განაახლა გალავანი... თელავისა".

ლეკები განსაკუთრებით წინანდალს ემტერებოდნენ და სწორედ მაშინ, როცა თბილისიდან მათგან თავდასაცავად ჯარს ელოდნენ, ხოლო ხშირი წვიმებისგან ადიდებული ალაზნის გადმოლახვას არავინ მოელოდა, 2 ივლისს ისინი თავს დაესხნენ საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულის თავად ალ. ჭავჭავაძის სახლ-კარს. გადაწვეს მისი მშვენიერი კარ-ჰიდამო, წაიღეს რაც მოეწონათ... დაამტვრიეს, მოსრეს რასაც ვერ მოერივნენ. სასახლის ერთმანეთზე უკეთესი 22 ოთახის ძარცვა ერთ საათს გაგრძელებულა. ამასაც არ დასჯერდნენ, თავიანთ სწრაფ-

მავალ ცხენებზე შემოისვეს და თან წაიყვანეს პოეტის ვაჟის დავითის წვრილშვილიანი ოჯახი და იმ დროს სასახლეში სტუმრადმყოფნი. ოჯახის უფროსი დავით ჭავჭავაძე, ბრძანების მიხედვით, ამ დროს ალაზნის გაღმა იმყოფებოდა, სადაც ციხე-სიმაგრის უფროსობა მიეღო.

თავდასხმა განხორციელდა წარმოუდგენელი სისასტიკით. ლეკთა სამიათასიან ჯგუფს წინ მიუძღოდა შამილის ვაჟი ყაზი-მაჰმადი.

ლეკთა დაცემას კახეთზე და დ. ჭავჭავაძის სახლობის ტყვედ ჩავარდნას დეტალურად აღწერს თვითონ ამ დარბევის მხილველი და შამილის ტყვეობაში მყოფი ფრანგი ქალი ანა დრანსე წიგნში: „შამილის ტყვე ქალები“, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება: „გაისმა ლეკთა გააფთრებული შეძახილები... მათი დარტყმისაგან მინები აზრიალდა და ჩაიმსხვრა, აჭრიალდა ავეჯი... ჩვენამდე მოაღწია ორი ფორტეპიანოს ერთმანეთში არეულმა ხმებმა. ველურები კლავიშებზე ხელებს ბოროტად უტყაპუნებდნენ... ბალი გაივსო ჩალმიანი მხედრებით... საწყალ წინანდლელებს სრული გაჩანაგება ელოდათ... მალე ერთმანეთში აირია გამხეცებულთა შეძახილები და უმწეოთა კივილი...

წინააღმდეგობის გაწევა სრულიად უაზრო... კიბე მტაცებელთა და მსხვერპლთა სიმძიმეს ველარ უძლებს და ტყდება... ვეცემით ეზოში მიმობნეულ ნამსხვრევებს შორის... დაიწყო სასახლის ძარცვა... ყველაფერი გადადიოდა ხარბი მტაცებლების ხელში, რომელთაც არც ფასი იცოდნენ მათი და არც იმ ნივთთა იშვიათობისა გაეგებოდათ რამე, რომელსაც პირველად შეესნენ... ამტვრევდნენ და ტომრებში ყრიდნენ ჭურჭელს. ვიღაც ქილაში ფერ-უმარილს გემოს უსინჯავდა, ვიღაც ყლაპავდა აბუსალათინის ზეთს... მთელი ეს სანახაობა გულისამრევი და საშინელი იყო. უხამსობამ აქ მთელი თავისი სახე გამოაჩინა“... როდესაც ტომრები გაავსეს ნაძარცვით, უკვე ტყვედქმნილი, სასახლეში მყოფი 24 ადამიანი სწრაფმავალ ცხენებზე შემოისვეს და თავბრუდამხვევი ჭენებით გასწიეს თავიანთი აულებისაკენ.

ამ შემზარავი შემოსევა-გატაცებისას, დედას, დავითის მეუღლე ანა ბაგრატიონს, რომელსაც ცალ ხელში ოთხი თვის ჩვილი ეჭირა, მტაცებლის ცხენზე მჯდომს, თოკებისაგან ხელი დაუბუჟდა და ბავშვი ხელიდან გაუვარდა. უბედური დედის კივილი ცას მისწვდა, მაგრამ თავდამსხმელები თავქუდმოგლეჯილები მიაგელვებდენ ცხენებს ძვირფასი ნადავლით. უმწეო ჩვილი უკან მომავალმა ცხენებმა გადათელეს... მის გარდა, კიდევ მრავალი გვამი დარჩა ცეცხლწაკიდებულ წინანდალსა და სხვა სოფლებში, ცოცხლად დარჩენილნი კი მათი ტყვეები შეიქმნენ“...

ჭავჭავაძეთა წალკოტში, ეკლესიის მახლობლად დღესაც დგას დიდი დიამეტრის გულგამოფუღუროებული ხე, რომელსაც იმ დროს ერთმა შეშინებულმა ქალმა შეაფარა თავი.

მცირე დასვენების შემდეგ, მასპინძელმა აკაკის ჭავჭავაძეთა საუფლისწულო მამული დაათვალიერებინა. განთქმული ღვინის სარდაფში ჩასვლა ვერ შეძლო მოხუცმა, მაგრამ სარდაფის „ღვინის ბიბლიოთეკიდან" ამოტანილი საუკუნეზე მეტი ხნის ღვინო კი იგემა და ძლიერ მოეწონა. ნახულით კმაყოფილი პოეტი მაქსი ჭავეჭავაძემ თავის ოჯახში ნადიმზე მიიწვია.

წვეულებას დიდი კაკლის ქვეშ გაშლილ სუფრასთან, მასპინძლის ჩვეულებისამებრ, წინანდლელი გლეხობაც ესწრებოდა. სწორედ მათ მიართვეს პოეტს თავთავისაგან დაწნული ჯვარი და გვირგვინიც დაადგეს თავზე, როგორც სიმბოლო მკათათვის ხვავ-ბარაქისა და უჭკნობი დიდებისა.

ნადიმი იმგვარად წარიმართა, როდესაც მონაწილენი ბოლომდე ინარჩუნებენ ერთმანეთის მოსმენის უნარსა და სურვილს.

აკაკიმ აქ წარმოსთქვა მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველური სიტყვა, რომელიც გლეხობისადმი იყო მიმართული. ეს სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთში „თემი", 1911 წლის 14 ნოემბერს (№45).

აი, ეს სიტყვაც.

სიტყვა წარმოთქმული წინანდალში გლეხობის წინაშე

„ამ ხეს ხომ ხედავთ? სამი ნაწილისაგან არის შემდგარი: ფესვებისაგან, ღრმად რომ არიან მიწაში ჩაფლული და არა სჩანან, ღეროსა ანუ შუატანისაგან, ფესვებისაგან რომ არის ამონაყარი, და მერე სათავეში ღეროზე გადაშლილ შტოებისაგან ყვავილ-ნაყოფს იძლევიან. ეს სამი ნაწილი ერთმანეთზე გადაბმული, შეადგენენ ერთს ხეს. ფესვები საზრდოს იღებენ მიწიდან, გადასცემენ ღეროს, ანუ ხის შუა ტანს და ისიც შეაწოებს შტოებს, რომ ნაყოფი გამოიღონ. ურთიერთმანეთოდ კი ვერც ერთი ნაწილი ვერ იხეირებს!.. და ერთი მეორეს რომ გადაემტერონ და აუხირდნენ, რა გამოვა? მაგალითად შტოებმა რომ მედიდურობა დაიწყონ და გადმოსძახონ ფესვებს: თქვენ ვინა ხართ? რაცა ვართ სულ ჩვენა ვართო! ყვავილსაც და ნაყოფსაც ჩვენ ვიძლევითო!.. ეს ხომ სისულელე იქნება? ფესვებს

შეუძლიან მაშინ სთქვან: სტყუით, შტოებო! თუ ჩვენ ქვეშიდან არ გაწოებდეთ საზრდოს, თქვენც გახმებოდით და თქვენი ყვავილებიცო. აგრეთვე შუატანმა, ანუ ღეროს რომ სთქვას, თუ მე არ გადავსცემდე შტოებს ფესვებისაგან მონაწოდ საზრდოს, ხე ხომ გახმებოდაო და სსვ... გამოდის, რომ სამივე ნაწილი ხის, თანასწორად საჭირო ყოფილან, რომ ხემ იხაროს და ერთმანეთთან მედიდურობა არა ჰმართებსთ. ესეთივეა ეროვნების ხეც. ყოველი ერი შესდგება დაბალის, შუათანა და მაღალი წოდებისაგან. ისინი ერთმანეთის შეკავშირებით შეადგენენ ერთ რომელიმე ერს. დაბალი, ე. ი. ფესვები ეროვნების თქვენვე ხართ, შუათანა და მაღალი წოდება თქვენზე არის ამონაყარი. თქვენვე ხართ ნაზარდი. უერთიერთმანეთოთ არ ვარგიხართ. თქვენს ერთ მთლიანობას სამივე ნაწილი შეადგენს და ამიტომაც მტკიცეთ უნდა იყოთ ერთმანთთან შეკავშირებული „ძმობით", „ერთობით" და „სიყვარულით" და არა ერთი მეორის მტრობით, დაუნდობლობით და მედიდურობით... ბუნება ძლიერია. მისი წინააღმდეგობა თავის მოტყუებაა. როგორც ხეს შტოები და ღეროები ეჭირვება, ისე ხალხსაც წოდება, მაგრამ წოდება შეგნებული და არა შეუგნებელი!.. სცდებიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ მხოლოდ ფესვებია, თორემ მაღალ შტოებათ სხვებიც გამოდგებიან, რადგანაც ხე ყველა ხეაო!.. ბუნება უძლეველია: მუხა ვაშლზე არ დაიმყნის და ცაცხვზე მსხალი, გახმება და ფესვებსაც გაახმობს. დამყნასაც თავისი კანონი აქვს. მხოლოდ ერთგვარი ხე მაგალითად ვაშლი ვაშლზე, მსხალი მსხალზე, ატამი ატამზე და ამგვარად, შეიძლება, რომ დაიმყნოს და ნამყენმა გაიხაროს და გაუმჯობესდეს.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფესვი საქართველოს ეროვნებისა თქვენა ხართ და წოდებანი კი თქვენზე ამონაყარი თქვენვე. თქვენი კავშირი უნდა იყოს მტკიცე და კავშირითაც „ძმობა", „ერთობა„ და „სიყვარული". გაუმარჯოს საზოგადოდ ქართველობას და კერძოდ თქვენ, როგორც ეროვნების ფესვებს! ვსვამ თქვენ სადღეგრძელოს."

ილიაც მზეა!..

დადგა ყვარლის მონახულების დროც. საბწუსაროდ, როგორც პოეტმა უწინასწარმეტყველა საკუთარ თავს, უკანასკნელი გამოდგა მისი სტუმრობა ყვარელში.

აკაკის თელავში მოპატიჟეები აახლეს ყვარლელმა იური და ელენე ჭავჭავაძეებმა და იგი იქაური საზოგადოების სახელით მიიწვიეს ილიას მშობლიურ სოფელში. აკაკი დათანხმდა. მისივე თხოვნით, მასთან მყოფმა შალვა დადიანმა და ელო ანდრონიკაშვილმა მოაწყეს „ილიას საღამო" ყვარელში.

მივყვეთ ილიას ყვარელში სტუმრობის დროს მისი ერთ-ერთი თანმხლები პირის — შ. დადიანის მოგონებებს:

„აკაკი! ეს დიდებული პოეტი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსათვის დიდი სულის მოთქმაა, დიდი მაჯისცემა... მზის ჭიატი ღრუბლიან ცაზე, ვარდის სურნელება შალტამით წალებულ უდაბურებაში...

თელავში ვიყავით, წარმოდგენებს ვმართავდით. აკაკის ჩამობრძანება, მისი ჩამოსვლა დღესასწაულად იქცა და კახელობა ღირსეულად დაუხვდა. ერთმანეთს მისდევდა საღამოები, წარმოდგენები, სიტყვები, მისალმებანი, საჩუქრები... დავდგით მისი „თამარ ცბიერი".

ივლისი იყო და მოაწია „ილიაობამაც". მაშინდელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილება ყოველწლივ იხდიდა „ილიაობას". შალვა დადიანი დაწვრილებით აღწერს სამზადისს ყვარელში გასამგზავრებლად: თანმხლებ პირებს, მგზავრობას, ყვარელელების დახვედრას, ყვარელში ჩატარებულ „ილიაობას" და აკაკის კმაყოფილებას ყვარელში სტუმრობის გამო.

„20 ივლისს, დილით ადრე, გრილ, ღრუბლიან, მაგრამ უქარო ამინდში ჩავსხედით ეტლში: აკაკი, ქართული დრამის მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი, ადგილობრივი ქალთა გიმნაზიის დირექტორი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების თავმჯდომარე ნიკოფორე მამინაიშვილი და მე. მე და ელოს წარმოდგენა უნდა მოგვეწყო. ეტლი დაიძრა და აკაკიმაც დაიწყო, ვინ იცის, რა არ გვიამბო. ოხუნჯობდა თავისებურად. გაჰკილა ზოგი რამ და ვინმე. მათ შორის ქართველი თავადაზნაურობა" — იგონებს შ. დადიანი[1].

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს

---

1. შ. დადიანი, „ჩემი წარმოდგენით", წიგნიდან „მოგონებები აკაკიზე", თბ., 1990, გვ. 121.

ნიკოლოზ I დიდებულად დახვედრიან ყველგან, განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას. ერთ სადილზე ისე ამხიარულეს, გამოათვრეს კიდეც.

ქართველთა იშვიათი მასპინძლობით მოხიბლულმა იმპერატორმა შესთავაზა მათ — მთხოვეთ, რაც გსურდეთ, მზად ვარ შეგასრულო. აკაკის თავისებურად გაუფორმებია — „ქაროველთა დეპუტაციამ მარილზე ბაჟის შემსუბუქება სთხოვა დიდი მოწიწებით, როცა იმპერატორი უკვე ნანობდა ლხინის შემდეგ სიმთვრალეში ნათქვამ სიტყვას — ეგება საკუთარი მეფე მომთხოვონ, დამოუკიდებლობის აღდგენა მოინდომონ და მეფურ სიტყვას ხომ ვერ გადავალო? — აი, თხოვნის შნოც კი არა გვაქვს ქართველებს“ — სინანულით უთქვამს აკაკის.

ვიდრე მის საუბარში გართული სტუმრების ეტლი, თელავიდან წამოსული, ყვარელს მიუახლოვდებოდა, დილის 9 საათზე ძვირფასი სტუმრის შესაგებებლად ყვარლის სიახლოვეს 30-40-მდე ცხენოსანი მოუთმენლად ელოდა მათ გამოჩენას.

ერთ-ერთი, ილია ზაუტაშვილი, დიდი პოეტის ნახვის სურვილით შეპყრობილი, ასე აღწერს თავის მოგონებებში ამ მომენტს. „ეტლის მოახლოება ჟრუანტელს მგვრიდა... წარმოიდგინეთ, როგორ მენდომებოდა იმ კაცის ხილვა, ვინც საქართველოს მძიმე ხვედრს მთელი ათეული წლის განმავლობაში დიდ ილიასთან ერთად თავისი მხრებით ზიდავდა... აკაკი მე მივიჩნიე ზეცით მოვლენილ დიდებად. ვხარობდი, მეშვიდე ცას სწვდებოდა ჩემი აღმაფრენა“[1].

აი, ეტლი ყვარელს მიუახლოვდა. მას უეცრად ცხენოსნები შემოერტყნენ და ეტლი შეაჩერეს. ელვის სისწრაფით ჩამოქვეითდნენ. ესენი იყვნენ აკაკის შესაგებებლად წამოსული ყვარლის მოსახლეობის წარმომადგენლები. ერთი მათგანი — ლონგინოზ ზაუტაშვილი გრძნობით სავსე სიტყვით მიესალმა პოეტს. ყველა ჩამოდის ეტლიდან აკაკის გარდა. ის ფეხზე მდგომი, ქუდმოხდილი ისმენს. „საუცხოო სურათი იყო. ეს ჭარმაგი ადამიანი, მაღლიდან გადმომყურე, ეტლში გამართული, მართლა რომ ბიბლიური ფიგურა იყო. ნიავი ოდნავ აქანებდა აკაკის ჭაღარას. გარინდულ ბუნებაში სჭექდა პათოსიანი, მაგრამ დროის შესაფერისი მშვენიერი ქართულით ნათქვამი სიტყვა...“

ამ მისალმების შემდეგ ეტლი დაიძრა. დამხვდურნი ცხენდაცხენ

---

1. ილია ზაუტაშვილი „მოგონებები აკაკის შესახებ“ წიგნიდან „მოგონებები აკაკიზე“, თბ., 1990, გვ. 161.

მიჰყვნენ მას. ყვარლის ციხე-გალავანთან ზღვა ხალხი შემოეგება პოეტს. აქ იყო მისი მასპინძელი ყვარლის კულტურულ ღონისძიებათა თავკაცი იური ჭავჭავაძე, რომელიც ხალხის სახელით მიესალმა პოეტს. საპასუხო მისალმების შემდეგ, „მგზავრულის“ გუგუნში ეტლმა ყვარლისაკენ განაგრძო გზა.

ნამგზავრი აკაკი დაასვენეს იური ჭავჭავაძის ოჯახში. მან დიდებული ნადიმი გაუმართა სტუმარს. საღამოს კი მიაშურეს ილიას სახლ-კარს, რომელიც საზეიმოდ იყო მორთული. ყველა კუთხეში გასართობი და სანახაობა მოეწყოთ. უამრავი ხალხი ესწრებოდა ღია ცის ქვეშ გამართულ ილიას საღამოს. მოფარდაგებულ სცენაზე ელო ანდრონიკაშვილმა და შალვა დადიანმა წარმოადგინეს ილიას „დედა და შვილი“. მათვე ძლიერ მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება ცეკვით.

წარმოდგენის დროს წამოსულა წვიმა, მაგრამ ხალხი არ დაშლილა. აკაკი ქოლგის ქვეშ შეუფარებიათ და ისიც დიდი გულმოდგინებით უსმენდა წარმოდგენას ბოლომდე. შემდეგ აკაკი გამოჩენილა სცენაზე გოგონების წრეში ჩამდგარი. შემონახულია ამ დროს გადაღებული ფოტოსურათი, რომელიც ინახება ყვარლის სახლ-მუზეუმში (გვ. 71).

აკაკი სცენიდან მიესალმა ყვარლის საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის, თავის სიტყვაში არაერთხელ მოიხსენია ილია ჭავჭავაძე და წაიკითხა ლექსი „განთიადი“.

მას ყოველი მხრიდან ხშირად ესმოდა: „ბრძენი ილია“, „ჩვენი ილია“, „ჩვენი შვილი“, „ჩვენი მზე“. აკაკი ააღელვა ამ სიტყვებმა. მას გაახსენდა ერთი ინდური არაკი, რომელიც ხმამაღლა უთქვამს. ერთ კაცს ეგონა, მზე მის ახლოს, მისი სოფლის გორიდან ამოდიოდა. ავიდა გორაზე მზის დასაჭერად, მაგრამ დაინახა, რომ მზე ახლა სხვა გორიდან ამოდის, იმ გორაზედაც ავიდა, მზემ მესამე გორაზე გადაინაცვლა და ა. შ. გლეხმა განდეგილს შესჩივლა. მან კი უთხრა, მზეს ვერავინ დაიჭერს, ისეთი რამ არის, რომ ყველა მხრიდან ამოდის და ყველასათვის ანათებს, ასევეა თქვენი საქმე, კახელებო, — თქვა აკაკიმ და დააყოლა: — ილია ისეთი მზეა, რომ ყველა მხრიდან ამოდის და ყველასთვის ანათებს. ის გამორჩეული კაცია და დღევანდელი თქვენი ზეიმიც ამის დასტურია. ამ მზის — ილიას გარშემო ლიტანიობს მთელი საქართველო... ასე სწამდა აკაკის მაშინ, როცა ილია ცოცხალთა შორის აღარ იყო და მაშინაც, როცა დაწერა „მის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძონ, ჩვენი ბულბულების ნაწერებში... არ გავცვლი“.

აკაკის მალე დაუტოვებია მისთვის განკუთვნილი საპატიო ადგილი და სიამოვნებით გარეულა ხალხში. წაიკითხა საკუთარი ლექსები, მათიც მოისმინა და მოშაირე მოხუცები ისე გაათამამა, რომ პაექრობაც გამართულა მათ შორის. ერთმა ყვარელელმა გლეხმა ექსპრომტიც უძღვნა, რომლის ერთი სტროფი ასეთია:

„ზამთარში შაშვი რომ გალობს,
ზაფხულში ბიჭო-გოგია,
მეც ვთხზავ ლექსებსა, მაგრამა
შენი ლექსები სჯობია“.

აკაკიმ ამაზე ბევრი იცინა — აღნიშნავდა გაზეთი „სიტყვა და საქმე“.

აკაკი ყვარლის ახლოს მდებარე სოფელ შილდასაც სწვევია განთქმული მომღერლის ლადო აღნიაშვილის თხოვნით. იგი შეხვედრია იქაურ გლეხებს, ახლოს გაუცვნია მათი ავკარგიანი ცხოვრება, თავისებურად გაუმხნევებია და გაუხალისებია ისინი, დამტკბარა ლადოს ტკბილი სიმღერებით.

შილდელებთან აკაკის სტუმრობას ეძღვნება შ. მარკოზაშვილის წერილი „აკაკი წერეთელი შილდაში“ (გაზეთი „ყვარელი“, 1990, 8 თებერვალი), აგრეთვე ალ. გვენცაძის „აკაკი ყვარელში“ (გაზეთი „ყვარელი“, 1965, 28 ოქტომბერი).

კახეთში ყოფნისას აკაკიმ გული იჯერა უბრალო ხალხში ყოფნით, განსაკუთრებით მოხუცებთან საუბარი ხიბლავდა. მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ — „საცარი იყო მისი ბუნება: ეს დიდი გვარის კაცი (თავად როსტომ წერეთლის შვილი), მილიონერის სიძე, მაგრამ უკაპიკოდ, ერის საამაყო მგოსანი, სახელგანთქმული არა მარტო თავის ქვეყანაში, ევროპასა და რუსეთშიც, განსაკუთრებით გლეხობასთან რჩებოდა საუბარს, მათთან ყოფნას არაფერი ერჩია“.

მან როგორც საქართველოს სხვა კუთხეების, ისე ყვარლელ და შილდელ გლეხებსაც სამუდამოდ დაამახსოვრა თავი. აქაც იყო მეტად საყვარელი „ღმერთთა და კაცთა“, ალბათ იმ „მიუწვდომელი სიმდაბლის“ გამო, რითაც ასე უხვად დაეჯილდოვებინა შემოქმედს.

დიდი პოეტის დაბადების 140-ე წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ მისი წიგნებისა და მოღვაწეობის ამსახველ სამხატვრო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნ. როინიშვილის ნახატი „აკაკი ყვარლელ გლეხებთან“.

აკაკის მეოთხე სტუმრობა 1911 წელს კახეთში, სამწუხაროდ, მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა პოეტისათვის. გული მოიჯერა

კახელებთან ყოფნით, მათი ალერსით, თვითონაც უხვად გასცა სითბო და სიყვარული. ვარდ-ყვავილებით დამშვენებული ეტლით დაატარებდნენ კახელები მუდამ სასურველ სტუმარს თელავსა და მის შემოგარენში, ყვარელში, ქიზიყში. მეტად ნასიამოვნები და გულდამტკბარი დაბრუნდა თბილისში და თან გაიყოლა ხალხის სიყვარული როგორც დასტური პოეტის მამულისათვის თავგანწირული სამსახურისა.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკიმ რაც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით შეძლო, ერთი იმდენი ხალხში სიარულით შესძინა თაკის ერსა და ქვეყანას, რადგან სწორედ ხალხთან შეხვედრებმა გამოავლინა მათი მისწრაფება, ფიქრები და სურვილები.

ძნელია იმის დადგენა, თუ ოფიციალურად როდის შეხვდა პირველად აკაკი თავის მშობელ ხალხს. ფაქტია, 1882 წლის მარტში ქართლში მოგზაურობს და ქ. გორში წარმოსთქვამს სიტყვას, კითხულობს ლექციებს „ვეფხისტყაოსანზე“ და, როგორც ჩანს, აქედან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეწყვეტილა საქართველოს ამერ-იმერში მისი ოდისეა, რომელიც დაგვირგვინდა დიდებული შედეგით — აკაკი და ქართველი ხალხი განუყოფელი გახდა. იმაზე უკეთესად თქმა შეუძლებელია, ვიდრე იგი იაკობ გოგებაშვილმა შეაფასა „აკაკი — პატარა საქართველოა“. ჭეშმარიტად, რომ ასეა. ხოლო დიდებული მგოსნის მოგზაურობის დაუვიწყარი დღეები სამუდამოდ დარჩება ჩვენი კულტურის ისტორიაში დიდი პოეტის ბიოგრაფიის დამამშვენებელი ფურცლების სახით. აკაკი დღესაც განუყოფელია ჩვენი ხალხისაგან. დღესაც ისევე აქტიურია მისი პოეზია, მთელი მისი შემოქმედება ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის როგორც მაშინ, როცა ბნელით მოცულ სამშობლოს გამოფხიზლება-გათვითცნობიერებას ცდილობდა და იმედით აღავსებდა დაჩაგრულ მოძმეთ.

„არა აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს უყივის, ეძახის
ჩემი დაფი და ნაღარა“.

დღესაც მისი პოეზიის მადლით ითქვამს სულს ქართველი კაცი, რადგან, თუმცა დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ მოხდა ქართლის ცხოვრებაში, მაგრამ ქართლის ჭირი ჯერ კიდევ მოურჩენელია. ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა, ვიდრე საქართველო დადგება „ერად სხვა ერთა შორის“.

დღესაც გვამხნევებს აკაკის ომახიანი და იმედიანი შეძახილი: „სამეფოო ძველთა ძველო, დიდებაო ძველის ძველო, გაცოცხლდები, საქართველო!“

კახეთის თემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

თელავი და, საერთოდ, კახეთი მრავალი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა. აქ ოთხჯერ მოგზაურობამ თავისი კვალი დატოვა აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც. კახეთის თემას ეძღვნება მისი რამდენიმე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. მათ შორის, ლექსები: „ალ. ჭავჭავაძის საფლავზედ", რომელიც კახეთში პირველი მოგზაურობისას, 1882 წელს შეიქმნა და იმავე წლის 29 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთში „დროება" (№181);

„წერილი პატარა მეგობრებს" კი ბოლო, მეოთხე მოგზაურობისას – 1911 წელს მიუძღვნა თავისი მასპინძლების შვილებს.

ლექსი „კახელებს" სპეციალურად დაწერა 1912 წელს სიღნაღში ახლადგამოსული გაზეთისათვის „ხმა კახეთისა";

„ოცნება" პირველად ცალკე წიგნად გამოიცა 1911 წელს, მეორედ 1913 წელს.

პოემები: „კახეთი", რომელიც გაზეთ „კოლხიდის" თაოსნობით გამართულ „ლიტერატურულ საღამოზე წაუკითხავს 1911 წლის 22 ოქტომბერს („თემი" 1911, №41) და მისი შემოქმედების თვალი ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „პატარა კახი". იგი ასახავს თხუთმეტი წლის მეფე ერეკლეს პირველ ნათლობას ბრძოლის ველზე, როდესაც „წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბიეს... მაშინ შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი, უწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შეებნენ ლეკნი... ამან (ერეკლემ – მ. გ.) პირველად მოკლა კაცი და მის მხილველ კახთა ერთპირად მიმართეს ყოვლით და წინა-წარიქციეს ჯარი ლეკისა: აჰყარეს ტყვენი და საქონელი, მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული, რომლისთვისაც ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა".

მეფის მემატიანის – ომან ხერხეულიძის მონათხრობს დიდებული მხატვრული სამოსი მოარგო პოეტმა და მკითხველის და შემდეგ მაყურებლის საყვარელ ნაწარმოებად აქცია პოემა „პატარა კახი".

კახეთში პირველი და მეორე მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად შეიქმნა ნარკვევები: „სამგზავრო წერილებიდან" და კრიტიკული კილოთი აღსავსე „კახეთში მოგზაურობა".

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ნიმუშებადაა მიჩნეული აკაკის მიერ ამ მოგზაურობების დროს თელავსა და წინანდალში წარმოთქმული ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობით აღბეჭდილი სიტყვები.

აკაკის პროზას ამშვენებს კახეთის სინამდვილის ფონზე გაშლილი ისტორიული მოთხრობა: „ბაში-აჩუკი“. მისი თემა ქართველთა ერთიანობა-შეთანხმებულობის შედეგად წარმატებით განხორციელებული კახეთის აჯანყებაა 1659 წელს. თავის ხალხითა და მოღალატეებით, სამშობლოსთვის თავგანწირული ადამიანებით, რომელთა ღვაწლს ასე განადიდებდა აკაკი თანამედროვეთა დაჩიავებული ეროვნული სულის აღსადგენად და გასაძლიერებლად.

1913 წლის ბოლოს „ბაში-აჩუკი“ ცალკე წიგნად გამოვიდა. ამის შესახებ გაზეთი „თემი“ (№139, გვ. 2) იუწყებოდა: „წიგნის მაღაზია „ცოდნამ“ გამოსცა აკაკის ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. წიგნში 95 გვერდია, ღირს 30 კაპიკი, საჭირო იყო გამოცემულიყო ეს მშვენიერი ნაწარმოები, რადგანაც პირველი გამოცემა აღარ მოიპოვებოდაო“.

„ბაში-აჩუკმა“ და „პატარა კახმა“ მალე წიგნიდან სცენაზე გადაინაცვლეს. მათ სცენური და ეკრანული სიცოცხლის უფლებაც მოიპოვეს. ამ ნაწარმოებების მიხედვით ჯერ ოპერა შეიქმნა, შემდეგ სპექტაკლი და კინოფილმი, რომლებზედაც თაობები იზრდებოდა: „ბაში-აჩუკი“ დღესაც ქართველი მაყურებლის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია. მისი მთავარი გმირის სიმღერას დღესაც გატაცებით მღერის დიდი და პატარა. ჯერ კიდევ ადრე უწინასწარმეტყველა გრიგოლ რობაქიძემ „ბაში-აჩუკს“ ბრწყინვალე მომავალი ეკრანზე, როდესაც იგი კინორომანად გაიაზრა — „ყველა ნიშანს ფლობს ეკრანი ხანგრძლივად რომ დაიპყროს“ — აღნიშნავდა იგი.

ასეც მოხდა, რაც ავტორთან ერთად რეჟისორის, კომპოზიტორისა და ფილმში მონაწილე მსახიობთა დამსახურებაცაა.

კახეთი – სწორუპოვარი ქვეყანა!

„კახეთი შემოვიარე,
ალაზნის პირი სრულადა;
ხალხი მოყვრულად დამიხვდა
და მიწა-წყალი მტრულადა“.

ასე იწყება აკაკის ლექსი „ოცნება“, რომელიც, მისი თქმით „საამო ედემ ქვეყანაში“ – კახეთში მოგზაურობის შედეგად შექმნილა. ეს ლექსი, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, პოეტის არც ერთ გამოცემაში აღარ შეუტანიათ, თუმცა ავტორს მისთვის თავის რჩეულ ლექსთა კრებულში მიუჩენია ადგილი.

ის რომ ეს მშვენიერი ლექსი, ქვეყნის ჭირისუფალი პოეტის განცდით აღბეჭდილი, „ახალი ქვეყნის მაშენებლებმა“ უკუაგდეს, „დაიწუნეს“ არც არის გასაკვირი. ლექსში აკაკი მისთვის ჩვეული პირდაპირობით, მოურიდებლად ამხელს „ერიყლაპია“ რუსეთის იმპერიას, მის მტაცებლურ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ.

ლექსი საკმაოდ ვრცელია. იგი იწყება კახეთის ქებით:

„საამო ედემ ქვეყანას
და მის ატეხილ ჭალებსა,
სიამოვნებით აღვსილი
მიმოვავლებდი თვალებსა.
ვამბობდი; ჰა, სად ყოფილა
სწორ-უპოვარი ქვეყანა!..
ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ
სხვა არ მინახავს მისთანა“.

ნახულით მინიჭებული სიამოვნება პოეტს სრულიად გაუქარწყლდა, რადგან:

„... ამდენი სიკეთე
რითაც ცხოვრება ტკბილია
ველარ ახარებს დღეს კახეთს
და რაღაც მოწყენილია“.

აკაკი ამის მიზეზს იგებს გულჩათხრობილი მდინარე ალაზნისაგან, რომელსაც „მთის ცრემლებს“ უწოდებს:

„შენ რომ გვხედავ აღტაცებით
და მოგწონვართ ერთად ყველა,
საპატრონოდ სულ სხვა ხელში
გადავდივართ ნელა-ნელა“.

სამწუხაროდ, ახალი მეპატრონენი ქართველნი არ არიანო წუხს ამის გამო კახეთის დედა-მდინარე.

„უცხოელი კი მის რჯულზე
მოსაპნულ თავს სხვა მხრით გვიკრავს,
სისხლს გამოგვწოვს წვეთა-წვეთად,
რბილს გაგვაცლის, ძვალს გამოგვხრავს“.
და მშვიდობით, მიწა-წყალო,
მასთან ერთად ქართლის ერო,
გულ-უხვო და ენა ტკბილო —
ჩვენო „მრავალჟამიერო“.

აი, რატომ მოუწყენია საქართველოს ბუნებას, კახეთის ტყე-ველს, მთასა და მდინარეს, ალაზანსა და იორს: „სასიკეთოს ქართველისთვის, ვერ ამზადებს მომავალი“ — აღნიშნავს პოეტი.

პოეტი იმედიანად შეუძახებს მშობლიურ წიაღს — „რომ ქართველი გადარჯულდეს, არა მჯერა!“ ამ საფუძველს იძლეოდა კახეთში ნახული ბევრი სასიკეთო წამოწყება, რომელმაც რწმენით აავსო პოეტი და იგი ხალხსაც ჩაუნერგა. ამის იმედს იძლეოდა სწორედ კახეთში გამოჩენილი „ის პატარა ცისარტყელა“ და „ღრუბლის ნაგლეჯებიც“, რომლებიც, როგორც თვითონ პოეტი აღნიშნავს, ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული, რადგან გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც. ქვეყანას ახარებს.

აკაკი კახელებს მიანიშნებს, რომ ეს იმედი მათი შვილი ილია ჭავჭავაძეა — „ჩანს, ეს საქართველოს ყოველ კუთხეზედ მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ ბეთლემად დაუნიშნავს განგებას“. ამიტომაც გულმოცემული რიხიანად ამბობს:

„რაც არ უნდა ჭირი ნახოს,
საქართველო არ გაქრება!
მოსული და მონაბერი
მას პატივად დაედება!“

ამ მხნე შეძახილით იმედმოცემულმა ალაზანმა

„გადიყარა სევდის ქაფი,
მოიბრუნა ისევ გული,
და მიჰმართა ისევ კახეთს
მშვენიერმა, მშვენიერსა,
ჩვეულებრივ ამღერებდა
კახურ „მრავალჟამიერსა!“

„ამ შესანიშნავი პუბლიცისტური ლირიკის მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარს მოუღწევია ჩვენამდე, ხოლო წინამდებარე ვარიანტი პოეტს თავის უახლოესი მეგობრის – ივანე ელიაშვილისათვის მოუძღვნია წარწერით...“ თავდაპირველად ცალკე წიგნად გამოიცა 1911 წელს ქუთაისელი მრეწველისა და ქველმოქმედის რ. დათუშიძის შეკვეთით ი. კილაძის ქუთაისის სტამბაში. მეორედ ლექსი დაისტამბა ორი წლის შემდეგ – 1913 წელს. იგი პოეტმა თავის რჩეულ ლექსთა კრებულში შეიტანა, რომელიც მანსვეტაშვილისეული გამოცემის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნშია მოთავსებული – ვკითხულობთ პოეტის საიუბილეოდ 1990 წელს გამოცემული აღნიშნული ვარიანტის ბოლოს, ქართველი მკითხველისადმი ჯუმბერ ქორჩილავას მიმართვაში.

აკაკის ლექსი „კახელებს“ 1913 წელს დაიბეჭდა გაზეთში „ხმა კახეთისა“ (№74). მასში გადმოცემულია პოეტის ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები კახეთში მისი პირველი და მეორე მოგზაურობის დროს.

თუ პირველმა ნახვამ კახეთისა აღაფრთოვანა პოეტი, მეორედ, თხუთმეტი წლის შემდეგ, მან წინსვლის მაგიერ აქ მხოლოდ უკანსვლა, დაკნინება, დაბეჩავება და ისეთი სიღატაკე იხილა, რომ მოსვენება დაკარგა „ეს რა სიღარიბე ვნახე?!“ „ოცი წლის წინათ რომ მინახავს, იმაზე თუ უკლია, თუ არა, არა უმატნია რა“. ამან აღაშფოთა და პირველი ხილვით გამოწვეული აღტაცება სრულიად გაუქარწყლა.

რამ გამოიწვია აღფრთოვანების შეცვლა გულისტკივილით? ამის ახსნა თვით ლექსშია:

„პირველად ვნახე კახეთი
კახელებისვე ხელშია;
უცხოს, მოსულსა ონავრად,
დანას ურჭობენ ყელშია!
მაშინ მე როგორც ქართველი,
ვგრძნობდი სრულს ნეტარებასა
და საქართველოს ტკბილ კუთხეს
ვუძღვნიდი ქებათ-ქებასა“.

ეს აღტაცება აკაკიმ გადმოსცა ამ მოგზაურობის შედეგად შექმნილ ნარკვევში „სამგზავრო წერილებიდან“.

„მეორედ ვნახე, – მეოცა
ვერ ვნახე, რაც ნახულიყო!
ეს საქართველოს ედემი
სხვის ხელში გადასულიყო!“

აკაკიმ იხილა დამონებული სამშობლოს ერთ-ერთი კუთხე — სრულიად უპატრონოდ მიგდებული, სადაც „ჩამოსახლებულები“ „კარგად დასახლკარებულიყვნენ“ და მკვიდრ მოსახლეობაზე გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს, რადგან მთავრობა მათკენ, მათთვის იყო, ხოლო ქართველებს თავიანთი სამკვიდროდან გასაქცევად გახდომოდათ საქმე და არც არავინ აკავებდათ... სამწუხაროდ, ბუნებაც მტრად გახდომოდა — გვალვისაგან გადამწვარი მიწა შიმშილისათვის სწირავდა მათ:

„თითო-ოროლა ოჯახი
აქა-იქ დარჩენილიყო!..
მემწარა მაშინ ყოველი
რაც კი პირველად ტკბილ იყო“.

პოეტი აღშფოთებით კითხულობს — „ვინ ჰპატრონობს, ვისღა შესტკივა გული ამ ხალხსა და მხარეზე!“ მაშინ დაუსახელეს კახელებმა ლევან ჯანდიერი, აკაკის გასაოცრად, მაზრის უფროსი და კაცი — მამულიშვილი. ეს შესანიშნავი ადამიანი, როგორც შეეძლო, ისე უმსუბუქებდა თავის ხალხს გასაჭირს, ეხმარებოდა ყველას, ვინც მას მიმართავდა, არა მარტო თავის მაზრაში, არამედ სადაც ხელი მიუწვდებოდა. მას დიდად ემადლიერებოდა ვაჟა-ფშაველაც „ერთი საუკეთესო ადმინისტრატორთაგანია“ — აღნიშნავდა მის შესახებ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ლ. ჯანდიერის შესახებ და ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ გაოცდა აკაკი, როცა საყვარელ კაცად, პატრონ-მომვლელად კახელებმა სწორედ ის, მაზრის უფროსი ლევან ჯანდიერი დაუსახელეს:

„ — არიან, მაგრამ სულ ცოტა,
მათ რიცხვში ჯანდიერიო“.

სწორედ მისი წყალობითაა, რომ

„ჯერ კიდევ კახეთს ქართული
არ შეუცვლია ფერიო“.

ლექსში აკაკი კიცხავს კახეთის მემამულეებს, რომელთაც ვერ აღასრულეს თავიანთი მამულიშვილური ვალი, ვერ შეინარჩუნეს მამულები და „გაატანეს უცხოელს თავისი მიწა-წყალი!“

ამის გამგონე აკაკი შეწუხებულია, მეტიც აღშფოთებულია; „მით უფრო, რომ მოტყუებულს გვგლეჯენ ჩვენისვე ნებითა“.

აი, ამგვარ გულსატკენ ამბავთა შემდეგ, როგორც მზის სხივი მოქუფრულ ცაზე, ისე ჩნდება პატარა სიხარული — სიღნაღში გამოუციათ გაზეთი „ხმა კახეთისა“, რასაც ნეტარებით აუვსია ფერნაცვალი კახეთის ხილვით მოშხამული პოეტის გული:

„დღეს კი მომესმა ნუგეში
მომავლის უკეთესისა!..
და ამ ტკბილ ნუგეშს იძლევა
გაზეთი „ხმა კახეთისა“.

„ტკბილი ნუგეში“ – გაზეთი „ხმა კახეთისა“.

აკაკი ფხიზლად ადევნებდა თვალს მთელ საქართველოსა და მათ შორის, კახეთში მომხდარ ცვლილებებს: ავსა და ერისთავის უსარგებლოს, საზიანოს კიცხავდა, სასიკეთოს კი – მიესალმებოდა.

1912 წელს სილნაღში გამოვიდა გაზეთი „ხმა კახეთისა“. გამოდიოდა 1912-1915 წლებში. 250 ნომრით შეწყვიტა თავისი არსებობა. რედაქტორი იყო კოტე ტყავაძე.

აკაკი სიხარულით შეხვდა საუკუნის დასაწყისში ახალი ქართული გაზეთის დაბადებას კახეთში და სურვილი გამოთქვა მასში თანამშრომლობისა. ამავე წლის მეშვიდე ნომერში იბეჭდება შესავალი მისი ახალი პოემისა „რაჭა-ლეჩხუმი“.

1913 წლის დადგომა პოეტმა ასე მიულოცა კახელებს:

„მოგვილოცავს ახალი 1913 წელი!
„მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია“.

სტროფი ამოღებულია აკაკის ლექსიდან „ახალი წელი“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ივერია“ (1881 წ. №1 გვ. 87-88).

აკაკის დამოკიდებულება ახლადგამოსული გაზეთისადმი კარგად ჩანს ლექსში „კახელებს“, რომელიც მან სპეციალურად ამ გაზეთისათვის დაწერა და რომელშიც პოეტი იმედიანად წერს:

„დღეს კი მომესმა ნუგეში
მომავლის უკეთესისა –
და ამ ტკბილ ნუგეშს იძლევა
გაზეთი „ხმა კახეთისა“.

საყვარელი პოეტის შეხმიანებით, ახალი წლის მილოცვითა და ლექსის მიძღვნით გახალისებულ-წაქეზებული რედაქტორი კოტე ტყავაძე 1913 წლის 1 აგვისტოს ნომერში წერდა: „ ... და ახლა, როდესაც „ხმა კახეთისა“ დალოცა და საკუთარი ლექსიც უძღვნა ჩვენმა დიდმა

პოეტმა — მხცოვანმა აკაკიმ, ერთიანად ენერგია მოგვემატა და უფრო მეტი გულმოდგინებითა და თავგანწირვით გავაგრძელებთ ჩვენს საქმეს.

— ამ პატარა მარგალიტ წერილში, რომელიც ქვეყით ქვეყნდება ხალხის გულთამხილავს, ჩვენს დიდ მგოსანს აკაკის უპოვია ჩვენში ის ღირსება, რაც უნდა ედგას საფუძვლად ყოველს საზოგადო საქმეს. ეს გახლავთ გულწრფელობა".

რედაქტორის დღიურში დაბეჭდილია აკაკის წერილი „ძმაო, ბატონო კოტე! დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენს გაზეთს მიგზავნით. მომწონს და ეს ლექსიც მისმა სიკარგემ დამაწერინა. გულწრფელობა უნდა ედგას ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას სარჩულად და ამ გაზეთში ბევრი სჩანს. გიგზავნით ლექსს, თუ გამოგადგეს, დაბეჭდეთ და თუ არა, დედანს ნუ დამიკარგავთ. თქვენი კეთილის მოსურნე აკაკი".

სამწუხაროდ, პოეტის ეს ეპისტოლე გამორჩენიათ და არ არის შეტანილი არც ერთ გამოცემაში.

„ხმა კახეთისას" რედაქციის სახელით საპასუხოდ კ. ტყავაძე წერდა სახელოვან პოეტს „მკითხველებთან ერთად გითვლით ტურფა კახეთის სალამს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენი სამშობლოს სასიქადულოდ და დასამშვენებლად" („ხმა კახეთისა" 1913, №74).

ამის შემდეგ გაზეთ „ხმა კახეთისაში" გამოქვეყნდა აკაკის შემდეგი ლექსები და პუბლიცისტური წერილები: „თანამედროვე", „კახელებს", „ჩემი რწმენა", „მცირე რამ განცხადება", „სიკვდილი" და სხვა.

1914 წელს „ხმა კახეთისას" რედაქციას და სიღნაღის საზოგადოებას გადაუწყეტია, რომ შეხვედრა მოეწყო აკაკისათვის. ამასთან დაკავშირებით გაზეთში ვკითხულობთ ასეთ განცხადებას: „16 თებერვალს სიღნაღის ქართველობამ გადაწყვიტა გამართოს აკაკის საღამო, რის მოსაწყობად ამოირჩია კომისია, რომელშიც შედიან მ. დაფქვიაშვილი, ვ. ქიტიაშვილი, ნ. ყაზბეგი და ვ. ალელიშვილი". შეხვედრა უნდა მომზდარიყო აგვისტოში, მაგრამ, სამწუხაროდ, 1915 წლის 26 იანვარს დიდი პოეტი გარდაიცვალა. გაზეთ „ხმა კახეთისას" ფურცლებზე გაჩნდა სამგლოვიარო განცხადებები, წერილები, ლექსები. გაზეთში ვკითხულობთ: „ქიზიყ-კახელნო, ვიტიროთ ჩვენი ქვეყნის დაობლება, უფრო კი ვიტიროთ ის, რომ მსოფლიო ომმა ჩაგვიშალა ჩვენი სამზადისი წარსული წლის აგვისტოს ღირსეულად დავხვედროდით სიღნაღსა და სოფლებში ჩვენს სათაყვანებელ მამულიშვილს, გაგვეცნო ჩვენი ხალხისათვის დიდი აკაკი და აკაკიც

დამტკბარიყო ჩვენი მისდამი სიყვარულით, ჩვენი მისდამი თაყვანისცემით“ („ხმა კახეთისა“, 1915 №226).

გაზეთში გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის, ივანე გომართელის, თედო ჟორდანიას, სამსონ ფირცხალავას („სიტყვის“ ფსევდონიმით), კოტე ტყავაძის, („ჭაღარას“ ფსევდონიმით), ილია შანშიაშვილის („ძიძ“ ფსევდონიმით), დიმიტრი ბარნაბიშვილის („ვინმეს“ ფსევდონიმით), თედო ბეგიაშვილის, კაჭრეთელი გლეხის დ. სოლოლიშვილის წერილები პოეტის დაკრძალვაზე, თბილისსა და სიღნაღში სამგლოვიარო პანაშვიდზე წარმოთქმული სიტყვები. აქვე დაბეჭდილია დიდი პოეტისადმი მიძღვნილი იოსებ მჭედლიშვილის, ნ. დარაშვილის, მ. ჭეიშვილის, ვ. სიფრაშვილის, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის მოსწავლე დარიკო ვაჩნაძის და გლეხი პოეტის გ. კანანელის ლექსები.

გაზეთის კორესპონდენტი დიმიტრი ბარნაბაშვილი გაკვრით, მაგრამ საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. წერილის ბოლოს ნათქვამია: „უკვდავია აკაკი მშობელი ერის ხსოვნაში! იგი ქართველთა იანუსია: ერთის მხრით, წარსულს გაჰყურებს, სადაც მარხია ჩვენი დიდება, ჩვენი კულტურა, ხოლო მეორე თვალით იყურება მომავლისაკენ, სადაც უნდა აიგოს ახალი ტაძარი ტანჯული ერისა“ („ხმა კახეთისა“, 1915, №232).

ცნობილი ქართველი პოეტისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის მამა – ილია შანშიაშვილი გულდაწყვეტილი მოსთქვამდა: „აღარ გვყავს ილია და აკაკი! მაგრამ ნუ კრთი სულო მორწმუნეო და სასოწარკვეთილო: ნაცვლად დედაბოძებისა ჩვენს სალაროს ამერთ და იმერეთ გონებისას შედგმული აქვს მათ მიერ აღზრდილნი ბოწკინტნიც, რომელნიც მკვიდრად იჭერენ და დაიჭერენ ამა საფარს თვითცნობიერებისას ყოველივე თვითნებითი ქარიშხლისაგან“ („ხმა კახეთისა“, 1915 წ. №229).

„ხმა კახეთისას“ რედაქტორის კოტე ტყავიძის წერილში „ერთი კვირა აკაკის კუბოსთან“ ვკითხულობთ: „მახსოვს, როცა მე ჯერ ისევ ახალგაზრდა ვიყავი (ორმოცდაათიან წლებში) – დიდს სასოწარკვეთილებას განვიცდიდი ... ერთმა მოხუცმა აკაკის ლექსების კრებული მაჩუქა, გადავიკითხე და გამოვცოცხლდი... მახსოვს, – სამშობლოდან გადახვეწილს ხშირად ბოღმა მომწვებოდა... ავიღებდი აკაკის ლექსების კრებულს – გადავიკითხავდი რამდენიმე მათგანს და ღაპაღუპით ჩამოდენილი ცრემლები სევდას გამიქარვებდნენ ხოლმე...

მახსოვს აკაკის იუბილე იყო. მთელს საქართველოს წარმომადგენლებს მოეყარათ თავი ტფილისის სახაზინო თეატრში და როგორც

შიკრიკები ბრძოლის ველზე სამხიარულო ამბებს უამბობდნენ თავის სარდალს — „არ მომკვდარა, იღვიძებსო“.

მაშინ მე დავრწმუნდი, რომ ყველა ჩვენი ინტელიგენტი მოვალეა სოფელ'ში დაბრუნდეს, პროვინცია გაამაგროს — მარტო მაშინ აღდგება და აღორძინდება ჩვენი ტურფა ქვეყანაც...

და კიდეც გადმოვსახლდი ჩემს ძვირფას სამშობლო-კურთხეულ ქიზიყში...

მახსოვს, როდესაც ათასი შინაური და გარეული მტერი დამესია მე და ნამეტნავად ჩემს პატარა გაზეთს, აკაკის წერილი მივიღე, რომელშიც მამხნევებდა და მასთან გამოგვიგზავნა ლექსი, რომელშიც „ხმა კახეთისას“ ჰლოცავდა ჩვენს სიძნელესთან საბრძოლველად...

ეხლა ერთმა კვირამ დიდი აკაკის კუბოსთან დამიმტკიცა სამი რამ: 1. ქვეყნისათვის შრომა ყოველი, დღეს იქნება, — თუ ხვალ, დაფასდება; 2. რომელი რწმენისა და მიმართულებისაც უნდა იყოს კაცი, სამშობლო ქვეყანა — მას აერთებს დანარჩენ მის თანამემამულეებთან; 3. ურწმუნოებმა ირწმუნეს, რომ უკვე აღსდგა ქართველი ერი და იგი შესდგომია აღორძინებას და აყვავებას.

აკაკის კუბოსთან ერთმა კვირამ დაგვარწმუნა, რომ დიდებულ მამულიშვილთა აკაკის და ილიას და სხვათა უკანასკნელი წლის შრომამ შესაფერისი ნაყოფი მოიტანა და მათი ნესტან-დარეჯანი ავთანდილმა უკვე იპოვა და მოკლე მომავალში მას გაათავისუფლებს.

ამ ერთმა კვირამ აკაკის კუბოსთან იმედი ჩაგვინერგა, რომ კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ამირანს ეღირსება ჯაჭვის გაწყვეტა და თავის მშვენიერის სამშობლოს არემარის აღორძინება-აყვავება“.

კ. ტყავაძის წერილის ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ რა როლი უთამაშია დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის პიროვნებას მისი, როგორც რედაქტორისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობაში.

ჩვენს ხელთ არის „ხმა კახეთისას“ 250-ე ანუ გაზეთის ბოლო ნომერი. მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულია მასალა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განყოფილების მიერ გამართული აკაკის საღამოს შესახებ.

სამგანყოფილებიანი საღამო აკაკის საპატივსაცემოდ 9 ივნისის ნაცვლად 14 ივნისს გაუმართავთ. მონაწილეთაგან საზოგადოების მოწონება დაუმსახურებია ელო ანდრონიკაშვილსა და შალვა დადიანს. ლექსები წაუკითხავთ: ი. მოსაშვილს, მ. ჭეიშვილს, ქ. ტყავაძისას, ქ.

ჯანიკაშვილს და ნუკრიანის აკაკის სახელობის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის მოსწავლე გოგონას.

ავტორი წყენით აღნიშნავს, რომ ხალხი ცოტა დაესწრო: „ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ არა აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ იმ გვარ სალამოს, როგორც ილიას, აკაკის პატივსაცემად გამართულს, ყველა შეგნებული ქართველი უნდა დაესწროს“.

აქვეა დაბეჭდილი რეფერატი წაკითხული შალვა დადიანის მიერ. იგი იწყება აკაკის სიტყვებით, შემდეგ ავტორი ეხება XIX ს-ის საქართველოს მდგომარეობას, რომელმაც დაკარგა „მისი პოლიტიკური თავისუფლება, შეწყდა მისი ნორმალური მაჯისცემა და იყო ცხოვრება მდორე, მიძინებული, ერთის მხრივ შეჯაჭვული სხვა, უცხო უფროსის ბრძანებით, მეორეს მხრით, შინაურის მონობით, საშინელი ბატონყმობით. აი, ამ ფონზე ჩნდებიან პროტესტანტები, რომელთაც უწოდებს წარსულით მგლოვიარეებს და ასახელებს ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს ნიკოლოზ ბარათაშვილს. მისი აზრით, ბარათაშვილის პოეზია წმინდაა, ანკარა, მაგრამ ის ხალხის გულს ისე ვერ ჩასწვდა... XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ახალი სახელი ქართულ მწერლობაში — აკაკი“.

წერილში დაწერილებითაა მიმოხილული აკაკის მოღვაწეობის დიდებული შედეგი — ხალხმა გამოიღვიძა!.. გათვითცნობიერდა... აკაკის ბრძოლა ცრუ ინტელიგენციასთან, მისი დაუნდობელი კრიტიკა ცხოვრების მახინჯი მხარეებისა თუ საკუთარ კეთილდღეობას აყოლილი თანამედროვეებისა.

შალვა დადიანი ცალკე ეხება აკაკის, როგორც შეუდარებელ სატირიკოსს, რომელიც მეხად ეკლინებოდა ფარისევლებს, მჩაგვრელებს, მოღალატე ქართველებს. იგი გესლიანი დაცინვით შეუპოვრად, დაუნდობლად ამათრახებდა მათ, ვინც „დედას დადინაცვალზე სცვლიან და თან თავს იწონებენ“. აღნიშნავს მისი პოეზიის კავშირს ხალხურ პოეზიასთან. იგი მარგალიტებს კრეფს ხალხის გულიდან და გულისწარმტაც სტრიქონებად ჩამოსხმულს ისევ ხალხსვე უბრუნებს, როგორც „მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი... მისი ლექსი ისე მსუბუქია, მუსიკალური და თან მარტივი, რომ პირდაპირ პირში გიძვრებათ და თქვენს გრძნობა-გონებაში მკვიდრ ბინას იდებს. მისი ენა, სიტყვები, თითქო ისეთი ჩვეულებრივია და უბრალო, რომ გგონიათ; ამას მეც ვიტყოდიო...

ის, რაც თქვენ გგონიათ, რომ თქვენც შეგიძლიათ გამოგეთქვათ, პოეტმა სთქვა, თქვენ კი ვერასოდეს ვერ იტყოდით და სწორედ ამაშია

კიდეც, თვით აკაკის სიტყვითვე რომ ვთქვათ, „მგოსნობის ძალა“. ამიტომ არის, რომ ხალხს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს აკაკი. ასეთი სიყვარული არ ღირსებია არამც თუ ჩვენში, არამედ სხვა განათლებულ ქვეყნებშიც ბევრს მწერალთაგანს“.

ავტორი იხსენებს აკაკის ნათქვამს: „ერთი ქართველი საქმეში გმირია, ორი კი — ჭირიო“. ამ ჯიბრიანობისა და შურიანობის გამო საზოგადო საქმე წინ ვერ წასულა, ვერ უხეირებია — წუხს იგი.

აკაკის ისიც შეუმჩნევია, რომ საზოგადო საქმეებს ხშირად ულირსნი ეპატრონებიან... კიცხავს უპრინციპო და ლაქუცა ადამიანებს, ჭორების მოყვარულთ და ჭორების დონეზე გადაწყვეტილ საზოგადო საქმეს. მითქმა-მოთქმაში არ უნდა იხარჯებოდეს ჩვენი დრო და ძალა, ასე მთავარი საქმე გასაკეთებელი დაგვრჩება, — წუხს და ცდილობს გამოფხიზლებულ-გათვითცნობიერებული ერის სასიცოცხლო ენერგია მის უპირველეს ამოცანას მიმართოს. თვითონ ერთობ მოუწყობელ-მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრების პატრონს არასოდეს არ ავიწყდება „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარე. იგი მისთვის არის დაბადებული და მისთვის მოკვდება. მას არ ავიწყდება, რომ ეს ქვეყანა „ოდესღაც აყვავებული თავის საკუთარის ცხოვრებითა, დღეს უფლება-ახდილი, თავისუფლებაწართმეული ძლივს მიაჩანჩალებს თავის ცხოვრებას და იმდენად დაჩიავებულია, რომ თვით სურვილიც კი — დაკარგული თავისუფლების მოპოვებისა — აღარა აქვს, თავის თავის შეგნებაც სრულიად დაკარგვია... ბედს დამორჩილებია...

ამისთანა ბრმა და გზა-გაუგნებელ საზოგადოებაში დაიწყო აკაკიმ მზიურ სიტყვებით ქადაგება სათაყვანებელი სამშობლოს აღორძინებისათვის და ნელ-ნელა გაჩნდა ის კარგი ყანა, რომელსაც ახალს გათვითცნობიერებულ საქართველოს ვეძახით“ — წერს შ. დადიანი.

შ. დადიანი საგანგებოდ აღნიშნავს აკაკის თავმდაბლობას: „საზოგადოდ, მგოსნებს უყვართ ხოლმე თავის გაღმერთება... აკაკის კი თავი უბრალო მოკვდავად მიაჩნდა... მხოლოდ ჩემში ერთ-გვარი გამომთქმელობის ძალაა...“ ამაზე უფრო შორს ვერ წავა თავმდაბლობა — შენიშნავს იგი.

„ვის არ იცნობდა, ვინ არ იცნობდა“... ესეც მისი ნიშანდობლივი თვისებაა და ხალხი ამას ანგარიშს უწევდა: „დიდი ჩამომავლობის კაცი, წერეთლის გვარისა, მერე კიდევ ისიც იმ დროში, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში ფეოდალიზმი მთავარი დედა-ძარღვი იყო მისი, უმაღლესსწავლამიცემული, მშვენიერი შესახედავი ვაჟკაცი, ნიჭიერი, მახვილი მოლაპარაკე... ყოველივე ეს, როგორც არაერთხელ აღნიშნულია, დიდად

ხელს უწყობდა აკაკის პირად ფუფუნებისთვის მიემართნა, როგორც ბევრს მის ტოლებს, მისი წრისა და მდგომარეობის ადამიანებს, მაგრამ იმან ხალხის საკეთილდღეოდ გადასდვა თავი". აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს პოეტის უახლოესი მეგობრის ივანე ელიაშვილის სიტყვები მის დაკრძალვაზე თქმული: „შენ თვითონ შესწირე შენს ერს შენი თავი, შენი ნიჭი, სული, გული და ძალ-ღონე, როცა პირველად ხელთ აიღე კალამი და მედგრად შეებრძოლე შენი ბედშავი სამშობლოს ჭირ-ვარამსა და ვაი-ვაგლახს. ამ დღიდან უარყავი პირადი ცხოვრება, კეთილდღეობა და ბედნიერებად დაისახე სამშობლოს სამსახური. იმ თავიდანვე შენ ხელთ იპყარ ძლიერი იერიქონის საყვირი და მკვეთრად შეებრძოლე იმ საშიშ ძალას, რომელსაც შეეპყრო შენი საყვარელი ერი ისტორიის ბედშავი მსვლელობის გამო".

„ყოველი საზოგადო მოღვაწე პირად ბედნიერებას გამოწირულია, ესლაც კი, და კარგად წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ, იმ ყრუ დროს, როდესაც აკაკი საასპარეზოდ გამოვიდა?" — კითხულობს შალვა დადიანი.

ცნობილია, რომ აკაკის დალხინებული ცხოვრება არ ჰქონია, ამას თან ერთვოდა საზოგადოებრივი ყოფის მოუწესრიგებლობაც...

აკაკი არც სახელმწიფო სამსახურში შესულა როდისმე — პოეტად დაბადებული, საკუთარ თავს „გარემოების საყვირი" რომ უწოდა, პოეტადვე აღესრულა, საწადელს კი მაინც მიაღწია — კალმით და სიტყვით მებრძოლმა „წმინდა სიტყვა უშიშარად მოჰფინა ხალხში", შეუძლებელი შეძლო, ხალხს რწმენა ჩაუნერგა, დაჩაგრულს მოეფერა, ნუგეში სცა და სამომავლო ბრძოლისათვის შეამზადა, ანუ როგორც შ. დადიანი წერს: „იგი დარჩა უბრალო მეშაირედ, კიდით კიდემდე მოარული, გამღვიძებელი თავისი ხალხისა, გამზიარებელი მისი ჭირ-ვარამისა, მოტირალი მისი ბედისა, მღაღადებელი მისი საუკეთესო მომავლისა"... ხოლო, როგორც გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, იგი მხოლოდ პოეტი კი არ იყო, არამედ „ქართველობის იდუმალი, თან მეტყველი სახე". მანვე უწოდა აკაკის „რუსთაველის მოციქული".

პოეტი აკაკის ადამიანის სულის დამპურებლად მიუჩნევია და აკი უშურვებლად აპურებდა XIX ს-ის ქართველთა დამშეულ სულებს. „ღმერთებმა მიაფრქვიეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვნობა"... (გრ. რობაქიძე) და, ჩვენდა საბედნიეროდ — დიდი ხნის სიცოცხლე, რომელიც აგრერიგად გამოადგა მის „სატრფო-მამულს" მისთვის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ხანაში

და რომელიც დაუზოგავად გაიხარჯა მისი სურვილისამებრ სამშობლოს სამსახურში.

უყვარდა, განუზომელი ძალით უყვარდა თავისი დაჩაგრული მამული, როგორც დედას ავადმყოფი შვილი... მისთვის ყველაზე წინ იდგა საქართველო და ქართველი. ამიტომაც მიაგო საპასუხო სიყვარული სიცოცხლეშივე „ქართველმან მისგან შეყვარებულმან", იმგვარი ფორმით, ალბათ, ქვეყნად არავის რომ არ ღირსებია. შრომით განვლილმა წლებმა თავისი შედეგი გამოიღო: ხალხმა გაიღვიძა, იცნო თავისი თავი, ალღო აუღო მტერს, მაგრამ... ოცნება ოცნებად რჩებოდა: „ზნათი აღმოხდეს კაკკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა" — რომანტიკოსთა ოცნებას გამოხატავდა ალ. ჭავჭავაძე; „დავბერდი ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო" — მოსთქვამდა სიცოცხლის ბოლოს მხცოვანი პოეტი — გენერალი გრ. ორბელიანი; „მინდა, რომ ჩემსა საჭრფოსა, ვხედავდე თავისუფალსა" — ნატრობდა აკაკი; „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?" — ილიას მიერ დასმული ეს კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩებოდა. აკაკიმაც დაასრულა თავისი წუთისოფელი. მუდამ მზნესა და იმედიანს ავი ეჭვები მოეძალებოდა ზოგჯერ, რამაც ახალგაზრდებისათვის მიძღვნილ ლექსში, სხვა წინამორბედ პოეტთა დარად, სინანულით ათქმევინა:

„აღარც იმედი, აღარც ნუგეში
სულის და ხორცის გამქრალა ძალი...
გული გამიტყდა ამ სიბერის დროს
რომ ვერ მოვესწარ, რასაც ველოდი".

თუმცა შინაგანად მუდამ მზად იყო არა მარტო სიტყვითა და კალმით საბრძოლველად, არამედ იმისთვისაც, რომ თვით სიცოცხლეც კი დაეთმო ოღონდ სამშობლო — მისი მარადიული საჭრფო — გამოღვიძებულიყო და თავისუფალი ეხილა. სხვა რა გრძნობა ათქმევინებდა პოეტს ამგვარ სტრიქონებს:

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი
აჰა, მეც მზად ვარ!
მოდი! ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამკარ!"

აი, დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა ნანატრი თავისუფლება, მაგრამ... კვლავ ბრძოლა, მუხლჩაუხრელი შრომა და სიფრთხილეა საჭირო, რომ ის შევინარჩუნოთ და იმ თავისუფლებად ვაქციოთ ჩვენ მრავალსაუკუნოვან, დიდი და სახელოვანი წარსულის მქონე ქვეყანას და ერს რომ ეკადრება. ამიტომ აკაკის მებრძოლი

და იმედიანი პოეზია დღესაც სჭირდება ჩვენს ხალხს. აკაკი ისევ იბრძვის, ისევ აქტიურია მისი მოწოდება, იგი კვლავ ჩვენთანაა, ჩვენი თანამედროვეა, რადგან კლასიკოსები არ ბერდებიან.

ყოველი ქართველის ფიქრი გამოხატა „საქართველოს უგვირგვინო მეფის“ მემკვიდრემ — ახალმა მეფემ ქართული პოეზიისა — გალაკტიონმა მისდამი მიძღვნილ ლექსში.

„იქნება ჩვენთვის,
იქნება ჩვენში
იქნება ჩვენთან მარად
და მარად!
ჩვენი სიზმრების
სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავქარად!..“

თეატრი — სამოძღვრო ამბიონი

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის თემა აკაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. საინტერესოა თელავის სცენაზე მის ნაწარმოებთა დადგმის ისტორია.

აკაკი თელაველთა სცენაზე — საკმაოდ ერცელი თემაა. ჯერ კიდევ აკაკის სიცოცხლეში იდგმებოდა მისი პიესები ოდითგანვე მდიდარი ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციების მქონე თელავში სცენისმოყვარეთა მიერ. დიდი პოეტის სიახლოვეს ჩვენი ქალაქის კულტურულ-ისტორიულ წარსულთან თვით ეს ფაქტიც — მის ნაწარმოებთა თელავის სცენაზე დადგმის ისტორიაც ადასტურებს.

აკაკი სცენიდან ნათქვამ სიტყვას, ცხოვრების სიმართლით ამსახველ ნაწარმოებს უდიდეს მინიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონია და არა უბრალო გასართობი. სცენა კი ეროვნული სარკეა, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს. ამასთან, გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული პიესების უქონლობას. თვითონ კარგად იცნობდა უცხოურ დრამატურგიას: „ბიონესებმა, მეტერლინკებმა, იბსენებმა და სხვათა სცენა მოივაკეს, მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა დღევანდელი ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერაფერს ეუბნება“ — წუხდა ის. ამიტომ თვითონ სცადა საქმის გამოსწორება.

1879 წელს მისი მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქართული მუდმივი თეატრალური დასი და დაარსდა დრამატული საზოგადოება. დასაწყისში აკაკი თვითონვე იყო დრამატურგიც, რეჟისორიც და მსახიობიც. 1903 წელს ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ აკაკი ქართული დასის რეჟისორად აირჩია. აკაკი დიდი მონდომებით იღვწოდა ქართული თეატრის წინსვლისათვის. ჯერ კიდევ 1883 წელს კახეთის ერთ პატარა სოფელ კარდანახში „ადგილობრივი მასწავლებლის თაოსნობით წარმოუდგენიათ აკაკის „ბუტიაობა“ — გვაუწყებს „დროების“ კორესპონდენტი“ („დროება“, 1883, №2).

აკაკი წერეთლის უკვდავი ნაწარმოებებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, რადგან ისინი გვაცნობენ ცხოვრებას თავისი ავ-კარგით და გვასწავლიან უპირველესს — მამულის სიყვარულს.

რაც შეეხება, თელავში დადგმულ აკაკის პიესებს, აღსანიშნავია მისი „პატარა კახი“, რომლის დადგმას თელაველთა სცენაზე დიდი ხნის ისტორია აქვს: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. — აი, ამგვარი სიტყვები უნდა გახმიანებულიყო ქართულ სცენაზე, რომ ერი გამოფხიზლებულიყო და მონობიდან თავის დახსნაზე ეფიქრა, ებრძოლა.

ამისაკენ ისწრაფოდა აკაკი. მისი დამსახურება ქართული თეატრის წინაშე ძირითადად შესწავლილია, მაგრამ ახალი მასალები ჯერაც გამოსავლენი და შესაჯერებელია. სწორედ ასეთად გვესახება მისი ნაწარმოებების დადგმის ისტორია ორსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე თელავის თეატრის სცენაზე.

აკაკის ნაწარმოებებიდან თელავის სცენაზე პირველად 1893 წლის გაზაფხულზე დაიდგა „თამარ ცბიერი“. „ივერიის“ (1893 წ. №90) კორესპონდენტმა ქებით მოიხსენია გოჩას როლის შემსრულებელი ილია ზურაბიშვილი, რომელიც მწერლობაში „ელეფთერიძის“ ფსევდონიმით არის ცნობილი. საზოგადოდ, ეს დადგმა იმ დროის მაყურებლის რეაქციით, მაინცდამაინც არ ყოფილა მაღალი დონისა, მაგრამ იგი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც თელავში დადგმული აკაკის პირველი ნაწარმოები.

ერთი წლის შემდეგ თელავში დაიდგა აკაკის გახმაურებული დრამა „პატარა კახი“. ეს იყო 1894 წლის 27 ნოემბერს, კვირას, როგორც ამას გაზეთი „ივერია“ იუწყება, ქ-ნ გამყრელიძისას და ბ-ნ კოტე მარჯანიშვილის სადებიუტოდ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოტე მარჯანიშვილს ჯერ კიდევ წინა წელს თელავის წიგნსაცავის სასარგებლოდ („ივერია“ 1893 წ. №257) უთამაშია და ამის გამო მას მადლობას უხდიან „ივერიის“ საშუალებით (1893 წ. №257).

რაც შეეხება „პატარა კახს“, 1894 წლის თელავურ დადგმაზე გამოქვეყნდა ცნობილი კორესპონდენტის ილია ზარაფიშვილის წერილი („ი“ — კრიპტონიმით). წერილში ობიექტურად არის აღნიშნული გელას როლის შემსრულებლის, ვიქტორ გამყრელიძის დამსახურება, მაგრამ პატარა კახის როლის შემსრულებელი კოტე მარჯანიშვილით რეცენზენტი მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ არის.

ცნობილია, რომ მომავალი დიდი რეჟისორი, როგორც მსახიობი, მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, თუმცა მისი მოღვაწეობა თელავის თეატრის სცენაზე მეტად საყურადღებო ფაქტია.

შემორჩენილია ცნობები, რომ 1902 წელს თელაველ სცენისმოყვარულებს დაუდგამთ აკაკის პოემა „გამზრდელი“. 1904 წლის ზაფხულში კი ბაბილინა როსტომაშვილს (ივანე როსტომაშვილის ქალიშვილი), რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრალურ სასწავლებელში სწავლობდა, მშობლიურ თელავში არდადეგებზე ჩამოსულს დაუდგამს აკაკის „პატარა კახი“, სადაც ჭაბუკი ერეკლე თურმე თვით ბაბილინამ ითამაშა. მაშინ გაზეთი „ივერია“ შენიშნავდა, რომ „ეს ქალბატონი ქალის როლშიც გვინახავს და ახლაც დავრწმუნდით, თუ ეცდება და გულს დაუდებს, უკეთესად შეუძლია შეასრულოს ნაკისრი როლი“ (ივერია, 1904, №163).

მაყურებელს ისე მოსწონებია ბაბილინა ერეკლეს როლში, რომ ფოტოხელოვან ვასილ როინიშვილს ფოტოსურათი გადაუღია და ერთი ეგზემპლარი აკაკისთვის გაუგზავნია. მას კი პარიზში წაუღია, სადაც გაუმრავლებია და ღია ბარათების სახით გავრცელებულა. ერთი ასეთი ღია ბარათი დაცულია საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. (ცნობა მოგვაწოდა ტასო როსტომაშვილ-ახმეტელისამ).

პიესაში დედოფალის როლს თამაშობდა ე. ქართველიშვილი, ხოლო მეფისას ე. პაატაშვილი. გელას როლის შემსრულებელ ვიქტორ გამყრელიძის შესახებ „ივერიის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „ბატონმა ვ. გამყრელიძემ გელას როლი ისე კარგად ასრულა, რომ ხალხი ბევრი ატირა. საუცხოო სანახავი იყო, როცა მესამე მოქმედებაში თავისი ტურფათი მაყურებელს შორის ჩადგა და დასძახა „მუმლი მუხასაო“. ხალხმა ბანი მისცა, გაისმა გუგუნი. ეს ადგილი საზოგადოებას ძლიერ მოეწონა, ტაშისკვრით დააჯილდოვა და რამდენჯერმე გამოიწვია“.

ასევე შექებულია ტურფას როლის შემსრულებელი ვინმე „თბილისელი“, ლევან ქვაბულიძის როლი შეუსრულებია ქ. მაყაშვილს, ხოლო გივი ჩოლოყაშვილისა კი — სოლო გოშაძეს ცნობილ პოეტსა და თეატრალურ მოღვაწეს. სხვათა შორის, ტურფას როლი სხვადასხვა

დროს თელავის სცენაზე უთამაშიათ ტასო როსტომაშვილ-ახმეტელისას და თამარ ჭავჭავაძეს, როცა იგი სწავლობდა თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში.

1908 წელს თელაველმა სცენისმოყვარულებმა აკაკის „თამარ ცბიერი" დადგეს მის საიუბილეოდ. თელაველების ამ დადგმას აკაკი არ დასწრებია, მაგრამ პრესიდან შეიტყო ამის შესახებ და აი, 1911 წელს, როცა კვლავ ეწვია მგოსანი თელავს, მან თავად გაახსენა თელაველებს ამ დადგმის ამბავი.

პოეტმა მამინაიშვილების დიასახლისის პოლინასაგან შეიტყო, რომ ამ პიესაში თამაშობდა თამარის როლს. აკაკიმ სთხოვა — „ეგების რაიმე სცენა წარმოადგინო და გაახარო მოხუცის გული". როგორც უკვე ვიცით, პოლინამ შეასრულა აკაკის თხოვნა.

ამ დადგმაში მონაწილეობდნენ ქართული სცენის ცნობილი ოსტატები — დავით გამყრელიძე (აწყურელი) და კ. სიდამონიძე.

1915 წ. 23 მარტს თელავში ჩატარდა დიდი ლიტერატურული საღამო. წარმოადგინეს ეპიზოდები „პატარა კახიდან". მაშინ პირველად დადგმულა აკაკის ვოდევილი „ბუტიაობა". ორივე ნაწარმოებში მონაწილეობდა მთელი დასი და განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო თამარ გოგოლაშვილის (საფრანგეთში მოღვაწე თამარ პაპავა), ნიკო სულხანიშვილის, ვანო კაკაბაძის და ი. მამაცაშვილის მიერ შესრულებული როლები.

1939-40-იანი წლების თეატრალურ სეზონში დიდი პოპულარობა მოიპოვა „პატარა კახის" დადგმამ (რეჟისორი გიორგი როსება), როლებში დაკავებულნი იყვნენ თელავის თეატრალური დასის აღიარებული ოსტატები: ალექსანდრე კუპატაძე (პატარა კახი), ვახტანგ ჩელთიხპირელი (გელა), გრიგოლ კევლიშვილი, (ლევან ქვაბულიძე), პლატონ ახვლედიანი (რევაზ ბებურიშვილი), ქეთევან კევლიშვილი (ტურფა).

ეს პიესა ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა თელაველ მაყურებელში, რაც მეტად ბუნებრივია ერეკლეს მშობლიური ქალაქისთვის.

1947 წელს თელავში განხორციელდა აკაკის „ბაში-აჩუკის" დადგმა (რეჟისორი სერგი ახალაძე). აქედან იწყება აკაკის ამ მოთხრობის სცენური სიცოცხლე. დაუვიწყარია ალექსი კუპატაძის — ბაში-აჩუკი, პლატონ ახვლედიანის — აბდულ-შაჰილი, ბიძინა ჯავახიას — თავადი მაყაშვილი, გიორგი მამუჩიშვილის — ჯანდიერი, ეკატერინე ვერულეიშვილის — თიმსალ-მაკო (ერთხანს თამაშობდა, აგრეთვე, რესპუბ-

ლიკის დამსახურებული არტისტი ოლღა შუბითიძე), ვახტანგ ჩელთისპირელის — ფეიქარ-ხანი, თინათინ ბურბუთაშვილის — პირიმზისა და პირიმთვარისა (ერთხანს თამაშობდა ასმათ ქანდაურიშვილი).

1948-49 წლის თეატრალურ სეზონში დაიდგა აკაკის „კინტო" (დამდგემლი გ. გაბუნია). ამის შემდეგ ეს ვოდევილი პოეტის სხვა ორ ნაწარმოებთან ერთად („რეპეტიცია" და „ბუტიაობა") განახორციელა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა დავით ბალარჯიშვილს, მუსიკა — კლარა კეჟერაშვილს, ქორეოგრაფია — ნუგზარ გაბუნიას.

გარდასახვის საოცარ დონეს მიაღწია საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მარიამ ღალაშვილმა ვოდევილში „კინტო".

1960 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი. თელავის თეატრმა ამ საიუბილეო თარიღს მიუძღვნა სპექტაკლი „პატარა კახი" (რეჟისორი — ნ. გოძიაშვილი, მხატვარი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ასკურავა, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფირუზ მახათელაშვილისა). მაყურებელს დღესაც ახსოვს ნოდარ დეისაძის შესრულებული პატარა კახის როლი, გიორგი მამუჩიშვილის — თეიმურაზ II, გრიგოლ კევლიშვილის — უსინათლო გელა, ეკატერინე კუჭავას — ტურფა, გიორგი პაპოშვილის — ლევან ქვაბულიძე, დავით მდივნიშვილის — რევაზ ბებურიშვილი, ვახტანგ ჩალთისპირელის — გივი ჩოლოყაშვილი.

ასი წლის განმავლობაში თელავის თეატრის სცენაზე ღრმა კვალი დატოვა აკაკი წერეთლის შემოქმედებამ. გაამდიდრა მისი ისტორია საინტერესო რეჟისორული და სამსახიობო ნამუშევრებით.

პოეტის ფოტომემატიანეები

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფოტომემატიანეებიდან ცნობილნი არიან ალექსანდრე და ვასილ როინიშვილები, კოტე ქავთარაძე, დავით აბაშიძე, ივანე ბარკალაია და სხვები.

კოტე ქავთარაძე ცნობილი იყო როგორც მხატვარ-გრაფიკოსი. 1912 წელს იგი თან ახლდა აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას 21 ივლისიდან 1 აგვისტომდე და ახდენდა პოეტის ამ კუთხის მცხოვრებლებთან შეხვედრების ფოტოგრაფირებას. შემორჩენილია 1200 მეტრის სიგრძის კინოფირი, რომელიც გადაიღო პირველმა

ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა.

ჩვენამდე მოაღწია კოტე ქავთარაძის მიერ გადაღებულმა 85 ფოტომ.

კოტე ქავთარაძის ფოტოსურათების ერთ ნაწილი მაშინვე გამოქვეყნებულა გაზეთ „თემის" სურათებიან დამატებაში, ხოლო ხუთი ფოტო 1912 წელს ლადო ბზვანელმა შეიტანა თავის პატარა წიგნში. აქედან რამდენიმე ფოტოს მიხედვით გამოიცა ღია ბარათები. 1940 წელს, პოეტის დაბადების 100 წლისთავის გამო, ღია ბარათების კომპლექტი შედარებით სრული სახით დაიბეჭდა.

შემორჩენილია აკაკის კახეთში ოთხგზის მოგზაურობის ამსახველი ფოტოებიც, რომელთა ავტორები არიან ალექსანდრე და ვასილ როინიშვილები, ივანე ბარკალაია და სხვები.

ფოტოსურათების საშუალებით პოეტის კახეთში მოგზაურობიდან ყველაზე სრულყოფილად მისი აქ მეოთხედ ჩამობრძანება აისახა. ეს ფოტოხელოვან ივანე ბარკალაიას დამსახურებაა, რომელიც თან ახლდა პოეტს 1911 წელს კახეთში მოგზაურობისას და აღბეჭდა აკაკი თელავის საზოგადოებასთან ცნობილი ჭადრის ქვეშ მის საპატივსაცემოდ გამართული ნადიმის შემდეგ. მასვე ეკუთვნის ორი ფოტო სოფ. ვაჩნაძიანში ლევან ჯანდიერის ოჯახში აკაკის სტუმრობისას, აგრეთვე ყვარელში მოსწავლე გოგონათა შორის „ილიაობაზე" მყოფი პოეტი და ყვარლელი მასპინძლის იური ჭავაჭავაძის ოჯახში სტუმრობისას. ამ ფოტოზე აკაკისთან ერთად აღბეჭდილნი არიან მისი თანმხლები პირები: შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ცისკარიშვილი, მიხეილ წერეთელი, და მისი თელაველი მასპინძლები — პოლინა და ნიკიფორე მამინაიშვილები.

ამ ფერნაცვალი ფოტოსურათებიდან შემოგვცქერის ჭაღარათმიანი საყვარელი პოეტის თავაწეული სახე და იმ ადამიანების კმაყოფილი სახეები, რომელთაც ბედნიერება ხვდათ წილად საკუთარი თვალით ეხილათ აკაკი — მარად საყვარელი „ღმერთთა და კაცთა".

შინაარსი

შესავალი ---------- 3
„რაც არ უნდა ჭირი ნახოს, საქართველო არ გაქრება!" ---------- 10
აკაკის სიტყვა, თქმული 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში ------ 21
შენ ერთადერთი აკაკი ხარ! ---------- 24
„რუსთაველის ეროვნული" ქიზიყში ---------- 35
„ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ მე არ მინახავს მისთანა!" -- 39
კახეთი – ახალი ბეთლემი ---------- 42
სიტყვა, თქმული თელავში, სადილზე ---------- 57
„მე ქართველი ვარ!" ---------- 73
კვლავ კახეთისაკენ ---------- 74
„ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით კიდე" ---------- 75
სიტყვა, თქმული თელავში, სადილზე, 1911 წლის 21 ივლისს ------ 83
აკაკი სტუმრად სოფელ ქისტაურში ---------- 94
„ფესვები ეროვნებისა თქვენა ხართ!" ---------- 99
სიტყვა, წარმოთქმული წინანდალში, გლეხობის წინაშე ---------- 104
ილიას მზეა! ---------- 106
კახეთის თემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ---------- 111
კახეთი – სწორუპოვარი ქვეყანა! ---------- 113
„ტკბილი ნუგეში" – გაზეთი „ხმა კახეთისა" ---------- 117
თეატრი – სამოძღვრო ამბიონი ---------- 125
პოეტის ფოტომემატიანეები ---------- 129

რედაქტორი	მ. გიორგობიანი
ტექნიკური რედაქტორი	თ. ფირცხელანი
კორექტორი	ლ. თორდუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.IV.2002, ქაღალდის ზომა 60X84, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,43.

ტირაჟი 200, შეკვეთა 77.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 14.

წიგნის ავტორები